


"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

ბასა ჭანიკაშვილის
შახტობაში **A10**



მოგონებები
ვანუშვილი **A11**



კონტინენტური
ჰოქეის ლიგის
საუკეთესო მოთამაშე
ქართული ყოფილა **A13**



მკვდარი სიცრუე



თავად რუსეთის ოფიციალურმა უწყებებმაც კი ვერ მოახერხეს აგვისტოში ცხინვალში "ათასობით" დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქის შესახებ სიცრუის დასაბუთება, რასაც რუსული პროპაგანდა და დიპლომატია აგვისტოდან მოყოლებული ავრცელებდა. ცხინვალის მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა, ბოლო რუსული ოფიციალური ვერსიით, მოსკოვის მიერ თავდაპირველად გამოცხადებულზე ათჯერ ნაკლები აღმოჩნდა. ამ მონაცემებს თბილისი და ვაშინგტონი გამოეხმაურნენ. თუმცა, მოსკოვი კვლავ ცდილობს, ქართულ მხარეს "გენოციდში" დასდოს ბრალი.

დიმიტრი ავალიანი
"ქართული აგრესიისგან დაზარალებულად აღიარებულია სამხრეთ ოსეთის ხუთი ათასზე მეტი მცხოვრები. გამოძიებამ 162 დაღუპული მოქალაქის სრული ანკეტური მონაცემები დაადგინა," - ასეთი განცხადება გააკეთა ცხინვალის რეგიონში

თავისი მუშაობის შედეგებზე რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბასტირკინმა.
თუმცა, მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი დაღუპული ნათესავებმა გამოძიებელთა ჩასვლამდე დასაფლავეს, ამიტომაც "მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლის რაოდენობა კიდევ დაზუსტდება." ამგვარად, ბასტირკინი ამტკიცებს, რომ რუსმა გამოძიებლებმა, რომლებიც ოთხი თვის განმავლობაში საკმა-

ოდ პატარა ტერიტორიაზე მუშაობდნენ, სადაც მცირერიცხოვანი დასახლებაა, მშვიდობიან მოსახლეობაში დანაკარგის ზუსტი აღრიცხვა დღემდე ვერ შეძლეს.
რუსეთის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტმა აგვისტოში, საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე აღძრა 105-ე (ორი და მეტი ადამიანის მკვლელობა) და 357-ე (გენოციდი) მუხლებით და გამოძიებას შეუდგა.
ბაზრძილაბა A3 გვირდვა

ახალი წლიდან - ახალ თანამდებობებზე

გიორგი ასანიშვილი

გუმინ პარლამენტმა რამდენიმე დეპუტატს და დიპლომატს, "სახალწლო საჩუქრებად", ახალი თანამდებობები ჩამოურიგა. "ნახალისებულთა" შორის არის აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაია - საკანონმდებლო ორგანომ იგი პარლამენტის თავმჯდომარის მეშვიდე (!) მოადგილედ დამტკიცა.
საპარლამენტო იერარქიაში წინ წაიწია აკაკი მინაშვილმაც: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის სავარძლიდან მან საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტში გადაინაცვლა. გუმინ აკაკი მინაშვილმა თავის "კოლექციას" კიდევ ორი ახალი თანამდებობა შემატა - იგი შვეი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეასა (PABSEC) და ეუთო-ს საპარ-

ლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციების ხელმძღვანელიც გახდა.
შედარებით მოკრძალებულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარის შოთა მაღალაშვილის წინსვლა. ფრანკოფონიის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის სათადარიგო წევრობიდან მან "ძირითად შემადგენლობაში" გადაინაცვლა. მაღალაშვილს ამას პეტრე მამრამძეს უნდა უმადლოდეს, რომელმაც საპარლამენტო უმრავლესობიდან გასვლით, ზემოთ დასახელებულ დელეგაციაში ადგილი დაკარგა.
ცვლილება კიდევ ერთი საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაში: ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ნარმოდგენილი ქართული დეპუტაციის რიგებში ამიერიდან გიორგი გოგუაძე იქნება.
ბაზრძილაბა A2 გვირდვა

მედვედვის მყიფე დაპირება

ექსპერტები "სოციალური ამოცანის დაძლევის" შეუძლებლად მიიჩნევენ

ფინანსური კრიზისის პირობებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დაპირებას რიგითი მოქალაქეებიცა და ექსპერტებიც, თანაბრად, არარეალურად მიიჩნევენ. ანალიტიკოსთა თქმით, "სოციალური მონაპოვარის" შენარჩუნების მტკიცება უსაფუძვლო განცხადებაა. დიმიტრი მედვედევმა ყოფილ პრეზიდენტს რეიტინგით არათუ ვერ აჯობა - ვერც კი გაუთანაბრდა.

ხათუნა ბაზივაძი

გასულ ხუთშაბათს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ნამყვან ტელეარხებთან ინტერვიუში მოსახლეობას კრიზისის დროს სახელფასო ანაზღაურების, მოქალაქეთა რეალური შემოსავლებისა და საპენსიო დანაზოგის შენარჩუნებას დაჰპირდა. თუმცა, რამდენად რეალურია მედვედევის დაპირებები, სხვა საკითხია, რადგან მისგან განსხვავებით, ოპტიმისტური ხედვა ნამდვილად არა აქვთ რუს ექსპერტებს. "ნეზავისიმია გაზეტას" თანახმად, ეკონომისტები პრეზიდენტის მიერ ჩამოთვლილ მეტ-ნაკლებად სადავო თეზისებიდან გამოყოფენ კრიზისის პირობებში "სოციალური მონაპოვარის" შესახებ დაპირებას, კრი-

ზისში მხოლოდ საგარეო ფაქტორების ძიებასა და მსოფლიო ეკონომიკის ვარდნის დროს რუსეთის ეფექტიან მზადებას. მედვედევის დაპირების მიუხედავად, რუსეთის მოქალაქეების რეალური შემოსავლები თვალსა და ხელს შუა კლებულობს და რთულ ეკონომიკურ პერიოდში მათი უცვლელად შენარჩუნება შეუძლებელი ჩანს. რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც უკვე საკუთარ ტყავზე გრძობენ ამ ნეგატიურ ტენდენციას, პრეზიდენტის განცხადებას რეალობაზე არაადეკვატურ რეაქციად მიიჩნევენ, რაც ვითარებაში არასათანდო გარკვევის ბრალია, ან კიდევ უარესი - სასურველის სინამდვილედ გასაღების მცდელობად უთვლიან მედვედევს.
ბაზრძილაბა A8 გვირდვა

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

ნათელაშვილს ალასანიას ოპოზიციონერობის არ სჭერა

“ოპოზიციაში გადასვლა სულაც არ ნიშნავს ოპოზიციონერობას, ჭეშმარიტ ოპოზიციონერობაში ნებისმიერ პოლიტიკოსს ძალზედ რთული და ეკლანი გზა აქვს გასავლელი. მაგალითად, ჩვენ უკვე რამდენი წელია, ოპოზიციაში ვართ, მაგრამ ზოგ-ზოგიერთებს მაინც ეჭვი ეპარებათ წევნის ოპოზიციონერობაში,” - განაცხადა “ლეიბორისტული პარტიის” ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, მისთვის რთულად დასავლეთში, რომ “თბილ კაბინეტებში გამოზრდილმა ირაკლი ალასანიამ ამჟამინდელ ხელისუფლებას ჭეშმარიტი ოპონირება გაუწიოს.” **პირველი**

სააკაშვილი უფლებამოსილებას შეიზღუდავს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საკუთარი უფლებამოსილების შემცირების და პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდის ინიციატივით გამოდის. პრეზიდენტმა პარლამენტს შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით უკვე მიმართა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა აკაკი მინაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის ინიციატივას პარლამენტი 29 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე განიხილავს. აღნიშნულ წინადადებაზე საზოგადოება და პოლიტიკური პარტიები იმსჯელებენ, სავარაუდოდ, ერთი თვის შემდეგ პრეზიდენტის ინიციატივას პარლამენტი დაუბრუნდება. **პირველი**

ნდობის ჭკუფის ახალი წვერი

საპარლამენტო უმრავლესობის ნდობის ჯგუფის ახალი წვერი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მეორე მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი სოსო ქუთათელაძე იქნება. გუშინდელ ბიუროს სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ სოსო ქუთათელაძე ნდობის ჯგუფში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრად დანიშნულ ნიკა რურუას ადგილს დაიკავებს. კანონის თანახმად, ნდობის ჯგუფის წვერი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე უნდა იყოს. **პირველი**

დავითაია ვიცე-სპიკერი ხდება

საქართველოს პარლამენტს მეშვიდე ვიცე-სპიკერი ეყოლება. აღნიშნულ თანამდებობას ფრაქცია “ძლიერი საქართველოს” წვერი, ოპოზიციონერი დეპუტატი პაატა დავითაია დაიკავებს. ოპოზიციას მეშვიდე ვიცე-სპიკერად დანიშნვის შემდეგ საპარლამენტო უმცირესობას სპიკერატში ორი წარმომადგენელი ეყოლება - ლევან ვეფხვაძე და პაატა დავითაია. ვიცე-სპიკერების რაოდენობა მას შემდეგ გაიზარდა, რაც ახალი მონვევის პარლამენტმა რეგლამენტში ცვლილება შეიტანა და ყველა ფრაქციას სპიკერატში საკუთარი წარმომადგენლის დანიშნვის შესაძლებლობა მისცა. **პირველი**

“ევრაზიის ფონდი” კახეთში ახალ პროექტებს განახორციელებს

რადიო “ჰერეთის” ცნობით, ევრაზიის ფონდი 2009 წლისთვის კახეთის რეგიონში სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას გეგმავს. ამ მიზნით ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის წარმომადგენლები კახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ფონდის წარმომადგენელმა ზაალ ანჯაფარიძემ განმარტა, რომ პროგრამები მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ განისაზღვრა. **პირველი**

პრემიერ-მინისტრს ახალი მრჩეველი ჰყავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილის მთავარ მრჩეველად თამარ კოვზირიძე დანიშნა. აღნიშნული გადაწყვეტილება გრიგოლ მგალობლიშვილმა თავად მიიღო. ამასთან, თამარ კოვზირიძე არა მარტო პრემიერის მრჩეველი, არამედ სავარეო-ეკონომიკურ საკითხებში მისი წარმომადგენელიც იქნება. კოვზირიძე 2004-2008 წლებში საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე იყო. **პირველი**

ირაკლი ალასანია ქუჩის აქციებზეც იქნება

გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია ქვეყანაში ცვლილებების გეგმების აუცილებლობაზე საუბრობს და საჭიროების შემთხვევაში, ქუჩის აქციებზე ტრიბუნასთან მეგაფონით დგომისთვის მზადყოფნასაც გამოთქვამს. “კონსტიტუცია აძლევს მოსახლეობას საშუალებას, საკუთარი იდეის რეალიზაცია რეფერენდუმის გზით მოახდინოს. ქუჩის მშვიდობიანი აქციაც ხალხის ნების გამოხატვის აბსოლუტურად ბუნებრივი ფორმაა და საერთოდ, მრავალი საშუალება შეიძლება მოიხაზოს. თუმცა ყურადღება მინდა გავამახვილო, რომ ყველაფერი კონსტიტუციურ ჩარჩოებში უნდა მოხდეს,” - განაცხადა ალასანიამ. **პირველი**

მრჩეველთა ჭკუფის ხელმძღვანელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილის მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელი ვახტანგ ლეჟავა გახდა. 2004-2008 წლებში ვახტანგ ლეჟავა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე იყო. ეს პოსტი მას კანცელარიის ამჟამინდელი უფროსის კახა ბედუაშვილის მინისტრობის პერიოდშიც ეკავა. **პირველი**

პირველი გავრდიდან

ახალი, 2009 წლიდან კიდევ უფრო გაიზრდება საჩხერის მაჟორიტარი დეპუტატის სამსონ ქუთათელაძის პასუხისმგებლობა: გუშინ ის “ნდობის ჯგუფის” წევრად დაამტკიცეს. ალასანიშნავია, რომ მთელი ეს საპარლამენტო ორომტრიალი ან უკვე ყოფილი დეპუტატების, ნიკა რურუასა და ლაშა ფვანიას მთავრობაში გადასაცვლელად განაპირობა.

“დომინოს ეფექტი” თვალშისაცემია დიპლომატიურ უწყებაშიც, რომელიც გუშინ საკმაოდ გადახალისდა.

ოპოზიცია იმდენი იკიჟინა, ზაზა ბეგაშვილს ჩინეთში ელჩად რა უნდაო, რომ თბილისის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს, ბოლოს და ბოლოს, პეკინს ატოვებინებენ: ბეგაშვილის ნაცვლად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად პარლამენტმა კარლო სიხარულიძე დაამტკიცა.

ზაზა ბეგაშვილისგან განსხვავებით, ირაკლი ალასანიამ დიპლომატიური სამსახური ნეაყოს ფლობით დატოვა. ოპოზიციაში გადასული დიპლომატის ადგილს ნიუ-იორკის ოფისში

ოლგა ალენოვა

“*კომარსანტი*”
საკავშიროსაგონდონი, “*ვლასტი*”

გასულ კვირას მოსკოვის ოსური საზოგადოება განაცხადებით გამოვიდა და “სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის დისკრედიტაციისაკენ მიმართული კამპანიის” შეწყვეტა მოიხოვა. განაცხადების მიზეზი გახლავთ “კომისანტ-სი” და “გრემია ნოვოსტიაში” 5 დეკემბერს ერთდროულად გამოქვეყნებული ორი ინტერვიუ გახდა: პირველი - სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივან ანატოლი ბარანკევიჩთან; მეორე - კომპანია “სტროიპროგრესის” გენერალურ დირექტორ ალბერტ ჯუსსოევთან. ორივე ედუარდ კოკოითის და ომის შემდეგ რესპუბლიკაში საკმაოდ კრიტიკული სიტუაციის შესახებ ისაუბრა.

მაგალითად, ბარანკევიჩმა კოკოითი ომის დროს ცხინვალის მიტოვებაში დაადანაშაულა. გარდა ამისა, მას ბრალი დასდო ჰუმანიტარული დახმარების გაცემისას და აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობისას გამოჩენილ გულგრილობასა და კორუფციის გამო. საპასუხოდ, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა აღნიშნა, რომ “კომერსანტში” შეკვეთილი მასალა გამოქვეყნდა და იქვე დაზუსტდა, რომ ეს “პროქართული ძალების” დაკვეთა იყო.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის განცხადება პირადად მეხება: ბარანკევიჩისგან ინტერვიუ მე ავიღე. ეს ბარანკევიჩს არ შეეძოთ თავაზებია, ჩანერას დიდ ხანს თავად ეთხოვდი. გენერალი ინ-

ახალი წლიდან - ახალ თანამდებობაზე

კახა ლომია იკავებს: ეროვნული უშიშროების საბჭოს ექს-მდივანი გაერო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა.

ლომიაისთან ერთად გაემგზავრება ოკეანის გაღმა ბათუ ქუთელიაც: თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე აშშ-ში (პლუს, კანადასა და მექსიკაში) საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტს დაიკავებს.

გუშინ პარლამენტმა დიპლომატიურ უწყებაში კიდევ რამდენიმე ვაკანსია შეავსო: გიორგი ზადრიძე საქართველოს ინტერესებს დაიცავს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, პლუს, ირლანდიის რესპუბლიკაში; მამუკა კუდავა - საფრანგეთში, პორტუგალიასა და მონაკოს სამთავროში, აგრეთვე იუნესკო-ში; ტარიელ ლებანიძე - თურქეთში, ალბანეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში; გრიგორ ქათამაძე - უკრაინაში.

გარდა ამისა, პარლამენტმა თანხმობა მისცა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად გელა ჩარკვიანის, ხოლო სუამ-ში მუდმივ წარმომადგენლად - მერაბ ანთაძის

დანიშვნას.

“**მთავრობაში კარუსელს მიჩვეულები ვართ, მაგრამ იქნებ ვინმემ ამიხსნას, ელჩებთან დაკავშირებით რაღა ხდება? ხელის ერთი მოსმით ყველა რატომ მოიხსნა?**” - ეს შეკითხვა პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატმა ჯონდი ბალათურიამ დასვა, მაგრამ “ქართული დასის” ლიდერის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება არავინ ისურვა: ახალი ელჩების მისამართით საპარლამენტო ტრიბუნიდან, ძირითადად, დითირამბები და ქება-დიდება ისმოდა.

“**ქართულ დიპლომატიას რთული პერიოდი უდგას. ამიტომ, ახალი ელჩები მეტად მნიშვნელოვან უზნებზე მიდიან. თითოეულ მათგანს ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მათ ძალიან მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ ქვეყნის წინაშე,**” - ელჩების ახალი “ნაკადის” წარმატებაში დარწმუნებულია პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი. მის ამ რწმენას არ იზიარებენ “ქრისტიან-დემოკრატები”: გიორგი თარგამაძე და ლევან ვეფხვაძე მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი პერსონა (კერძოდ, კახა ლომია და ბათუ ქუთელია), აგვისტოს

გაკვეთილების გათვალისწინებით, ასეთ მაღალ თანამდებობებს არ იმსახურებენ. თავისი ნათქვამის გასამყარებლად, თარგამაძე და ვეფხვაძე აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი კომისიის დასკვნას ასახელებენ, რომელშიც ეროვნული უშიშროების საბჭოსა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები არც თუ დადებითად არიან მოხსენიებული. თუმცა, “ქრისტიან-დემოკრატების” პრეტენზიებს სახელისუფლებო ფრაქცია არ დაეთანხმა და ლომია-ქუთელიას ტანდემი ბოლომდე დაიცვა...

ახალი წლისთვის თანამდებობრივად არ დანიშნაურებულა, მაგრამ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ნამდვილად იგრძნობს რამდენიმე დეპუტატი: გუშინ პარლამენტმა მიიღო დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც ლიახვის, ქარელის, მესტიის და ახალგორის საარჩევნო ოლქებიდან არჩეულ დეპუტატებს, “დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობის მიზნით”, ყოველთვიურად პარლამენტის ბიუჯეტიდან დამატებით 1070 ლარი (თითოეულს) გამოეყოფათ.

ამ დადგენილების ინიციატორი მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი კანდიდ კვიციანია.

ოსების დუმილი

ტერვიუზე მას შემდეგ დამთანხდა, რაც რეგიონული განვითარების სამინისტროში თანამდებობა დატოვა - იქ სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოდან ნამოსვლის შემდეგ მუშაობდა.

შემიძლია ვთქვა, რომ არანაირ “პროქართულ ძალებს” არ უთხოვიათ ჩემთვის ბარანკევიჩისგან ინტერვიუს აღება (თუკი შესაძლებლობა მექნებოდა, სიხარულით ავიღებდი ინტერვიუს კოკოითისგანაც). უბრალოდ, სასაცილოა იმ გენერლის “პროქართულობაში” დადანაშაულება, რომელიც აგვისტოში შეიარაღებული იცავდა ცხინვალს და საკუთარი ხელებით ორი ქართული ტანკი ააფეთქა.

უბრეველსად, ეს არის ედუარდ კოკოითის რეჟიმის მიერ რეაქცია კრიტიკაზე. როგორც კი პრეზიდენტს რესპუბლიკის შიგნით პრობლემები ექმნება, ის იქვე რთავს ანტიქართულ რიტორიკას. ამისთვის ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებ ძმებ კოზაევიძის მაგალითის გახსენება ღირს. მათ 9 აგვისტოს ჯავაში კოკოითი ცხინვალის მიტოვებაში დაადანაშაულეს. ძმები პრეზიდენტის დაცვამ დააკავა. შემდეგ კოკოითმა კოზაევიძის საქართველოს აგენტები უწოდა - მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მათგანი ოსეთ-საქართველოს პირველი ომის დროს ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა.

სამხრეთ ოსეთში ანალოგიურად ექცევიან ყველას, ვინც ხელისუფლებით უკმაყოფილოა და ამას ღიადა აცხადებს. კოკოითთან წინააღმდეგობა საქართველოს მხარეს ყოფნას ნიშნავს. არ გამოიკვირდება, თუკი მალე აღმოჩნდება, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ დანიშნული პრემიერი ას-

ლანბეგ ბულაცაევიც “პროქართულ ძალებს” მიიჩნის. ჩრდილოეთ ოსეთის ჩინოსნების თქმით, ბულაცაევი “ფე-ეს-ბე”-ს ყოფილი თანამშრომელი და ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელია. სამხრეთ ოსეთის პრემიერად მისი დანიშვნა კოკოითს მოსკოვმა აიძულა. ამბობენ, რომ ერთი თვის წინათ პრემიერთან მივიდნენ შეიარაღებული ადამიანები და უთხრეს - “**შენ აქ არ იმუშავებ**”. იმავე დღეს ბულაცაევი ვლადიკავკაზში აღმოჩნდა. მას ინფარქტი დაემართა. დღემდე პრემიერის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს. სამხრეთ ოსეთში ედუარდ კოკოითის ერთპიროვნული მმართველობა.

ჩემთვის ერთი რამ ნათელია: სამხრეთ ოსეთში, მართლაც, მიმდინარეობს ბრძოლა ხელისუფლებისთვის. ეს ყველაფერი მახსენებს იმ პერიოდის ჩეჩნეთს, როცა მოსკოვიდან გაგზავნილ პრემიერებს ხელთათმანებოვით ცვლიდნენ, რადგან ისინი ჩეჩნეთის პრეზიდენტ აჰმად კადიროვის არ მოსწონდა. ზოგი კადიროვთან და კონტაქტის შემდეგ ტოვებდა პოსტს, ზოგიც მას შემდეგ, რაც მონამლული საავადმყოფოში ხვდებოდა. ზუსტად ამგვარად აკრიტიკებდნენ უკმაყოფილო მოსკოველი ჩეჩნები ჩეჩნეთის შიგნით არსებულ წესრიგს. შემდეგ კი ყველა გაჩუმდა - როდესაც ჩეჩნეთის ბოლო რუსი პრემიერი სერგეი აბრამოვი ავტოკატასტროფაში მოხვდა და იგი უკვე აჰმად კადიროვის ვაჟმა რამზან კადიროვმა შეცვალა.

მე არ ველოდი, რომ სამხრეთ ოსეთი მალე გადაიქცეოდა ჩეჩნეთად. ყველაფერი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ოღონდ, ქართული

ფაქტორის ნაცვლად, ჩეჩნეთში ტერორიზმი და ადგილობრივი შეიარაღებული წინააღმდეგობები არსებობდა. კადიროვის მიერ ხელისუფლების უზურპაცია მხარს უჭერდნენ როგორც მოსკოვში, ასევე თავად ჩეჩნები. რადგან მათაც და მოსკოვსაც მუდმივი სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომის შემდეგ მშვიდობა სჭირდებოდათ, თუნდაც ილუზიური.

შეიძლება მკითხოთ: რა, განა ჩეჩნეთში ახლა საქმე ცუდად არის? დიხს, იქ მკაცრი ხელისუფლებაა. დიხს, იქ პრეზიდენტი თითქმის ღმერთია, ხოლო მასთან დაახლოებულ ადამიანებთან მიღწევა შეუძლებელია. მაგრამ ამის ახსნა აღმოსავლური მენტალიტეტი შეიძლება. რა თქმა უნდა, ახსნა შესაძლებელია... შემდეგ ვუყუროთ, ამ მენტალიტეტის მქონენი როგორ აწყობენ გარჩევებს ცეცხლსასროლი იარაღით. ისინი კადიროვის მტრებს მოსკოვის ცენტრში ხოცავენ ან ერთ დღეში უსწორდებიან ექვს ქალს. რა უნდა გააკეთო, მენტალიტეტი ასეთი.

არცთუ დიდი ხნის წინათ ჩრდილოეთ ოსეთის ჩინოსნები ედუარდ კოკოითის მოქმედებებს ისხენებდნენ. მე მათ ვკითხე: “**რატომ დუმხართ?**” “**რატომ უნდა ჩავერიოთ?** - მიპასუხა ჩინოვნიკმა. - **მოსკოვი თვითონ გაუმკლავდება. ჩვენ ვდუმვართ, ამიტომ ყოველთვის მოგებულები ვართ**”.

მე ახლა არ ავლაპარაკებულვარ, სამხრეთ ოსეთი დიდი ხანია, რუსეთის რეგიონად მოიაზრება. თუმცა, მოსკოვის უდიდესი ფინანსური გავლენის მიუხედავად, ეს რეგიონი ზამთარს მაინც არ შეხვედრია მომზადებულნი.

გაზეთი "24 საათის" გამოცემაში მისი "გზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშვილი, პაატა მუხამიძე.
რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კლასონია (რევიუ), კახა ფარუშვილი (სპორტი). **რედაქცია:** თამარ ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამარ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუბაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მკვდარი სიცრუე

პირველი გვერდიდან

"ჩვენ ვეპქვს საფუძველი, ქართული სამხედრო ხელმძღვანელობის და ჯარის ქმედებებს მივცეთ აგრესიული ქმედების კვალიფიკაცია, რომელიც მიმართული იყო სამხრეთ ოსეთის ხალხის, როგორც ეთნიკური ერთობლიობის გასანადგურებლად," - შეაჯამა მუშაობის შედეგები ბასტირკინმა და დასძინა, რომ "გენოციდის ფაქტის აღიარებისთვის მნიშვნელოვანია არა მსხვერპლის რაოდენობა, არამედ დანაშაულის მიზანი და მოტივი." მოტივი კი, მისი მტკიცებით, რუსულმა პროკურატურამ უტყუარად დაადგინა.

"საქართველომ 8-12 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაცია განახორციელა, ქართულმა ჯარებმა სრულად გაანადგურეს რესპუბლიკის დედაქალაქი ცხინვალი და მრავალი დასახლებული პუნქტი და (სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მონაცემებით) მოკლეს ათას ხუთასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები," - ყველაზე საოცარი ისაა, რომ ეს ტექსტი, რომელიც აგვისტოდან მოყოლებული რუსულ სააგენტოში "რია ნოვოსტის" "ბეჭდარაუნდებში" მუდმივად მეორდებოდა (დალუპულთა რიცხვის უმნიშვნელო მერყეობით), კვლავ გამოქვეყნდა 23 დეკემბერს - უკვე მას შემდეგ, რაც ბასტირკინმა 162 დალუპულის შესახებ ოფიციალური ვერსია გაახმოვანა. ანუ, ამ მონაცემების მიუხედავად, რუსული პროპაგანდისტის კვლავ ძალაში რჩება ვერსია "ათას ხუთასზე მეტი დალუპული" შესახებ.

რუსული სიკრუის ქრონიკა აგვისტოდან დღემდე ასე გამოიყურებოდა:

8 აგვისტოს, ჯავაში მყოფმა ედუარდ კოკოითმა, რომელსაც ძალზე მიახლოებით წარმოედგენა ჰქონდა ცხინვალში არსებულ ვითარებაზე, ქართული არტილერიის ცეცხლის შედეგად 1600 დალუპულის შესახებ განაცხადა.

10 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა ფრანგ კოლეგა ნიკოლა სარკოზისთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ქართველთა "ბარბაროსულ აქციას" ორი ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა.

11 აგვისტოს, რუსეთის საგა-

რეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული "დაზუსტებული მონაცემებით", კონფლიქტის შედეგად 1600 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

14 აგვისტოს, გაერო-ში რუსეთის ელჩმა ვიტალი ჩურკინმა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წერილში დალუპულთა რაოდენობად 1500 დასახელა.

20 აგვისტოს, რუსეთის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტმა 133 მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვის ფაქტის გამოვლენის შესახებ განაცხადა. თუმცა, იმავე დღეს "სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის კომიტეტის" ხელმძღვანელმა ირინა გაგლოევამ განაცხადა, რომ დალუპულთა რაოდენობა 1492-ს შეადგენს.

11 სექტემბერს, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ "ცნობილია 1632 დალუპულის შესახებ."

1 ოქტომბერს, სამხრეთ ოსეთში მყოფმა რუსეთის საზოგადოებრივი პალატის კომისიამ 1694 მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვის შესახებ განაცხადა.

რუსეთის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელის განცხადებებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. "აღსანიშნავია, რომ ადრე რუსული მხარე, თავის მარიონეტულ რეჟიმებთან ერთად, სულ სხვა ციფრებით ოპერირებდა - მათი თქმით, მსხვერპლთა რაოდენობა 2500-საც კი აღემატებოდა," - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, თითოეული დეკარგული სიცოცხლე ტრაგედიაა და მით უფრო ცინიკურად გამოიყურებოდა რუსეთის მცდელობა, დალუპულთა რაოდენობის მანიპულირებითა და მათ დალუპვაში საქართველოს დადანიშნულებით მიეღნა საკუთარი "პოლიტიკური" მიზნებისთვის.

"ვიმედოვნებთ, რომ ნამდვილი გამოძიება დემოკრატიულ რუსეთში ერთ მშვენიერ დღეს დაადგენს, რომ რუსეთმა განახორციელა სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, უმოწყალოდ დაბომ-

ბა საქართველოს ქალაქები, დახოცა მშვიდობიანი მოქალაქეები, მოახდინა ეთნიკური წმენდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო სამართლის ნორმები და თავისი საერთაშორისო ვალდებულებები. ვფიქრობთ, ეს იქნებოდა რუსული მხარის გამოძიების ღირსეული დავიკრავინება," - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

რუსული მხარის განცხადებებს გამოეხმაურა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტიც. დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი შონ მაკკორმაკი დარწმუნებულია, რომ საქართველოს სამხრეთ ოსეთში გენოციდი არ განუხორციელებია. "შე ცოტა ეჭვი მეპარება არა მხოლოდ გამოძიებაში, რომელიც ამ დასკვნამდე მივიდა, არამედ თავად დასკვნაშიც," - აღნიშნა მაკკორმაკმა.

შეკითხვას იმის შესახებ, ჩაუდენია თუ არა ქართულ მხარეს დანიშნულებები კონფლიქტის დროს, მან ასე უპასუხა: "ჩვენი აზრით, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის რამეზე პასუხისმგებელი... რამე პოტენციურ დანიშნულებზე, რომლებიც ჩადენილია. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ დაინახოთ, რომ ყველა ადამიანი, ვინც დანიშნულია ჩაიდინა, დასჯილი."

რუსულ პროკურატურას აზრადაც არ მოსვლია იმ დანიშნულებათა გამოძიება, რომლებიც ოსურმა და რუსულმა მხარეებმა ქართულ სოფლებში ჩაიდინეს. როგორც აგვისტოში ბასტირკინის მოადგილე ბორის სალამაიკოვი აცხადებდა: "არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ დაიღუპნენ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებნი და მშვიდობისმყოფელები. რაც შეეხება ქართული სოფლების მოსახლეობას, ეს სისხლის სამართლის საქმის ჩარჩოებს სცილდება." ეს იმ დროს, როდესაც ქართული სოფლების განადგურების შესახებ ინფორმაცია როგორც რუსული და უცხოური მედიის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გავრცელდა. ეს ფაქტი თავად ედუარდ კოკოითმაც არ უარყო, როდესაც განაცხადა, რომ ოსურმა ძალებმა ქართულ სოფლებში "ყველაფერი გადაასწორეს." მოგვიანებით მოს-

კოვის მთავრობამ განადგურებული თამარაშენის ტერიტორიაზე "მიკრორაიონ მოსკოვსკის" მშენებლობა წამოიწყო.

მუდმივად მერყეობს ასევე რუსეთის ოფიციალური მონაცემები ომში რუსული მხარის სამხედრო დანაკარგის შესახებ. ბასტირკინის ბოლო ვერსიით, ბრძოლაში 48 რუსი სამხედრო დაიღუპა, თუმცა ამას ემატება "არასაბრძოლო" დანაკარგი. დაჭრილთა რაოდენობად 157 დასახელდა.

თავდაპირველი რუსული ვერსიით, კონფლიქტის დროს 74 რუსი სამხედრო დაიღუპა. "დაზუსტებული" ვერსიით, რომელიც რუსულმა გენერალურმა შტაბმა 20 აგვისტოს გაახმოვანა, დალუპულთა რაოდენობა 64-მდე შემცირდა. 11 სექტემბერს პროკურატურის წარმომადგენელმა ვლადიმერ მარკინმა 66 დალუპული სამხედრო მოსამსახურის შესახებ განაცხადა. იგივე ბასტირკინი სხვადასხვა დროს აკეთებდა განცხადებებს ჯერ 61, შემდეგ 47 დალუპულის შესახებ.

თუმცა, არსებობს დალუპულთა არაოფიციალური სიები. გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდას" მონაცემებით, აგვისტოს ომში 51 რუსი სამხედრო დაიღუპა. ოსური სააგენტო

"ოსინფორმის" მონაცემებით - 72. ერთ-ერთ ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულია დალუპულთა სია, შედგენილი რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, სადაც თითოეული დალუპული რუსი სამხედრო ვეარს ახლავს ლინკები შესაბამის პუბლიკაციებზე. ამ სიაში 61 რუსი სამხედრო მოხვდა.

რუსულ სამხედრო უწყებას დღემდე არ გამოუქვეყნებია კონფლიქტში დალუპულ სამხედროთა ზუსტი ოფიციალური სია, რაც ბადებს ეჭვებს, რომ რუსული სარდლობა დანაკარგების მიჩქმალვას ცდილობს. მით უმეტეს, რომ საქართველოს თავდაცვის უწყებამ დალუპულ და უგზო-უკვლოდ დანაკარგულ ქართველ სამხედროთა ოფიციალური სია ჯერ კიდევ ოქტომბერში გამოაქვეყნა. ამ სიის მიხედვით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დალუპულთა რაოდენობა 146-ს შეადგენს, უგზო-უკვლოდ დანაკარგულთა - 23-ს.

რუსების საჩუქარი საქართველოს პრეზიდენტს

რუსეთის ახალგაზრდული მოძრაობა "ნაში" ჯორჯ ბუშს, მიხეილ სააკაშვილს და ვიქტორ იუშენკოს საახალწლო საჩუქრებს გაუზღავნის. მოძრაობის გადამწყვეტილებით, "რუსეთის ყველაზე არამეგობრული სახელმწიფოების" ლიდერები საახალწლოდ სხვადასხვა სახის საჩუქრებს მიიღებენ კერძოდ, მიხეილ სააკაშვილი - დამწიფებული ჰალსტუხებს, ვიქტორ იუშენკო - მემკვიდრეობის კი - მსოფლიოს ახალ რუკას. სააგენტო "რია ნოვოსტის" ინფორმაციით, რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარე სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რუსები მათთვის ყველაზე მტრულად განწყობილ პრეზიდენტებად სააკაშვილს, ბუშსა და იუშენკოს მიიჩნევენ. პირველი

დავითაის კომისია დაიხურა

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის მუშაობის ვადა გუშინ ამოიწურა. პარლამენტში უკვე გაიმართა კომისიის დასკვნითი სხდომა. სხდომაზე იმ ინფორმაციის განსაჯარობაზე იმსჯელეს, რომელიც კომისიამ მისი მუშაობის დროს სხვადასხვა თანამდებობის პირებისგან მოიპოვა. კომისია 26 სექტემბერს შეიქმნა, სადაც 22 სხვადასხვა თანამდებობის პირს მოუსმინეს, მათ შორის - საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. მოსმენების შემდეგ კომისიამ 200-გვერდიანი დასკვნა შეიმუშავა, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ პაატა დავითაიამ პირდაპირ ეთერში წაიკითხა. პირველი

"სოკართან" ყველაზე მასშტაბური ხელშეკრულება დაიდო

საქართველოს მთავრობასა და კომპანია "სოკარს" შორის სადისტრიბუციო კომპანიების ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელი გუშინ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მოეწერა. ხელშეკრულების გაფორმებისას საქართველოს მხარეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია წარმოადგენდა, ხოლო "სოკარს" - ბაქოდან სპეციალურად ჩამოსული დელეგაცია როვნაგ აბდულაგის ხელმძღვანელობით და "სოკარის" ქართული შვილობილი კომპანიების ხელმძღვანელობა ბატონ მაირ მამედოვის თავკაცობით. გაზის სფეროში ეს საქართველოს მთავრობის ყველაზე მასშტაბური ხელშეკრულებაა. პირველი

ლიტველი მინისტრი, ფაქტობრივად, მთელ მთავრობას შეხვდება

დღეს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიგაუდას უშაცკასი საქართველოს სამკაცინი დელეგაციით ესტუმრება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილთან, უშიშროების საბჭოს მდივან ეკა ტყემლაშვილთან, ვიცე-პრემიერ გიორგი ბარამიძესთან, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილთან, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან, თავდაცვის მინისტრ დავით სიხარულიძესთან და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან. პირველი

უმალესი დონის კურსები თავდაცვის აკადემიაში

გუშინ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ბატალიონის მეთაურთა და ბრიგადის შტაბის ოფიცერთა გადამზადების კურსის დამთავრება საზეიმო ცერემონიალით აღნიშნეს. კურსის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომები 16 ოფიცერს გადაეცა. კურსანტებმა გააარეს თეორიული და პრაქტიკული კურსი, რომელმაც მოიცვა ტაქტიკა, ბრძოლის ჩატარებისა და უზრუნველყოფის თეორია, ასევე საბრძოლო ბრძანებებისა და წერტილების დაგეგმარება. ასეთი დონის კურსი აკადემიაში პირველად ჩატარდა. ის მანუერის კაპიტნის საკარგიერო კურსების ბაზაზე ჩამოყალიბდა და აკადემიის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით გაიმართა. პირველი

ოლეგ პანფილოვი ქართველ ქურნალისტებს და სტუდენტებს შეხვდა

ცნობილი რუსი ჟურნალისტი ოლეგ პანფილოვი იმერეთში იმყოფება. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პანფილოვის დოკუმენტური ფილმის - "ომის ფოტოგრაფები" - საჯარო ჩვენება შედგა. ფილმში ირაკლი, ვიქტორია და სხვა ომების შესახებ 20-ზე მეტი ფოტოკორესპონდენტის ნამუშევრებია წარმოდგენილი. ჩვენებას ჟურნალისტები და სტუდენტები დაესწრნენ. ქუთაისში ასევე გაიმართა დისკუსია, რომელიც გაზეთ "24 საათის" რედაქტორ-გამომცემელ პაატა ვეშაპიძის მიჰყავდა. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პანფილოვს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ექსტრემალური ჟურნალისტიკის შესახებ ლექციების წაკითხვა შესთავაზა, რაზეც პანფილოვმა თანხმობა განაცხადა. რუს კოლეგას ქუთაისელმა ჟურნალისტებმა ქალაქის ღირსშესანიშნაობები - ბაგრატიის ტაძარი, გელათი და ქუთაისის რეაბილიტაციული ინსტიტუტი (ცენტრი დაავადებულთა რეაბილიტაციისთვის) ისტორიული ცენტრი დაათვალიერებინეს. ინტერპრესნიუსი

პარლამენტში 2008 წლის ბოლო სხდომა გაიმართება

გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სესია გაიმართა. მიმდინარე წელს პარლამენტის კიდევ ერთი რიგგარეშე სხდომა 30 დეკემბერს გაიმართება. რეგლამენტის თანახმად, სამომდგომო სესია გასულ პარასკევს დაიხურა, თუმცა იმის გამო, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი განსახილველი დარჩა, მათ შორის 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი, რიგგარეშე სესიები დაიგეგმა. "ჯი-იუ-ენი"

პრიზები ჟურნალისტებისთვის

გუშინ მედიის წარმომადგენლები სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" შეიკრიბნენ, სადაც სოციალურ თემაზე მომუშავე ჟურნალისტების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. სოციალურ თემაზე გამოქვეყნებული ნამუშევრების კონკურსი არასამთავრობო

ორგანიზაციამ "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა" შემოდგომაზე გამოაცხადა.

"ვიზრუნოთ ერთმანეთზე" - ასეთ სახელწოდებას ატარებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კონკურსი. წელს ის უკვე მეორედ გაიმართა. ჟურნალისტები დაჯილდოვდნენ საუკე-

თესო საგაზეთო სტატიისთვის, სატელევიზიო, რადიო სიუჟეტისთვისა და ფოტო ნამუშევრისთვის.

საუკეთესო საგაზეთო სტატიის ნომინაციაში გაიმარჯვა ჟურნალისტი მანუა ჯაიანმა ნამუშევრით - "ნარკომანია განაჩენი არ არის". საუკეთესო ფოტონამუშევრისთვის მარიკა ამურველაშვილი დაჯილდოვდა, საუკეთესო რადიოსიუჟეტისთვის კი კონკურსით გათვალისწინებული პრიზის მფლობელი სამი ჟურნალისტი გახდა: გოგა აფციაური ("და-ეხმარეთ"), ეკა ჭითანავა - სიუჟეტით მიუსაფარ ბავშვებზე და ჯიმშერ რეზვიაშვილი - სიუჟეტით მიგრაციის შესახებ. საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტის ნომინაციაში გაიმარ-

ჯვა თემურ ბარძიმაშვილმა, რომლის ნამუშევარი უსინათლოთა დასაქმების პრობლემებს ეხებოდა. როგორც წარდგენისას ჟურნალისტმა დავით პაიჭაძემ განაცხადა, ჟიურიმ ერთხმად მიიჩნია სიუჟეტი საუკეთესო ნამუშევრად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეთერში არ გასულა.

დევნილების შესახებ საუკეთესო სტატიისთვის დაჯილდოვდა გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტი ნინო დალაქიშვილი.

კონკურსს პარტნიორობა გაუწია კომპანია "აი-სი" ჯგუფმა, რომელმაც ოთხივე ნომინაციაში დააწესა სპეციალური პრიზი, ჯანმრთელობის დაზღვევის ერთწლიანი პაკეტის სახით.

უპუპრობით დასაქმებულთა მოლოდინი

ს.ს. „მადნეულმა“ 100-მდე თანამშრომელი, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისის დასრულებამდე, უხელფასო შვებულებაში გაუშვა.

მარიკა ნიქორიძე, ბოლნისი

საქართველოში ერთადერთ და ყველაზე დიდ სპილენძისა და ოქროს მომპოვებელ საწარმოში 100-ზე მეტი თანამშრომელი უხელფასო, უვადო შვებულებაში გაუშვეს, ს.ს. „მადნეულში“ აცხადებენ რომ, კომპანიაში მასობრივი შემცირებები არ განუხორციელებიათ, მუშახელის დროებით შვებულებაში გაშვებას კი, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზის უკავშირებენ. ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში მცხოვრები მოსახლეობის ერთი ნაწილი, ისინი ვინც სს „მადნეულში“ თანამშრომლებად ითვლებიან და უხელფასო შვებულებაში მოხვდნენ, ასევე ისინი ვინც ახალ საბადოზე დასაქმებას ელოდნენ, ახლა მხოლოდ

ამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დასრულების მოლოდინში არიან. „სოფელ ბალიჭში სამასი კომლი ვცხოვრობთ, რამდენიმე ადამიანი მუშაობდა კარიერზე და ახლა ისინიც უმუშევრად სხედან, თქვენი რომ „მადნეულში“ დღე შემცირებები მიდისო, 1500 კაცი შეუმცირებიათ. მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასმა იკლო, კერძო კომპანია და მოგება რომ ნახოს, მუშახელი უნდა შეამციროსო, არადა ხალხს ბანკებიდან კრედიტები აქვეთალებული, ამას ისიც ემატება რომ ფასებმა ყველაფერზე აიწია.“ - აცხადებს სოფელ ბალიჭში მცხოვრები რუსლან ალგოროვი. ს.ს. „მადნეულის“ გენერალური დირექტორი მანუჩარ ახალაია კი, განმარტავს, რომ უმძიმესმა მსოფლიო კრიზისმა პირდაპირი ასახვა სწორედ

„მადნეულის“ მსგავს კომპანიებზე ჰპოვა, ორი თვის მონაცემების მიხედვით სპილენძის ფასმა მსოფლიო ბაზარზე ორნახევარჯერ იკლო. „შეგიძლიათ ნახოთ, თუ რა ვითარებაა მსოფლიოში ჩვენს მონათესავე კომპანიებში, თუ როგორ მცირდება წარმოების ფასი და როგორ ნახევრდება სამუშაო ადგილები. მსოფლიო კრიზისი ჩვენ გვერდს ვერ აგვივლიდა, რაც შეეხება მუშებს - 1500 კაცის შემცირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია აბსოლუტური სიცრუეა. ასეც რომ ყოფილიყო, ნამდვილად არ მოგვერდებოდა ამის თქმა. ჩვენთვის სოციალური პასუხისმგებლობის მომენტი მნიშვნელოვანია. არავინ შეგვიმცირებია, 100-მდე თანამშრომელი უხელფასო შვებულებაში გაუშვით, და ეს ჩვენი მუშახელის მხოლოდ შვიდი პროცენტია. გარწმუნებთ, როგორც კი,

მსოფლიო ბირჟებზე გამოსწორდება მდგომარეობა, მზად ვართ ისინი უახლოეს დღეებში დავაბრუნოთ სამსახურში“, - აცხადებს ს.ს. „მადნეულის“ გენერალური დირექტორი მანუჩარ ახალაია. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი „მადნეულის“ არა მხოლოდ მოქმედ კარიერებსა და იქ მომუშავე მუშახელს შეეხო, არამედ ახლად გახსნილ საბადოებსაც. ს.ს. „მადნეულის“ მიერ რამდენიმე თვის წინ გახსნილი ბალიჭისა და საყდრისის საბადოები ამჟამად გაჩერებულია, არადა არსებობდა დაპირება, რომელიც დაახლოებით 1000 სამუშაო ადგილის შექმნას ითვალისწინებდა, ახალ საბადოებზე ადგილობრივი მოსახლეობა უნდა დასაქმებულიყო. დაბა კაზრეთსა და სოფელ ბალიჭში რუსლან ალგოროვი ერთადერთი არ არის ვინც ს.ს. „მადნეულისგან“ დასაქმების შესახებ, შემო-

თავაზებას ელოდებოდა და დღემდე ელოდება. მისი მეზობელიც - თამაზ გიორგაძეც ამბობს რომ, უკვე დასაქმების ყველანაირი იმედი გადაეწურა. „რამდენჯერაც შევიტანე განცხადება, პასუხი არავინ გამცა. ჩვენ „მადნეული“ უმუშევრობით გვასაქმებს. აბა კითხეთ უმრავლესობას ვინ არის იქ დასაქმებული - 96% ჩამოსულები. ამ კარიერისგან ჩვენ მტვერი და ნაგავი გვაქვს, ფულებს კი, სხვები იღებენ, შეგვიპირდნენ რომ ადგილობრივებს დასაქმებდნენ, მაგრამ სიტყვები ქარმა წაიღო, 19-20 წლის ბიჭები უსაქმურად დადიან, დაასაქმონ რატო არ ასაქმებენ? ისინი ხომ მაინც არიან ახალგაზრდები“, - ბრაზობს სოფელ ბალიჭში მცხოვრები თამაზ გიორგაძე. ადგილობრივი მოსახლეობის განწყობისგან განსხვავებით, ოპტიმისტურია თავად კომპანიის გეგმები.

ს.ს. „მადნეულში“ აცხადებენ რომ, ყველა გაცხადებული პროექტის განხორციელებას გეგმავენ, რომელიც ძირითადად დასაქმებასა და წარმოების განვითარებაზეა ორიენტირებული. „მადნეულმა“ არათუ შეაჩერა, ან შეამცირა მოცულობა, არამედ მიდის იქითკენ რომ ეს მოცულობა გაზარდოს. ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში მდგომარეობა გამოსწორდება, ჩვენი დაპირება - ახალ სამუშაო ადგილებზე, ახალ პროექტებზე, ბუნებრივია ძალაში რჩება. სამწუხაროდ, დღეს იძულებული ვართ მინიმალური ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების ხარჯზე, წარმოების მოცულობა არ შევამციროთ“, - აცხადებს მანუჩარ ახალაია. სააქციო საზოგადოება „მადნეულში“ ამჟამად 1580 ადამიანია დასაქმებული, აქედან 175 ადგილობრივი მუშახელია.

რატომ მიდიან სტაროვერები?

გრიგოლეთიდან წასული სტაროვერები რუსული მედიის ყურადღების ქვეშ მოექცნენ. საქართველოში დარჩენილები კი ყურადღებას ქართული მედიისგან ითხოვენ.

ლაშა ზარბიძე, ბრიგოლაში

„აქედან წასულ ჩვენს ძმებსა და დებზე აკეთებთ ხომ მასალას?“ - ადგილობრივი სტაროვერები სოფელ გრიგოლეთში ჟურნალისტური აპარატურით აღჭურვილი უცხო ადამიანის ჩასვლის მიზანს იოლად ხვდებიან. სოფელში სტუმრობის მიზნის თქმასთან ერთად, კითხვების დასმაც თითქმის საჭირო არ არის. სტაროვერებს სათქმელი ბლომად დაუგროვდათ. აქ ყველა ოჯახში იციან იმ პუბლიკაციების შესახებ, რომელიც გრიგოლეთიდან ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი რუსეთში მათი თანათემელების გადასვლას მოყვა. რუსი ჟურნალისტი, იანა ამელინას საგაზეთო სტატიებში - „რუსები და ქართველები საქართველოდან გარბიან“, მაგალითად წერს: „სექტემბრის პირველი რიცხვებში ენგურთან, საზღვარი „სტაროვერების“ პირველმა ჯგუფმა გადმოკვეთა, რომელშიც 10 ადამიანი იყო, ისინი გურნიდან, ლანჩხუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთიდან არიან. ოქტომბერში მათი გზა კიდევ 19-მა თანაოფელმა გაიმეორა, მათგან ოთხი ქალი და ექვსი ბავშვია. ყველა მათგანს თან მოაქვს მხოლოდ პირველადი მოხმარების ნივთები.“ ამ სტატიაშიც, ისე როგორც სხვა პუბლიკაციებში, სტა-

როვერები აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოში მათი ეთნიკური ნიშნით დევნისა და შექმნილი გაუსასაძისი მდგომარეობის შესახებ ყვებიან. ვინმე დიმიტრი, მაგალითად ამბობს: „სადაც უნდა წავიდეთ, ყველგან კეთროვანებით გვიყურებენ. მალაზიაში საყიდლებზე მისულს არაფერს გვაძლევენ. შეურაცხყოფილად შეუძლიათ გვითხრან - წაეთრიეთ რუსეთში. ყველაფერი ეს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მერე დაიწყო, ხოლო ომის შემდეგ, საერთოდ, აუტანელი გახდა ცხოვრება“. წასულებისაგან განსხვავებით გრიგოლეთში დარჩენილ სტაროვერები არსებულ მდგომარეობაზე სულ სხვაგვარად ყვებიან: „გვიხარია, რომ ჩვენ აზრის გამოხატვის საშუალებას გვაძლევთ. არ გეგონოთ, რომ ყველა იმ აზრზე ვიყოთ, როგორც ამას აქედან წასული ახალგაზრდები ამბობენ. არ არის ამ ქვეყანაში უკეთესად ცხოვრების პირობები და ვერავინ ვერაფერს შეცვლის, ხალხი არაფერს შეუძლია. ყველაზე უფრო იმაზე მწყდება გული, რომ მეზობლებს ამაგი არ დაუფასდათ, პირდაპირ გეტყვიან-თუ არავინ გვებმარება, ხელსაც არავინ გვიშლის, ან როგორ დაგვეხმარება ვინმე, როცა თავად არიან დასახმარებელი? ჩვენ არასდროს მოგვითხოვია იმაზე მეტი, რასაც

ლმერთი გვაძლევს“, - ამბობს შუახნის ქალბატონი, რომელიც თვალცრემლიანი იხსენებს, გრიგოლეთიდან ნათესავების წასვლის მომენტს. „ბევრი ვემუდარეთ, რომ დარჩენილიყვნენ და ეს ნაბიჯი არ გადაედგათ, მაგრამ ახალგაზრდები არიან და არ დაგვიჯერეს. ახლა, როგორც ჩვენ ვიცით ყველა მათგანი უსახლკაროდაა ნათესავებს თავშეფარებული. არც სამუშაო აქვთ, არც საარსებო მინიმუმი. ამ მიზანზე გაგვიტარებია, მთელი ჩვენი ცხოვრება და რაღა ახლა უნდა ავიყაროთ, ან სად უნდა წავიდეთ, ეს ახალგაზრდების ახირება იყო და ვფიქრობ, რომ აჩქარდნენ“, - დასძენს იგი. წასული ახალგაზრდები კი რუსულ მედიასთან საუბარში აცხადებენ, რომ მათ გრიგოლეთიდან წამოსვლისკენ იმანაც უბიძგა, რომ ადგილობრივმა ხელი-სუფლებამ სოფლის სკოლაში რუსული სექტორის გაუქმების გადანყვებილება მიიღო. სოფელ გრიგოლეთში მცხოვრები სტაროვერების შვილები განათლებას დღემდე რუსულ ენაზე იღებენ. რუსული სექტორის შესაძლო გაუქმებას ადგილობრივები კატეგორიულად უარყოფენ. ამგვარი გეგმის არარსებობას ამტკიცებს განათლების სამინისტროს ფოთის რესურს ცენტრის დირექტორი გოჩა ქორქია. „ამგვარი რამ არავის აზრადაც არ მოსვლია“, - აცხადებს ქორქია. სკოლის ამბებთან ერთად

„გამოგონილ ბრალდებებს“ უწოდებს რუსულ მედიაში სოფელ გრიგოლეთიდან წასული სტაროვერების სახელით გამოქვეყნებულ განცხადებებს სუფსის თემის ადგილობრივი თითმმართველობის მაჟორიტარი ჯუმბერ ბლაგიძე. „სტატიებში საუბარია პოლიციის მხრიდან მათ შევიწროვებაზე, რაც აბსოლუტური ტყუილია. ადგილობრივებს კითხეთ. ამგვარ ფაქტებს ადგილი საერთოდ არ ქონია. ომის დროს, როცა რუსები „ბეტერებით“ გრიგოლეთში გადმოვიდნენ, ეს ახალგაზრდები მათ შეხვდნენ. ეს ორჯერ მომხდარა. შემდეგ ფოთშიც ყოფილან მათ საეუმავოებზე. იქნებ შევიწინადათ, რომ ამის გამო ვინმე მათ პასუხს მოთხოვდა და ამიტომ წავიდნენ“, - ვარაუდობს ბლაგიძე. გრიგოლეთში დარჩენილი სტაროვერებიც ადასტურებენ, რომ სამართადამცავთა მხრიდან მათ შევიწროვებას ადგილი არ ქონია. „იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი უკანონო თევზჭრის გამო დააჯარიმეს. მაგრამ პოლიცია განა ქართველებს არ აჯარიმებს? თავად ქართველები გამოდიან ქუჩაში და პოლიციის ქმედებებს ხშირად აპროტესტებენ. აბა ჩვენ მათში რატომ გამოგვარჩევნენ“, - ამბობს სტაროვერთაგან გრიგოლეთში დარჩენილი მოხუცი მამაკაცი. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არემიძე მიიჩნევს, რომ რუსეთში გადასული სტაროვერების შესახებ რუსულ მედიაში გამოქ-

ვეყნებული სტატიები რუსული პროპაგანდის ნაწილია: „სტაროვერები პაციფისტური ჯგუფია. საეჭვოა, მათ რუსულ მედიასთან იმგვარი განცხადებები საერთოდ გაეკეთებინათ“, - ამბობს ექსპერტი. ქრისტიანული სექტის - სტაროვერების მიმდევრები, რუსეთში დევნის შემდეგ, საქართველოში ერთ საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ. გრიგოლეთის გარდა მათი კომპაქტური დასახლებები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გვხვდება. სხვაგან ამგვარი დასახლებების დატოვება ახალგაზრდა სტაროვერებმა უკანასკნელ წლებში დაიწყეს. გრიგოლეთელი სტაროვერები განმარტავენ, რომ ისტორიულ სამშობლოში მათი დაბრუნების სურვილი არა ვინმეს მიერ მათი შევიწროვების, არამედ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილს უკავშირდება. მიუხედავად მათი ამგვარი განცხადებისა, სოფელ გრიგოლეთში სტაროვერების მდგომარეობის შესწავლით უკვე დაინტერესდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფოთის ოფისი. სადამკვირვებლო ჯგუფის ავსტრიელმა ექსპერტმა დორის ვოგელმა ამ მიმართულებით მოძიებული მასალები ჟურნალისტებისგანაც კი ითხოვა და პირობა დადო, რომ ევროკავშირის საკითხს დეტალურად შეისწავლის. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ამგვარ ინტი-

რესს მიესალმება სუფსის თემის ადგილობრივი თვითმმართველობის მაჟორიტარი დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე. „სტაროვერები თავად ითხოვდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ყურალისტებთან შეხვედრას. ამ მიზნით ისინი ერთ-ერთ რესტორანში შეიკრიბნენ და საჯაროდ განაცხადეს, რომ რუსულ მედიაში გამოქვეყნებულ არც ერთ განცხადებას არ ეთანხმებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მათგან ახალგაზრდების წასვლის ფაქტს რუსული მედია ბოროტად იყენებდა“, - აცხადებს ჯუმბერ ბლაგიძე. ბლაგიძის მონათხრობს გრიგოლეთში დარჩენილი სტაროვერებიც ადასტურებენ, მაგრამ საუარში მათ საყვედურები მაინც ცდებთ: „რა დავაშავეთ იმით, რომ პუტინს და მედვედევს თავში „შარიკები“ ამოუტრიალდათ?! ჩვენი ბრალია?! ამის გამო რატომ უნდა გვიყურებდეს, რომელიმე ქართველი ზვიდან და რატომ უნდა გვაყვედრიდეს იმას, რომ საკუთარ მიწაზე არ ცვსოვრობთ?! იგივე, როცა რუსეთში მცხოვრებ ქართველებს გაუკეთა რუსეთის ხელისუფლებამ, ხომ ცუდი იყო. მაგრამ ჩვენ ისე ჯერ არავინ მოგვეტყვიან, რომ ქუჩაში გამოვიდეთ და ამაზე ხმამაღლა ვისაუბროთ. გვეშინია უკვე, მარცხი გვეშინია“, - გვეუბნება ახალგაზრდა მამაკაცი და სხვებს ურჩევს ამ თემაზე საერთოდ შეწყვიტონ საუბარი.



ნაბიჯი მშვიდობა

საქართველოში ნანახისა და უპასუხოდ დარჩენილი სამშვიდობო ინიციატივების გამო, სამშვიდობო ინიციატივების კავკასიის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ვანიანი თვლის, რომ მშვიდობა წაგებულია.

ნათია კუკრაშვილი, ბორი, თბილისი

ჯვრის მონასტრის უკეთ დასახად გიორგი ვანიანი ავტობუსის ფანჯარასთან ფეხზე დგება. გიდი მცხეთის ისტორიის თხრობას განაგრძობს, მეფე მირიანის სასწაულებრივად მოქცევის ამბავი დასრულებულიც არ არის, რომ გიდი მოულოდნელად თხრობას წყვეტს და გიორგის გამომეტყველებაც იცვლება: „რა არის ეს საკონცენტრაციო ბანაკი? რეზერვაცია“? – გაოგნებულია გიორგი.

თიდან და უკრაინიდან ჩამოსული, საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე ჟურნალისტი, გიორგი ერევანში არასამთავრობო სექტორს წარმოადგენს, თუმცა „ომისა და მედიის“ შესახებ კონფერენციაში მონაწილეობა კონკრეტული მიზნებისთვის გადაწყვიტა: „ჩვენ მშვიდობა ნავაგეთ“, – ამბობს გიორგი ვანიანი, – „აგვისტოს ომის დღეებში ომის წინააღმდეგ უშედეგოდ ვცდილობდი ჩემი ქართველი და ოსი კოლეგების გააქტიურებას. ჩემთვის ყველა კარი დაიკეტა. დარწმუნებული ვარ, ომმა ათასი პრობლემა დატოვა და უფლებადამცველთა აქტიურობა ახლაც აუცილებელია. აქ სწორედ ამიტომ ვარ“.

უფლებების დაცვას გორის მერიასთან მდგარი ათობით ადამიანი ითხოვს და რადგან უცხოური ავტობუსიდან ჩამოსული უცხოელი სტუმრების უმრავლესობა სტალინის ძეგლთან ფოტოების გადაღებით არის დაკავებული, მათი პრობლემების მოსმენა ძირითადად სწორედ გიორგის უწევს.

ნელი პურიჭამიაშვილს სოფელ ბრონეთიდან იმის გარკვევა სურს, დანგრეულ სახლს ვინმე აღუდგენს, თუ კომპენსაციას ელოდოს. 75 წლის ნუნუ, რომელიც უკვე ახალ კოტეჯშია შესახლებული, მორიდებით ითხოვს, იქნებ დახმარების სახით მიღებული ზამთრის ტანსაცმელი ამოუცვალონ. ნუნუ ამბობს, რომ ტანსაცმელი ბავშვისა და ვერაფრით მორიდგო. „ძალიან, რომ არ ციოდე, მოვიტყევი, მაგრამ კოტეჯი ნესტიანი, შუშა ვერ ერევა და მე კი სახლიდან ზაფხულის ტანსაცმლით ვარ გამოქცეული“, – ერიდება ნუნუს.

ნუნუს პრეტენზიებს ვიტალი

აპოტესტებს: „თქვენ ახალი სახლებიც მოგცეს და საქმელსაც გაჭმევინ, ჩვენ არც თავის დროზე მოგვხმარებია ვინმე და ახლა ხომ არავის ვახსოვართ“, – ბრაზობს ვიტალი, რომელსაც ოჩამჩირეში სახლის დატოვება 15 წლის წინ მოუწია.

გიორგი ვანიანი გორის მერიასთან შეკრებილების ქართულად გამოთქმულ გასაჭირს ცუდად იგებს, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ისმენს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან მას, როგორც უფლებების დამცველს, კითხვები უკვე დაუგროვდა.

ადგილობრივი თვითმმართველობიდან სტუმრებს რეგიონული გავითარების სამსახურის უფროსი გიორგი ავალიანი და გორის მუნიციპალიტეტის აპარატის ხელმძღვანელი კახა თოლიაშვილი შეხვდნენ. სტუმრების უმრავლესობა აპარატურასა და ბლოკნოტებში აგვისტოს მოვლენების შესახებ ინფორმაცია და დევილოთა განსახლების დეტალები იწერდა.

თვითმმართველობის წევრთა მტკიცებით, დევილოთა დიდი ნაწილი დაზინაგებულია, დანარჩენები ახალ სახლებში 26 დეკემბრამდე შესახლებიან. ახალი დევილოები უზრუნველყოფილი არიან პირველადი საჭიროების ნივთებითა და საკვები პროდუქტებით, ამასთან დევილოები ყოველთვიურ საკომპენსაციო თანხებსაც იღებენ. თვითმმართველობაში ასევე განმარტავენ, რომ ავტომანქანებისა და ახლოს დასახლებების აგება იქ კომუნიკაციების დროულად გაყვანის მიზნით გადაწყდა.

თავის მხრივ თვითმმართველობის ნეთა ბლოკნოტებზე ჩნდება ახალი ჩანაწერი – იმ ადამიანების სახელები და გვარები, რომლებიც მერიის შესასვლელთან იცდიან. „გამადლოებ, რომ გვაცნობეთ, ვცვლებით გავერკვეთ მათ პრობლემებში და შეძლე-

ბის მიხედვით დავხმაროთ“, – აცხადებენ ადგილობრივი ხელისუფლების წევრები. გიორგი ავალიანი და კახა თოლიაშვილი მადლობას გიორგი ვანიანსაც უხდებიან. ამ უკანსკელმა სურვილი გამოთქვა ქართულ მხარეს დაკარგულთა მოძიებაში ოს უფლებადამცველებთან თანამშრომლობის გზით დახმარებას, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების წევრთა განცხადებით, ამ და სხვა მიმართულებით, მათი მხრიდან, ოსურ მხარესთან ამჟამად არანაირი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს. გიორგი ვანიანს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიის გადაცემას შეხვედრის დასრულების შემდეგ დაპირნენ.

შეხვედრის შემდეგ სიის გადაცემის ვადად გადაინა – გიორგი ავალიანმა სტუმარ სენიას განუცხადა, რომ ამგვარ სიას ადგილობრივ თვითმმართველობაში არ ფლობენ და მას მოგვიანებით ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდიან.

გიორგი ვანიანი შეხვედრით მაინც კმაყოფილი რჩება: „კარგია, რომ დევილოებს რამდენადაც შეუძლიათ, პრობლემებს უგვარებენ“, – ამბობს იგი, თუმცა მისი ამგვარი შთაბეჭდილება არსებითად იცვლება, იქვე გორის მერიასთან მდგარი №12 საბავშვო ბაღის მონახულების შემდეგ.

№12 საბავშვო ბაღში, ისე როგორც გორში არსებულ სხვა ბაღებში, დევილოები არიან თავშეფარებული, თუმცა „თავშეფარდს“ ამ ადგილს ძნელად თუ უნოდებ: ბნელ ოთხბაში შუშის წიკვად კვამლი დგას, რაც ოთხს უფრო აბნელებს. მწკრივად ჩანს ყობილ სანოლებს შორის პატარა მაგიდა დგას, რომელზეც პურთან ერთად ჯამით წვნიანი დგას.

ლიახვის ხეობიდან დევილი გიორგი უთინაშვილი გვიხსნის, რომ აქ 14 ოჯახი ცხოვ-

რობს, მაგრამ არა ისეთ პირობებში, როგორსაც თვითმართველობა აღწერდნენ. „მხოლოდ საკვები მოაქვთ. არანაირი კომპენსაცია არც ერთ ჩვენგანს არ მიუღია. რაც მოხდა იმისგან ისედაც წერვები მაქვს დაწყებული, მაგრამ ერთი ღერი სიგარეტიც ვერ მიყიდა. ამ თვეების განმავლობაში ამდენ ადამიანს მხოლოდ ერთი „პაჭკა პარაშოკი“ მოგვიტანეს. ნახეთ რაზე გვიძინავს. (ანერვიულუბებით მოხუცი ბაღისპირს პირს ხეებს, რომლის შიგნით თივის მსგავსი მასაა) მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი თვალთვალ არ გვიჩინავს. აი, თქვენ ამბობთ, რომ ამ თვის ბოლოს ახალ სახლებში შეგასახლებენო, არადა ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით“, – ამბობს გიორგი უთინაშვილი. მის „ახალ მეზობელს“, სოფელ დისევიდან დევილო არჩილ რაზმაძეს, ისიც ვერ გადაუწყვეტია, რა უფრო აჯობებს ბაღში თავშეფარებული მისი ცოლისა და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის.

„ვიყავი იმ ახალ კოტეჯებში, საშინადად ნესტიანია. წყალი გარეთ მდგარ მხოლოდ ერთ ონკანში მოდის. მგონი აქ დარჩენა ჯობს, მაგრამ ჩვენ აბა ვინ რას შეგვეკითხება. მე და ჩემმა ძმებმა დისევის სასახლეები დავტოვეთ. ვერაფრის ნამოლება ვერ მოვასწარი, რადგან როცა ქართული ტელევიზია მიმტკიცებდა – ცხინვალს ვაკონტროლებთო, თურმე ოსები უკვე ჩემს სოფელში დათარეშობდნენ. თავი და ცოლ შვილი ძლივს გადავარჩინე, მითხარით რატომ მოგვექცნენ ასე?“ – კითხულობს არჩილ რაზმაძე. არჩილის კითხვა გიორგი ვანიანის კითხვაც არის, რომელიც დასმას იგი თბილისში დაგვიტოვებ შეხვედრებზე გვამას. იქ უცხოელ სტუმრებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, შინაგან

საქმეთა სამინისტროსა და რეინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენლები უნდა შეხვდნენ. თბილისის შეხვედრაზე მხოლოდ რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე ელენე თევდორაძე მოდის, რომელსაც დევილო არჩილისა და უფლებადამცველ გიორგი ვანიანის შეკითხვაზე ასეთი პასუხი აქვს: „ეს არის კითხვა, რომელიც მეც მაქვს, და რომელზე პასუხი ჯერ ვერ მიპოვნია.“ ასეთი გულწრფელობით ელენე თევდორაძე გორის მე-12 ბაღში შესახლებული დევილების პრობლემებით ინტერესდება: „არ მესმის. ისინი უნდა იღებდნენ ფულად შემწეობასაც. მე დავეუკავირდები კობა სუბელთან და ყველაფერს გავარკვევ“, – ამბობს თევდორაძე.

რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე ასევე გულწრფელად უხდის მადლობას გიორგი ვანიანს, რადგან მას უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებაში დახმარება სურს. მაგრამ გიორგი მისდა მოულოდნელად არკვევს, რომ არც რეინტეგრაციის სამინისტრო ამ მიმართულებით არ მუშაობს.

„ჩვენ ომის პირველივე დღეებში გაგხსენით ცხელი ხაზი, რომლის მონაცემები მოგვიანებით სამთავრობო კომისიას გადაეცემა“, – გიორგი ვანიანს უხსნის ელენე თევდორაძე, მაგრამ სტუმრისთვის ბევრი რამ მაინც გაუგებარი რჩება.

„აი, ქართველი ჟურნალისტები მეუბნებიან რომ დაკარგულთა სიების ნახვას თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზეც შეეძლება, მაგრამ განა მართო სია საქართველოს ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის დაინტერესებისა და მონაწილეობის გარეშე რაიმეში დაგვეხმარება. სამწუხაროდ ჩვენ მართლაც ნავაგეთი მშვიდობა“, – ნუხს გიორგი ვანიანი.

იძულებითი ახალგაოსახლება

ქვემო ქართლში ჩასახლებული დევილოები ახალ წელს ახალ სახლებში შინ დაბრუნების ნატვრით ხვდებიან.

მარი კორიძე, კოდა, გარდაბანი

«მას შემდეგ, რაც ჩემი სოფელი დატოვე სულ აფხაზეთიდან დევილი მეზობლის სიტყვები მახსენდება – «ნეტა ოდესმე ზღვის ხმაურში თუ დამათენდებაო». ახლა ყველაზე მეტად მესმის მისი, თუმცა ვთვლი რომ, მათგან განსხვავებით მეტი ყურადღება გვხვდა ნილად“, – ეს სიტყვები ლიახვის ხეობის სოფელ ქემერტიდან დევილო თამარ კახნიაშვილს ეკუთვნის, ის ახლა ოჯახთან – მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად, ახალაშენებულ ხუთსართულიან კორპუსში შეასახლეს, თუმცა არა თავის მშობლიურ ქემერტში არამედ, ქალაქ გარდაბანში. ამბობს რომ აქაურობას ადვილად შეეჩვევა, რადგან იქაური მეზობლები აქაც მეზობლად ცხოვრობენ.

საყოფაცხოვრებო ნივთების განაწილებისას მას ძირგატეხილი ჩაიდან შეხვდა. თამარმა ჩაიდანის გამოცველა მოკრძალებით ითხოვა. «ძველი დევილოები ამბობენ, რომ ცუდ პირობებში იყვნენ და სახელმწიფო არაფრით ეხმარებოდათ. მადლობა ღმერთს პირველადი ნივთები აქ დავგვხვდა. თბილი ოთახები, ნათელი. იმედი მაქვს, რომ ყურადღება არ მოგვაკლებდა“, – ამბობს სოფელ ქემერტიდან დევილი თამარ კახნიაშვილი. დევილებისთვის გარდაბნის ცენტრში, ორი საცხოვრებელი კორპუსი გარემონტდა, სადაც 125 ოჯახი შეასახლეს. გარდაბანში ჩასახლებულნიდან მხოლოდ მშვიდი ოჯახია კოდორის ხეობიდან, დანარჩენები კი, ლიახვის ხეობის სოფლების მკვიდრნი არიან.

«ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევილებს

ყველა საჭირო ნივთი გადასცა. გადაცემული სახლების რაოდენობა სულაღობის მიხედვით იზრდება, ამას ხეობის გამგეობა ანაწილებს. ხელოსნები, რომლებმაც რემონტი გააკეთეს, ერთი კვირის მანძილზე ადგილზე იმორიგეებენ და თუ რაიმე პრობლემა შეექმნებათ ახალმოსახლებულ მათთვის მოუგვარებენ“, – აცხადებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქვემო ქართლის მცხეთა მთიანეთისა და კახეთის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლაშა ჩიკვილაძე.

რუსეთის აგრესიის შედეგად, შიდა ქართლიდან და კოდორის ხეობიდან დევილი მოსახლეობის დაბინავება საქართველოს მთავრობამ, ახლადგარეწონტებულ და სპეციალურად მათთვის აშენებულ კორპუსებში ახალი წლის დადგომამდე განახორციელა. შესახლების პროცესი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, ქვემო ქართლის რეგი-

ონში 17 ნოემბერს დაიწყო. თავდაპირველად თბილისისა და რუსთაველი დროებით მცხოვრების თეთრინყაროს რაიონის სოფელ კოდაში შეასახლეს, 19 ნოემბრიდან კი შესახლება გარდაბანშიც დაიწყო.

დაზარალებული ოჯახები მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანსა და ხიხანში, ასევე ბოლნისის რაიონის სოფელ ფოლადაურსა და ქვემო ბოლნისში ჩაასახლეს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევილებს სახლები კერძო საკუთრებაში გადასცა.

გარდაბნის რაიონისგან განსხვავებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ რამდენიმე დღით ადრე დაგაცილებინათ მეტი დევილი ოჯახი ჩაასახლა თეთრინყაროს რაიონის სოფელ კოდაში, ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე განთავსებულ საცხოვრებელ კორპუსებში. იქ შიდა ქართლიდან და კოდორის ხეობიდან დევილი 447 ოჯახი შესახლდა.

კორპუსებში დაზარალებული მოსახლეობის განსახლება თემების მიხედვით მოხდა, რაც იმას გულსხმობს რომ, კოდაში ერთად ჩასახლდა ლიახვის ხეობის სოფლების – კეხვის, ერედვისა და თამარაშენის მოსახლეობა.

დევილებთან კოდაში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელაძე, პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი, სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში დავით ტყეშელაშვილი და პარლამენტარი ზურაბ მელიქიძე იმყოფებიან. პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი დევილებს ადგილზე დარჩენილი პრობლემების მოგვარებას მოკლებულნი დაპირდა და აღნიშნა რომ, თითოეული ოჯახი სახელმწიფოსგან დამატებით თანხას – 200 ლარსაც მიიღებს.

სულ ქვემო ქართლში 857 იძულებით გადაადგილებული ოჯახის განთავსება იგეგმება. აქ სარემონტო სამუშაოე-

ბისთვის სახელმწიფომ თორმეტ მილიონზე მეტი ლარი გამოყო. კოდაში შესახლებული 20 დევილი შედაგოვი სოფელ კოდას საჯარო სკოლაში დასაქმდება, ამავე სკოლაში გააგრძელებს სწავლას 220 დევილი მოსწავლეც, ა.

თამარ კახნიაშვილის მსგავსად ახალ საცხოვრებელს ეგუება გოგია მაღალაძეც, იგი ყველა რომ 8 აგვისტოს ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტში გაძლება უკვე შეუძლებელი იყო. საკუთარი სახლ-კარი და სოფელი ფეხშიშველად დატოვა. გარდაბანში შესახლებამდე რამდენიმე თვე რუსთავის საერთო საცხოვრებელში მოუწია ცხოვრება. ამბობს რომ იმ დღეებს ახლა ცუდი სიზმარივით იხსენებს.

«აქ ოთახები კარგადაა მონიშნული, მაგრამ ალბად ყველა დევილი, ჩემსავით ურჩევნია ახალ წელს საკუთარ სახლში შეხვდეს, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერი იქნება ჩემთვის, « – ამბობს გოგია მაღალაძე.



კამათი დაუცველი მოსახლეობის დაჩაგვრის გამო

ჯონდი ბალათური მთავრობას "დაუცველი მოსახლეობის დაჩაგვრის მცდელობისთვის" საყვედურობს. სახელისუფლებო უმრავლესობის წევრები კი ამ საყვედურს უსაფუძვლოს უწოდებენ და თავის მხრივ, ბალათურიას პოლიტიკურ პოპულიზმში ადანაშაულებენ. საპარლამენტო უმრავლესობის წევრებსა და ბალათურიას შორის ეს კამათი გუშინ პარლამენტში რიგგარეშე სესიაზე "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატან ცვლილებათა პროექტის განხილვისას გაიმართა. ცვლილების თანახმად, ძირითადად, პარკირების წესების და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის წესების დარღვევებისთვის დაწესებული საჯარო მსჯელობის ამოღების მექანიზმები მკაცრდება და ეს თანხა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გადაირიცხება. **"ჯი-ეი-ენი"**

ედუარდ კოკოითის მიმართვა

გუშინ ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ მოსახლეობას პირველად მიმართა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ეს "სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შემდეგ პრეზიდენტის პირველი მიმართვაა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისადმი". მათივე ინფორმაციით, ედუარდ კოკოითმა თავის მოხსენებაში 2012 წლამდე სამხრეთ ოსეთის განვითარების სტრატეგიაზე ისაუბრა. "პრეზიდენტის მიმართვა ყველა ერისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ხოლო, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის, რომელიც დღეს რთულ პირობებში იმყოფება, პრეზიდენტის მიმართვა მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა," - წერს კომიტეტი. **"ჯი-ეი-ენი"**

"კალა კაპიტალის" დახმარება

კახა კალაძის კუთვნილი კომპანია "კალა კაპიტალი" რუსული აგრესიის შედეგად გადაადგილებულ და დაზარალებულ 500-ზე მეტ ოჯახს ელექტრო საცხოო ლუმენებს გადასცემს. ლუმენები ავგისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული 8 სოფლის მკვიდრებს გადაეცემათ, მათ შორის ქარელისა და გორის სოფლებში მყოფ მოსახლეობას. ღონისძიება როგორც "კალა კაპიტალში" აცხადებენ, რამდენიმე ათეული ათასი ლარი დაჯდა. **"ჯი-ეი-ენი"**

პრეზიდენტი ბაკურიანს ესტუმრა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ბაკურიანში "ცენტრ პოინტის" ახალი სასტუმროს გახსნას დაესწრო. როგორც "ჯი-ეი-ენს" კომპანიიდან აცნობეს, პრეზიდენტთან ერთად სასტუმრო "თანამგზავრის" გახსნის ცერემონიას საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ "ცენტრ პოინტის" უცხოელი კლიენტებიც. **"ჯი-ეი-ენი"**

ონიშჩენკო ქართველ მეღვინეებს პირდაპირ მოლაპარაკებებს სთავაზობს

რუსეთის "როსპოტრენბანდზორში" ლეონის პროდუქცია შესამომწებლად არა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, არამედ იმ მწარმოებლებმა უნდა წარადგინონ, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში მიწოდების განახლებით არიან დაინტერესებულნი, - განაცხადა რუსეთის ფედერაციის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო "რია ნოვოსტი" ავრცელებს. ონიშჩენკომ ეს განაცხადა მას შემდეგ გააკეთა, რაც ოთხშაბათს, 24 დეკემბერს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ონიშჩენკოს, ორწლიანი აკრძალვის შემდეგ რუსულ ბაზარზე დაბრუნების მიზნით, ქართული ლეონის ნიმუშები ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად გაუგზავნა. **"ჯი-ეი-ენი"**

ევროკავშირის მისიამ ქართული პოლიციის ქმედება გააკრიტიკა

საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ განაცხადა, რომ ის შემოთვალისწინებს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად ქართული პოლიციის "კობრას" მსუბუქი, დაჯავშნული ტიპის ავტომანქანების განთავსების გამო. ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა ჰანსლორგ ჰაბერმა განაცხადა, რომ "მიუხედავად იმისა, რომ დაჯავშნული მანქანების განთავსება სუპერატისტიული რეგულირების მიმდებარე ტერიტორიებზე არ არღვევს 12 ავგისტოს 6-პუნქტიანი შეთანხმების და განხორციელების ზომების შესახებ 8 სექტემბრის ხელშეკრულების შესაბამის დებულებებს, ეს ქმედება ეწინააღმდეგება ევროკავშირის დამკვირვებლების რჩევას".

ევრაზიული ბიოკოლოგიის მოსალოდნელი ტენდენციები

ანდრო ბარნოვი
სტრატეგიისა და პოლიტიკის ინსტიტუტი

ცივი ომის დროს ევრაზიის სახელმწიფოებიდან კომუნისტურ ბლოკში არ შედიოდა მხოლოდ დასავლეთ ევროპა, ირანი, ავღანეთი, პაკისტანი, ინდოეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობის მექანიზმი შედეგი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირისა და ნატოსაკენ სწრაფვა, ჩინეთის დამოუკიდებელ ცენტრალურ ჩამოყალიბების დაწყება და, 2001 წლის შემდეგ, აშშ-ს სამხედრო ყოფნის გაფართოება მთელს ევრაზიაში.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აშშ გავლენა ევრაზიის კონტინენტზე იმდენად ძლიერი იყო, რომ დღემდე ახალი ევრაზიული ბალანსი არ ჩამოყალიბებულა.

აშშ-ს გავლენის შესაძლო შემცირება კონტინენტზე სრულიად ახალი რეალობას შექმნის, სადაც მრავალი რეგიონული ცენტრი გავლენის სფეროების გადახანტილებით იქნება დაკავებული. სავარაუდოდ, გეოპოლიტიკური ტენდენციები ორ მთავარ ეტაპად წარმართება.

იმის გამო, რომ აშშ-ს, სავარაუდოდ, ირანთან დათმობაზე მოუწევს წასვლა, ეს გარემოება, ერთი მხრივ, ირანის როლის მნიშვნელოვან გაძლიერებას, მეორე მხრივ კი, ავღანეთსა და ერაყში ვითარების ნორმალიზებას გამოიწვევს. ირანის ინტერესები, რაც ცენტრალური აზიის რესურსების ტრანსპორტირებას მოიცავს, კონფლიქტში მოდის რუსეთის ინტერესებთან, რომელსაც იგივე ამბიციაცია აქვს, მაგრამ ეთანხმება ჩინეთის ინტერესებს, რომლის ენერგო-მოხმარება ძალიან სწრაფად იზრდება და ჩინეთს მრავალრიცხოვანი და დივერსიფიცირებული მომწოდებლები სჭირდება. ამას გარდა, ირანი და რუსეთი ბუნებრივ კონკურენტებად გამოდინან ცენტრალური აზიაში გავლენის თვალსაზრისით და ამიტომ სავარაუდოა, რომ ჩინეთ-ირანის სტრატეგიული თანამშრომლობა, რომელსაც ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც, მეორე მხრივ, ჩინეთის დღემდე არნახულ, თუმცა მაინც გამოზომილ გააქტიურებას გამოიწვევს ევრაზიულ პოლიტიკაში. სავარაუდოდ, ჩინეთი კარგად გამოიყენებს ირანს კავკასიასა და ცენტრალური აზიაში საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

შესაბამისად, პირველი ეტაპის ტენდენცია, რომელიც ევრაზიულ გეოპოლიტიკაში უნდა მოველოდეთ, კავკასია-ირანი-ინდოეთი-ჩინეთის ლერძზე სტრატეგიული თანამშრომლობაა.

მეორე ტენდენცია, ალბათ, იქნება ცენტრალური აზიისა და ინდოეთის ალიანსის გაძლიერება, რაც ჩინეთ-ირანის ლერძის დასაბალანსებლად იქნება მიმართული. ამ სცენარში, დიდი ალბათობით, რუსეთ-ინდოეთის სტრატეგიულ პარტნიორობასაც ვიხილავთ.

სავარაუდოა, რომ ეს ტენდენციები გამოიკვეთება და იარსებებს იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნება აშშ-ს გავლენა კონტინენტზე. ამიტომ, აშშ-ს

"პატარა საქარაკო დაფა"

სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტმა დაიწყო პუბლიკაციების სერია, რომელსაც, 24 საათის დახმარებით, "პატარა საქარაკო დაფის" სახელით ვთავაზობთ მკითხველს. სერიის მიზანია, რომ თვალის მიადევნოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და სტრატეგიული ანალიზი მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს.

სამხრეთ კავკასიის პატარა საქარაკო დაფაზე უკანასკნელ დროს ისეთი მოვლენები განვითარდა, რაც სასწრაფო გააზრებას მოითხოვს და სწორედ ამ თემას მიეძღვნება "პატარა საქარაკო დაფის" სერიით შემოთავაზებული მიმოხილვები.

უშუალოდ სამხრეთ კავკასიის გარდა, ჩვენ შევეცდებით, ყურადღება მივაღვივოთ იმ მოვლენებს, რომლებსაც აქვთ პოტენცია, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე გავლენა მოახდინონ. იმედს გვაქვს, რომ ამით საქართველოსა და კავკასიის მშვიდობისა და განვითარების საქმეში გარკვეულ წვლილს შევიტანთ.

პუბლიკაციების სრული ვერსიები, რომლებიც აღჭურვილია გამოყენებული წყაროების ჩამონათვალით, შესაბამისი რუკებითა და დიაგრამებით, ხელმისაწვდომია სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მიმოხილვების სერიაში მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ ექსპერტს შეუძლია. ინტერესის შემთხვევაში დაუკავშირდით სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტს (www.stand.ge).

ახალი რეალობის გათვალისწინება და შესაბამისად მოქმედება მოუწევს. ირანის ნავთობისა და გაზის განუვითარებელ ინფრასტრუქტურაში დასავლური კომპანიების მიერ ძალიან აქტიური ინვესტირებით აშშ შეეცდება, რომ თეირანის მაქსიმალური კეთილგანწყობა მოიპოვოს და ირანი ევრაზიის ცენტრალურ მოკავშირედ აქციოს. ამასთან, მოსალოდნელია, რომ, თურქული დერეფნის ალტერნატივის წყალობით, კვლავ თამამგარე დარჩენის შიში თეირანის აშშ-სადმი კეთილგანწყობას საბოლოოდ უზრუნველყოფს.

რაც შეეხება თურქეთს, ანკარა დამოუკიდებელ მოთამაშედ დარჩება და მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის პოლიტიკაზე. თურქეთი შეეცდება, რომ საქართველოსა და თურქეთთან კავშირები კიდევ უფრო გაიმყაროს და სომხეთთანაც დაათბოს ურთიერთობები, მაგრამ საეჭვოა, რომ თუნდაც იმავე აზერბაიჯანთან თურქეთის კავშირი ნამდვილ სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდოს. ანკარას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მიუხედავად, სავადაუდოდ, თურქეთი კვლავ აშშ-ს გავლენის ქვეშ იქნება და მისი დამოუკიდებელი მოქმედებებიც შესაბამისად შეზღუდული იქნება.

ასევე, მოსალოდნელია, რომ ენერგო პროექტები, რომლებიც დღემდე ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე იყო ორიენტირებული, უფრო დივერსიფიცირებული იქნება და მომავალში სომხეთისა და ირანის ტერიტორიებსაც მოიცავს. ასე რომ, თუ გარემოებები საშუალებას მისცემს, ანკარა უფრო ეკონომიკური საკითხებით იქნება დაკავებული. ერთადერთი შესაძლო სცენარი, სადაც თურქეთის კბილები გამოჩნდება შეიძლება მიუხედავს, ალბათ ის იქნება, თუ რუსეთი კავკასიის სრულად გაკონტროლებას შეეცდება.

მეორე შემდეგი, რაც აშშ-ს ირანის შესაძლო თანამშრომლობაში შეიძლება მოიტანოს, პეკინისა და თეთრი სახლის ინტერესების დაახლოება უნდა იყოს. ირანი, რომელიც ჩინეთთან თანამშრომლობაზე უარს არ იტყვის, ამ ურთიერთობის კატალიზატორი აღმოჩნდება, რაც მთლიანად შესაბამებია აშშ-ს ინტერესებს. იმ შემთხვევაში, თუ აშშ ირანთან ურთიერთობებს დაარეგულირებს, სამხრეთ ევრაზიაში დამკვიდრების ძალიან კარგი შანსები ექნება.

რაც შეეხება ირანსა და ჩინეთს, მათ სტრატეგიული პარტნიორობის ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვთ, რაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, პართიის ხანიდან იწყება და გრძელდება პრაქტიკულად მთელი ისტორიის განმავლობაში - სასანიდურ ირანში, ისლამურ ეპოქაში და გრძელდება დღესაც. გარდა იმისა, რომ ჩინეთი მხარს უჭერს ირანის ბირთვულ პროგრამას, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მიქცევა ძალიან სწრაფად იზრდება და, გარდა ამისა, ჩინეთი აქტიურად მონაწილეობს ირანის გაზისა და ნავთობის საბადოების განვითარებაში საქმეში. ასევე, არის ისეთი ტრივიალური საკითხებიც, როგორცაა ირანის ინტერესი, რომ გაზარდოს ბუნებრივი აირისა და ნავთობის ექსპორტი და ჩინეთის ინტერესი, რომ დივერსიფიცირებული მიმწოდებლები ყავდეს.

ჩინეთის მიერ ენერჯის მოხმარება 1,86 მილიარდი ტონა ნავთობის ექვივალენტს უტოლდება, სადაც ბუნებრივი აირის მხოლოდ 3,2% უჭირავს. ეს გარემოება ჩინეთის პარტნიორობას ირანთან, რომელიც ბუნებრივი აირის რეზერვების მიხედვით მსოფლიოში მესამე ადგილზეა რუსეთისა და თურქმენეთის შემდეგ, ძალიან მიზიდველს ხდის.

მოხმარებული ენერჯის 69 პროცენტს ჩინეთი ქვანახშირით იყვებს, რომელსაც თავად აწარმოებს. მოხმარებული 353,8 მილიონი ტონა ნავთობიდან კი 53 პროცენტს თავად მოიპოვებს, დანარჩენს კი თურქმენეთიდან, ყაზახეთიდან და რუსეთიდან იყვებს. მოსალოდნელია, რომ თურქმენეთში აღმოჩენილი ბუნებრივი აირის ახალი საბადოები ჩინეთის ინტერესს ამ ქვეყნის მიმართ გააათმავებს, რაც შეიძლება ყირგიზეთსა და ტაჯიკეთზე პეკინის გავლენის ზრდას მოასწავდეს.

რუსეთი, რომელიც საკუთარ ენერგო-რესურსებს პოლიტიკის ეფექტურ იარაღად იყენებს, 2005 წლიდან გეგმავს ჩინეთისთვის გაზისა და ნავთობის მიწოდებას და 2006 წელს დაიწყო გაზსადენის მშენებლობა, რომელიც 2009 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

სული ნავთობი ჩინეთის საზღვართან, ქალაქ სკოვოროდინომდე მიეყვანა. თუმცა, როგორც ჩანს, მშენებლობა შეფერხებულია და დათქმულ ვადაში მისი გაშვება ვერ მოესწრება ამიტომ, მოსკოვის გეგმები, რომ ევრაზიის აღმოსავლეთი ისევე "შესვას" რუსულ მიწებზე, როგორც ეს დასავლეთში გააკეთა, ჯერ ადრეულ ფაზაშია და ჩინეთი, ჯერ-ჯერობით ძალიან მცირედად დამოკიდებული რუსეთზე. ამიტომ, ჩინეთს მეტი მოტივაცია და შესაძლებლობა აქვს, რომ რუსულ ჰეგემონობას წინ აღუდგეს და საკუთარი ინტერესების რეალიზება სცადოს.

გლობალური ტენდენციების გავლენა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალურ აზიაზე

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოსკოვის მიერ გაუღრმებული მონოდებები მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგისაკენ მხოლოდ მოსკოვის სურვილს კი არა, აშშ-ს გართულებული ომებისა და შესუსტებული გავლენის წყალობით წარმოქმნილ რეალობას ასახავს. ამასთან, ისიც კარგად ჩანს, ეს "პოლუსები" არ იქნება ისეთივე ურთიერთშეუღწევადი, როგორც ეს ცივი ომის დროს იყო. უფრო მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში საერთაშორისო ურთიერთობები მრავალპოლუსიანი მხოლოდ პოლუსების სიმრავლის თვალსაზრისით კი არ გახდება, არამედ - ამ პოლუსებთან ურთიერთობების დივერსიფიცირების თვალსაზრისითაც.

ეს იქნება მრავალპლასტიანი და კონკრეტულ სფეროებში ორიენტირებული ურთიერთობები, სადაც ერთი და იგივე სახელმწიფო სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ პოლუსებთან დაამყარებს პარტნიორობას. შესაბამისად, ორი სახელმწიფოს ურთიერთობის სტრატეგიული ხარისხის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი სწორედ საკითხისა და კონტექსტის მნიშვნელობა იქნება.

ეს ნიშნავს, რომ რეალური გავლენის სფეროები ასეთ მსოფლიოში არ იარსებებს, რაც პოლუსთა არასაკმარისი ძალით იქნება განპირობებული. ამიტომ, მსოფლიო პოლიტიკის უახლოესი მომავალი, სავარაუდოდ, რთული პოლიტიკური თამაშებითა და ინტერესთა დაბალანსების მცდელობებით იქნება აღმქალბი.

მოსალოდნელია, რომ ეს გარემოება განსაკუთრებით მძაფრად აისახება სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე, სადაც ძალთა ბალანსი საბოლოოდ გამოკვეთილი არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც ამ რეგიონში შეიძლება უახლოეს მომავალში დაინახოთ, ალბათ იქნება ენერგომარშრუტების დივერსიფიცირება, ხოლო თავდაცვის სტრუქტურის ფოკუსირება ერთ რომელიმე პოლუსზე, საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტით.

მომავალი სტატია:
კავკასიური ბიოკოლოგიისა და გეოგრაფიის

საკონსტიტუციო სარჩელი პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში მორიგი სარჩელი შევიდა, რომლის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლია“.

ორგანიზაციის ადვოკატები კონსტიტუციური სარჩელით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის იმ დებულებების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ, რომელთა თანახმადაც, ბრალდებულის ინტერესების დამცველს უფლება აქვს მხოლოდ მას შემდეგ გადაიღოს სისხლის სამართლის საქმის ქსეროასლი და გაცენოს საქმის ყველა მასალა, რაც საქმე საბრალდებო დასკვნით გადაიგზავნება სასამართლოში. ანუ, ბრალდებულის ადვოკატს უფლება არ აქვს გადაიღოს სისხლის სამართლის საქმის ქსეროასლები, მაშინ, როდესაც ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობს ბრალდების მხარე. მომჩივანი ადვოკატები ბრალდებისა და დაცვის მხარის უფლებების გათანაბრებას მოითხოვენ.

საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად მიუთითებს, რომ სამართალწარმოება უნდა ხორციელდებოდეს მხარეთა თანასწორობისა და შეფიქრებულობის საფუძველზე. მხოლოდ დაცვის მხარისათვის საქმის მასალების ასლების გადაღების აკრძალვა პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარეთა თანასწორობა ვერ განხორციელდება. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „დაცვის უფლება გარანტირებულია“ და გულისხმობს ბრალდებულის სრულფასოვან დაცვას, -

აცხადებენ კონსტიტუციის 42-ე მუხლის წევრები. მათივე განმარტებით, სრულფასოვან დაცვაში, პირველ რიგში, იგულისხმება დამცველის უფლება, შეზღუდვების გარეშე გაცენოს საქმის მასალებს ნებისმიერ სტადიაზე და არ შეეზღუდოს შესაძლებლობა ნებისმიერ დროს ნახოს საქმის ესა თუ ის დოკუმენტი - მონმის ჩვენება, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ოქმი და ა.შ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფ” პუნქტი დამცველს მხოლოდ მას შემდეგ აძლევს სისხლის

სამართლის საქმის გაცნობის უფლებას, რაც მისი დაცვის ქვეშ მყოფს ნაუყენებენ ბრალს და დაკითხავენ ბრალდებულის სახით.

პარადოქსულია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მუხლის მიხედვით, გამომძიებლის სურვილზე დამოკიდებული გაცენობა თუ არ დაცვის მხარე საქმის მასალებს, ანუ თუ გამომძიებელს სურს, დამცველს გააცნობს საქმეს, თუ არა - უარს იტყვის კანონის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, კი თუ გამომძიებელმა არ ისურვა ბრალდებულის დაკითხვა ადვოკატი საქმეს გამოძიებაში საერთოდ ვერ გაცენობა, - აცხადებენ საკონსტიტუციო სარჩელის ავტორები. მათივე მტკიცებით, დამცველის ვალდებულებების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია, ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას გამოძიების და იმ მტკიცებულებების შესახებ, რასაც ფლობს გამოძიება, რადგან სწორედ არსებული ფაქტობრივი ინფორმაციისა და მტკიცებულებებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს დამცველმა, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და გამოავლინოს გარემოებები, რომლებიც ამართლებენ ან ამსუბუქებენ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პასუხისმგებლობას.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ მიიჩნევს, რომ კანონმდებლობის აღნიშნული ნორმები წინააღმდეგობაში მოდიან, როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციის მე-6 მუხლთან, რომელიც გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების დარღვევას.

ევროსასამართლო რამდენიმე გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითა, რომ ევროკონვენციის მე-6 მუხლი ირღვევა სწორედ მაშინ, როცა ხდება გარკვეული დროის განმავლობაში საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მხარისთვის.

დამცველს უფლება და საშუალება უნდა ჰქონდეს საქმეში ჩართვის მომენტთანვე სრულად გაცენოს სისხლის სამართლის საქმეს, - აცხადებს კონსტიტუციის 42-ე მუხლის ადვოკატი არჩილ ჩოყვაშვილი, რომელიც კოლეგებთან ანა თვარაძესთან, როლანდ ასაკაშვილთან და რუსუდან მჭედლიშვილთან ერთად საკონსტიტუციო სარჩელის ავტორია.

საკუთარი ინფორმაცია

ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობისთვის დაკავება

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულები არიან ბერდია და ბექა ბალახაძეები, რომელთა ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია კობრა-მაგნიუმის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნებით.

დაკავებულია აგრეთვე მერაბ ღვინჯილია, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა. სამართალდამცველების მტკიცებით, ღვინჯილიას ბინის ჩხრეკისას ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო ვაზნები. ამავე ბრალდებით დააკავეს მეველედ შუშიაშვილი და შალვა კუხიანიძე.

გამოძიებას ანარმობს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

ინტერპრესნიუსი

იმიტირებული საერთაშორისო სასამართლო პროცესი

სოხუმის უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტებმა ჰაავის საერთაშორისო სასამართლო პროცესის - საქართველო რუსეთის წინააღმდეგ იმიტაცია გამოართეს. სტუდენტებმა განსახილველი საქმე ერთი კვირის განმავლობაში მოამზადეს. პროცესში მონაწილეობდნენ რუსეთისა და საქართველოს მხარეები. სასამართლო პროცესზე მხარეებმა სასამართლო კოლეგიას წარუდგინეს არგუმენტები და მტკიცებულებები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

როგორც სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ლექტორმა, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა მერაბ გვარამიამ აღნიშნა, საერთაშორისო სამართალში სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ სტუდენტების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის მსგავსი პრაქტიკული სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„სტუდენტების მიერ იმიტირებული სასამართლო პროცესები მათ შესაძლებლობას აძლევს მომავალში მოახდინონ სწრაფი და ოპერატიული რეაგირება მსგავს საკითხებში. სტუდენტების მუშაობით კმაყოფილი ვარ. ისინი საკმარისად კრგად ფლობენ ნორმატიულ ბაზას. მხარეების მტკიცებულებები მყარად არის გაჯერებული არგუმენტებით. სასამართლო კოლეგიის წევრები სწორად რეაგირებენ მხარეების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებსა და არგუმენტებზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ პრაქტიკაში მოახდინონ ამ სახით მიღებული ცოდნის რეალიზება, - განაცხადა მერაბ გვარამიამ.

სტუდენტების მიერ იმიტირებული სასამართლო პროცესი რამდენიმე დღეში კვლავ შეიკრიბება და სასამართლო კოლეგია ვერდიქტს გამოიტანს.

ჯე-იჩ-ენი

ომბუდსმენის ჩარევით, პატიმარი სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს

სახალხო დამცველის წარმომადგენლების ჩარევის შედეგად, ავადმყოფი პატიმარი სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. ომბუდსმენის რწმუნებულებმა რამდენჯერმე მოინახულეს რუსთავის N6 საპყრობილეში მოთავსებული მსჯავრდებული დავით ს, რომელმაც განაცხადა, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, აწუხებდა ძლიერი თავის ტკივილები, ჩაესმოდა ხმები, ჰქონდა ნერვული აშლილობა, რაც არ აძლევდა დაძინების საშუალებას. მსჯავრდებულმა განმარტა, რომ მას არ უტარდებოდა არანაირი სამკურნალო და არ ექცეოდა შესაბამისი ყურადღება დაწესებულების მედპერსონალის და ადმინისტრაციის მხრიდან. მსჯავრდებულის განმარტებით, მას ესაჭიროებოდა შესაბამისი გამოკვლევების ჩატარება, ზუსტი დიაგნოზის დადგენა და შემდგომი მკურნალობა.

დავით ს-მ, მკურნალობის მოთხოვნით, ნოემბრის ბოლოს ორივე წინამხარზე მრავლობითი თვითდაზიანებები მიიყენა. დაზიანებები საპყრობილის პირობებში დაუშუშავეს, გაუკურეს და არ გადაიყვანეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

როგორც მსჯავრდებული აცხადებდა, მკურნალობა, რომელიც მას ჰქონდა დანიშნული, შედეგს არ იძლეოდა. მსჯავრდებულმა 6 დეკემბერს პირი ამიოკერა და შიმშილობა დაიწყო იმ დრომდე, ვიდრე არ ჩაუტარდებოდა შესაბამისი გამოკვლევები და არ დაენიშნებოდა ადეკვატური მკურნალობა.

დავით ს, კვლავ დაწესებულების სამედიცინო ნაწილში მოათავსეს, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული თავს ცუდად გრძობდა და შესაბამის სამედიცინო დახმარებას ითხოვდა.

სახალხო დამცველის რწმუნებულები, მათ შორის ექიმ-ექსპერტი ლევან ლაბაური დეტალურად გაეცნენ მსჯავრდებულის შესახებ არსებულ სამედიცინო ჩანაწერებს და მიიჩნიეს, რომ აუცილებელი იყო მსჯავრდებულის მოთავსება მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მისი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც განუცხადეს და განუმარტეს, როგორც დაწესებულების სამედიცინო ნაწილის მთავარ ექიმს, ასევე, საპყრობილის დირექტორს.

2008 წლის 22 დეკემბერს რუსთავის N6 საპყრობილის ხელმძღვანელმა სახალხო დამცველს წერილობით შეატყობინა, რომ მსჯავრდებული დავით ს. მკურნალობის გაგრძელების მიზნით მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

ჯე-იჩ-ენი

"იურიდიული დახმარების შესახებ" კანონპროექტის განხილვა დაიწყო

უკვე გადაწყვეტილია, რომ იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც აქამდე იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა, იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის გაერთიანების შემდეგ, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იქნება. თუმცა, ახალი სტრუქტურების გასაერთიანებლად ასამოქმედებლად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები საბოლოოდ ჯერ არ დამტკიცებულა. არადა, პარლამენტის გადაწყვეტილებით, ახალი კანონი 1 თებერვლიდან უნდა ამოქმედდეს.

სწორედ მათ განსაზღვრეს, რომ საზოგადოებრივი ადვოკატურა სასჯელაღსრულების და პრობაციის ახლად შექმნილ სამინისტროს დაქვემდებარებოდა. სპეციალისტები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ კანონპროექტის შედგენისას, საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების მიზნით, ემსჯელათ ახალი სამინისტროს სახელწოდებაზეც, რომელშიც იურიდიული დახმარების მართულებაც აისახება. სახელწოდების ერთ-ერთ ვერსიად გამასწორებელი და იურიდიული დახმარების სამინისტრო“ განიხილებოდა. კანონპროექტის პროორიტეტული ამოცანა კი, იურიდიული დახმარების სამსახურისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შენარჩუნებასთან ერთად, სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიების, საზოგადოებრივი ნდობისა და საზოგადოებრივი ადვოკატად დანიშნვისთვის დღეს მოქმედი წინაპირობების ძალაში დატოვებაც იგულისხმებოდა.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი საქართველოს მთავრობაა, რომელმაც ცვლილებების პაკეტი პარლამენტს უკვე წარუდგინა.

ახალი ცვლილებით, იურიდიული დახმარების სამსახურზე მონი-

ტორინგში მონაწილეობას მიიღებს პარლამენტი, რაც „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონით იქნება გარანტირებული.

კანონპროექტში, მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო იქმნება არა მხოლოდ მონიტორინგის მიზნით, არამედ მისი საქმიანობის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის.

რაც შეეხება საბჭოს, იგი კვლავ შეიქმნება იქნება, თუმცა მისი შემადგენლობა კანონით იქნება განსაზღვრული. კერძოდ, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოში ერთი წევრი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი იქნება, ერთი - უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლე, ერთი - პარლამენტის იურიდიულ ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების წევრი, ხოლო ერთი - ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმსახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ამასთან, საბჭოს საქმიანობაში წევრის სახით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილეც მიიღებს მონაწი-

ლეობას. საბჭოს სხდომებში ასევე, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებენ იურიდიული სამსახურის დირექტორი და იურიდიული დახმარების ბიუროს ორი წარმომადგენელი.

მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტში „იურიდიული დახმარების შესახებ“, უფასო იურიდიულ დახმარებით, ძირითადად, ის პირები ისარგებლებენ, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში არიან შეყვანილი. შესაბამისი ინიციატივით მთავრობამ საქართველოს პარლამენტს უკვე მიმართა, თუმცა წარმოდგენილი კანონპროექტი რამდენიმე გამონაკლისსაც გულისხმობს.

კანონპროექტის მიხედვით, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ უფასო მომსახურება ამ ბაზის მიღმა მყოფ პირებსაც გაეწიოს. კონკრეტულად რა შემთხვევაში შეიძლება გაეწიოს უფასო იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველთა ბაზის გარეთ მყოფ პირებს, კანონით განსაზღვრული არ იქნება და ეს მთლიანად სამსახურის დირექტორის კომპეტენციაში შედის.

საკუთარი ინფორმაცია

გამკაცრებული სამგზავრო წესები

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები გუშინ მთლიანად მიიღეს. ცვლილებები ახლებურად არეგულირებს როგორც მეტროთი, ასევე სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით და სამარშრუტო ტაქსით უფასოდ მგზავრობის საკითხებს. ამ ცვლილებების მიხედვით, მეტროთი უფასო მგზავრობა, ანუ სპეციალური ფეტონის გარეშე შესვლის მცდელობა 15 ლარით დაჯარიმდება. გარდა ამისა, ცვლილებები ეხება მეტროში აკრძალული ნივ-

თების შეტანის მცდელობის დაჯარიმების საკითხებსაც. მეტროპოლიტენით ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებისა და საყოფაცხოვრებო გაზის ბალონების გადატანა, 40 ლარით დაჯარიმდება, დღეს კი ეს ქმედება შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე დაჯარიმდება. რაც შეეხება მეტროპოლიტენით მგზავრობასთან დაკავშირებულ სხვა კანონდარღვევებს: მეტროპოლიტენის სადგურის ვესტიბულის, გადასასვლელების, ბაქნების, ვაგონის სალონის, ესკალატორის და ლიანდაგის

დანაგვიანება-გაჭუჭყიანება, აგრეთვე მეტროპოლიტენის სადგურებსა და ვაგონებში თამბაქოს მოწევა, მატარებლის მოსაბრუნებელ ჩიხებში შეყოლა და მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევა - 20 ლარით დაჯარიმდება.

ეს ქმედებები დღემდე შრომის ანაზღაურების ერთ მეთამდე მინიმალურ ოდენობამდე დაჯარიმდება. კანონპროექტის თანახმად, 15-ლარიანი დაჯარიმობა სანქციები დაწესდება ასევე ტროლეიბუსით, ტრამვაით, ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით უბილეთო მგზავ-

რობისთვისაც. უბილეთოდ მგზავრობის შემთხვევაში, პირველჯერზე გათვალისწინებულია 15-ლარიანი დაჯარიმება. იმ შემთხვევაში, თუ პირი დაჯარიმდა დადგენილ ვადებში არ გადაიხდის, მას 50-ლარიანი საურავი დაერიცხება. ხოლო, თუ საურავის დარიცხვიდან 30 დღეში, პირმა აღარც დაჯარიმდა გადაიხადა და აღარც საურავი, მაშინ მის მიმართ განხორციელდება დაჯარიმება და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც ქართული კანონმდებლობით არის დადგენილი.

მედვედევის მკითხველს დაპირება



მედვედევისგან განსხვავებით. რუს ექსპერტებს ოპტიმისტური ხედვა ნამდვილად არა აქვთ.

პირველი გვარდიანა

ყველა "სოციალური მონაპოვარის" შენარჩუნების პრეზიდენტი-სულ თეზის ასევე ენიშნა მდებარეობის შედეგებიც. ექსპერტთა მონაცემებით, ფინანსური კრიზისის რამდენიმე თვის განმავლობაში 20 მლნ ადამიანზე მეტმა დაკარგა სამუშაო კლასის სტატუსზე პრეტენზიის უფლება. იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც საცხოვრებელი ბინის შექმნა კრედიტის მეშვეობით შეეძლო, კრიზისის პირობებში უკვე სამჯერ შემცირდა.

რუსეთის პრეზიდენტის სიტყვას სანდოობის ხარისხს უმცირეს ასევე 2009 წლის იანვარ-თებერვლისთვის რუსული საწარმოების გეგმებიც, რაც 240 ათასი ადამიანი კადრების შემცირებას გულისხმობს. რუსეთის ფედერაციის მთავრობის ვიცე-პრემიერ ალექსანდრე ვუკოვის თქმით, მიმდინარე წლის ოქტომბრის შემდეგ სამსახურიდან გათავისუფლება დაიწყო რაოდენობამ ქვეყანაში 45 ათასი კაცი შეადგინა, რომელთაგან დასაქმების სამსახურის მეშვეობით სამუშაო ადგილის პოვნა მხოლოდ 18 ათასისთვის გახდა შესაძლებელი.

ვიცე-პრემიერის განცხადებით, ყველაზე რთულ მდგომარეობაში მეთვლიყვეთა დაპირება

ბაში მეტალურგიული, საავტომობილო წარმოებისა და მშენებლობის სფეროებში დასაქმებულნი აღმოჩნდნენ.

"ნიუსრუს" თანახმად, ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყანას, რომელიც თვითმკვლევობის სტატუსით მსოფლიოში ისედაც ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, კიდევ უფრო რთული მომავალი ელის. რუსეთში შიშობენ, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ვითარება კიდევ უფრო არ გაუარესდეს. "ნეზავისი-მაია გაზეტას" ცნობით, სუიციდის ტალღა რიგით მოქალაქეებსაც გასცდა - ხუთშაბათს საექიმო საზოგადოება "გაზის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანატოლი ემელინი გარდაცვლილი იპოვეს. მან, სავარაუდოდ, თავი ჩამოიხრჩო.

დასაქმების გაუმჯობესების კუთხით ოპტიმისტური პროგნოზის მაგალითად ვერც რუსეთის ფედერაციის განათლების მინისტრ ანდრეი ფურსენკოს განცხადება გამოდგება. მინისტრის თქმით, მომავალი ორი წლის განმავლობაში სამსახურის პოვნა ძალიან გაუჭირდება უმაღლესი სასწავლებლების ახლად კურსდამთავრებულებსაც. ახლახან ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ 2008 წლის მაისიდან ვაკანსი-

ების ოდენობა, სადაც ახალგაზრდების დასაქმება იყო შესაძლებელი, 4-ჯერ შემცირდა.

ექსპერტთა თქმით, უმთავრესი, რაც ექვსი საფუძველს იძლევა, პრეზიდენტის თეზისებში 2009 წლისთვის მკაფიო ანტიკრიზისული პროგრამის არარსებობაა. ანალიტიკოსთა თქმით, სახელმწიფო ვალდებულია, გარკვევით თქვას, რა ბერკეტებს ფლობს და კომერციული მოთხოვნის ვარდისთვის ხელის შეშლას როგორ აპირებს. გაურკვეველია, სახელმწიფო როგორ დააფინანსებს კომუნალური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას და რა სახის შეკვეთების იმედი შეიძლება ჰქონდეს საწარმოებს. სახელმწიფოს მეთაური გეგმებზე კონკრეტულად არაფერს ამბობს და ამის ნაცვლად საგარეო ურთიერთდაპირისპირებასა და 2008 წლის ბიუჯეტის დეფიციტს აღემატება.

"თი-ენ-ეს რაშას" ტელერეიტინგის შედეგებით, სპეციალურმა პროგრამამ "წლის შედეგები რუსეთის პრეზიდენტთან ერთად" ტრადიციულ სერიალებთან ნააგოდ მიტრი მედვედევის დაპირებამ 18 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები არ დაინტერესა ისეთ სერიალებზე მეტად, როგორცაა - "მონ-

ტერისტო", "მემკვიდრეობა" და "პროვინციელი." გაზეთ "კომერსანტის" თანახმად, რუსეთის პრეზიდენტის მიმართვის უმთავრესი კონკურენტი ცისფერ ეკრანებზე სერიალი "როჭო" აღმოჩნდა - 21.3-პროცენტით აუდიტორიითა და 7.5-პროცენტით რეიტინგით.

გამოცემის თანახმად, მედვედევის გამოსვლის ყველაზე მოკლე და ამასთან რეიტინგული ვერსია "ენ-ტე-ვის" ეთერში გავიდა. პრეზიდენტთან საუბარი 19:00 საათზე სპეციალურ საინფორმაციო გამოშვება "სეგოდნია"-ში აჩვენეს, რასაც მოსკოვში აუდიტორიის 17.2 პროცენტმა უყურა და 5.1-პროცენტით რეიტინგს ვერ ასცდა.

ყველაზე ხანგრძლივი ვერსია "პერვი კანალმა" გადასცა, რომელსაც მაყურებლების 15.7 პროცენტმა უყურა, ხოლო რეიტინგმა 5.8 პროცენტს შეადგინა.

გაზეთ "კომერსანტის" მონაცემებით, ტელეარხ "როსიაზე" მიმდინარე წლის 4 დეკემბერს "საუბარს ვლადიმირ პუტინთან" პირდაპირ ეთერში მოსკოვის სატელევიზიო აუდიტორიის 41 პროცენტმა უყურა, რაც, საშუალოდ, 2.5-ჯერ აღემატება სხვა ტელეარხების იმ ერთ-გული მაყურებლების საერთო რაოდენობას, რომლებიც დამატრი მედვედევის პერსონით არიან დაინტერესებულნი.

თალიბანის მებრძოლები ქალთა სკოლებისა და ბავშვთა აცრების აკრძალვას ითხოვენ

თალიბანის მებრძოლებმა სვატის ყოფილ სამთავროში, რომელიც პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში არის განლაგებული, ქალთა ყველა სკოლის დახურვა მოითხოვეს. თუკი თალიბთა ულტიმატუმი არ შესრულდება, მებრძოლები ქალთა სკოლების აფეთქებას და მოსწავლე გოგონებზე თავდასხმებს დაიწყებენ.

თალიბთა მოთხოვნა მეჩეთებსა და ადგილობრივ რადიო ეთერში გახმაურდა. მებრძოლები იმ ქალების სასტიკად დასჯის პირობას დებენ, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში უპიჯაბოდ გამოჩნდებიან.

თალიბები ასევე კრძალავენ ბავშვების აცრებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ზრდასრულ ასაკში გაერო-ს მიერ მიწოდებული ვაქცინა იმპოტენციას იწვევს. თალიბთა ერთ-ერთ სარდალ შაჰ დირანის განცხადებით, "ქალთა განათლება ისლამის კანონებს ეწინააღმდეგება." მედიანიუსი

ბრიტანეთის ხელისუფლებამ ტელეკომპანია "ჩანელ 4" გააკრიტიკა

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ ტელეკომპანია "ჩანელ 4" გააკრიტიკა, რადგან ტელეარხის ეთერით ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის საშობაო მიმართვა გადაიკა. ტელეარხის მესვეურები კი თავის მხრივ მიიჩნევენ, რომ არასწორად სულაც არ მოქცეულან, რადგან მათ მხოლოდ ის გააკეთეს, რომ თავიანთი მაყურებელს ალტერნატიული აზრის მოსმენის საშუალება მისცეს.

ტელეარხი "ჩანელ 4" ბოლო 15 წელიწადია ალტერნატიული საშობაო მიმართვების ტრანსლირებას ახდენს. მიმართვის რიგით მე-16 ავტორის მიმართ უკმაყოფილება არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, არამედ რამდენიმე პარლამენტარმაც გამოთქვა. ბრიტანეთში აჰმადინეჯადს, ძირითადად, იმისთვის აკრიტიკებენ, რომ ეს უკანასკნელი ღიად გამოთქვამს ისრაელის სახელმწიფოს განადგურების სურვილს და მათამაგლების უფლებებს ლახავს. მედიანიუსი

რუსები მიგრანტებთან საბრძოლველად იარაღს ყიდულობენ

საძიებო სერვერ "იანდექსის" მონაცემებით, რუსეთის მოქალაქეების რიცხვი, რომელთაც იარაღის შეძენა სურთ, 2008 წლის ნოემბერ-დეკემბერში, 2007 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხუთჯერ გაიზარდა.

2008 წლის დეკემბერში იარაღის შეძენის სურვილი 20 ათასზე მეტმა რუსმა გამოთქვა.

რუსი ექსპერტების აზრით, ამის მიზეზი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებაა, რომლის მიხედვითაც, ფინანსური კრიზისის გამო უმუშევრად დარჩენა, პირველ რიგში, მიგრანტებს ემუქრებათ და, შესაძლოა, მიგრანტებმა თავის განტანა კრიმინალური საქმიანობით სცადონ. მედიანიუსი

ბელგიაში ვანდალებმა ავტომანქანები მოხატეს

ბელგიაში ვანდალებმა ასობით ავტომანქანა მოხატეს. ინციდენტი შობა ღამეს მოხდა. დილით ვალვიკებულმა მოქალაქეებმა აღმოაჩინეს, რომ მანქანების საბურავები დაზერული იყო, თავად ავტომობილები კი დაჩხაპნილი ან საღებავებით ათიხნილი. პოლიცია ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილ სამ მამაკაცს ეძებს. მედიანიუსი

მეკობრეობასთან ბრძოლას იემენიც იწყებს

იემენის ხელისუფლებამ საზღვაო მეკობრეობასთან მებრძოლი რეგიონული ცენტრის შექმნის შესახებ განაცხადა. ცენტრი საქმიანობას უკვე ექვს თვეში შეუდგება. პროექტში მონაწილეობას ის ქვეყნები მიიღებენ, რომელთაც წითელ ზღვასა და ადენის ყურეზე აქვთ გასასვლელი, სადაც ბოლო წლებში სომალელი მეკობრეების გააქტიურება უკვე აუტანელს ხდის ზღვაოსნობას. გარდა იემენისა, ატიმეკობრული ცენტრის შექმნაში მონაწილეობას იღებენ ომანი, სომალი, საუდის არაბეთი, ჯიბუტი, ეგვიპტე, იორდანია, სუდანი, ეთიოპია და ერთი რეა. მედიანიუსი

ბარაკ ობამამ შობა საზღვაო ქვეითი კორპუსის ბაზაზე აღნიშნა

აშშ-ს არჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შობა სამხედრო მოსამსახურებთან ერთად აღნიშნა. ჰავაიზე მყოფმა ბარაკ ობამამ, სადაც ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების ოფიციალურად დაწყებამდე ბოლო შევებულებას ატარებს, საზღვაო ქვეითი კორპუსის ბაზა ოჯახთან ერთად მოინახულა. ობამას მშობლიურ კუნძულზე საზეიმო ვახშამი გაიმართა, რომელშიც საზღვაო ქვეითი და სამხედრო საზღვაო ძალების სამხედრო მოსამსახურებმა მიიღეს მონაწილეობა.

Los Angeles Times-ი წერს, რომ არჩეულმა პრეზიდენტმა რადიომიმართვისას აშშ-ს ყველა მოქალაქესა და სამხედრო მოსამსახურეს შობა მიულოცა.

სიტყვით გამოსვლისას ობამამ 1776 წლის შობა გაიხსენა, როდესაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისას ამერიკის ჯარი, ჯორჯ ვაშინგტონის ხელმძღვანელობით, მდინარე დელავერზე გადავიდა და შემდეგ ბრიტანეთის სამეფოს მხარეს მებრძოლი გერმანელი დაქირავებული ჯარები გაანადგურა.

შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს შობა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშმაც მიულოცა, რომელიც 2009 წლის 20 იანვარს პრეზიდენტი სავარძელს ობამას დაუთმობს. ჯი-იჩი-ენი

აშშ-ს ბიოლოგიური უსაფრთხოება ემუქრება

საფრთხეების ხუთწლიანი პროგნოზი

უახლოეს ხუთ წელიწადში აშშ-ს ტერორისტების მხრიდან მასშტაბური ბიოლოგიური შეტევა ემუქრება. ამგვარი პროგნოზი მოპოვება ძალზე გაუჭირდებათ.

აშშ-ს ტერორისტული საფრთხეები განსაკუთრებით მძაფრად, შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკაში არასტაბილური სიტუაციის გამო დაემუქროს. უახლოეს ხუთ წელიწადში შეერთებულ შტატებში, შესაძლოა, იმიგრანტების სახით "რადიკალი ისლამის-

ტები" შევიდნენ. ამგვარი პროგნოზის ალბათობას ზრდის ის ფაქტი, რომ ამერიკაში მოსალოდნელია იმიგრანტთა ნაკადის მოპოვება ძალზე გაუჭირდებათ.

იმდენად, რამდენადაც უახლოეს მომავალში შეერთებულ შტატებში იგეგმება აფრიკიდან ლტოლვილების რაოდენობის 12 ათასამდე შემცირება, მრავალი აფრიკელი, სავარაუდოდ, ქვეყანაში არალეგალური გზით

შელწევას შეეცდება. ასეთივე ქმედებები მოსალოდნელია ავღანეთიდან, ბანგლადეშიდან და პაკისტანიდან ლტოლვილების მხრიდანაც.

ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს შიდა ანგარიშის თანახმად, უახლოეს ხუთ წელიწადში აშშ-ში ასევე გაიზარდება ჰაკერების მხრიდან განხორციელებული ტერორისტული შეტევების რიცხვიც. ეს იმით აიხსნება, რომ ჰაკერული ტექნოლოგიები სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება.

რევოლუ

სკილო "ველური ველისთვის"

მიხეილ კალატოზიშვილის ფილმმა წლის ფილმის წოდება დაიმსახურა



მიხეილ კალატოზიშვილი გადაღებებზე (მარცხნივ).



კადრი ფილმიდან

ნა ვაკაა

ხრიოკი, ლამის უდაბნოდ ქვეყნული გარემო, გამხმარი ნიადაგი, მტვრიანი გორაკები და ადამიანი, რომელიც ამ თითქმის მკვდარ ადგილას სხვისი სიცოცხლის გადარჩენისთვის იბრძვის, თუმცა საბოლოოდ ეს ყველაფერი სწორედ საკუთარი სიცოცხლის საფასურად უჯდება. ასეთია მიხეილ კალატოზიშვილის ფილმის "ველური ველის" მოკლე აღწერა. ფილმი კი ორიოდ დღის წინ რუსეთის კინოკრიტიკოსთა და კინოპრესის ეროვნული პრემიით "ოქროს სპილოთი" დააჯილდოეს.

რატომ ჰქვია ამ პრემიას სპილო და თანაც თეთრი, მით უმეტეს ქვეყანაში, სადაც სპილო ისეთივე უცხო არსებაა, როგორც სამეგრელოში ბენგალური ვეფხვი, ალბათ ნაკლებადაა ჩვენი სადარდებელი, ამიტომ ვეცდებით, მიხეილ კალატოზიშვილის თემას ძალიან არ გავცდეთ. მისი პერსონა კი აშკარად იმსახურებს ქართველების ინტერესს, რადგან დიდი მიხეილ კალატოზიშვილის

შვილიშვილია, ხოლო მისი "ველური ველი" ორიოდ კვირის წინ დასრულებული თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე სპეციალური ჩვენებით იყო წარმოდგენილი.

"ველურმა ველმა" 2008 წელს გამოსულ ასზე მეტ ფილმს გაუწია კონკურენცია და საუკეთესოს ტიტულიც საკმაოდ მკაცრი შერჩევის პირობებში დაიმსახურა. კალატოზიშვილის ნამუშევარმა პრიზი საუკეთესო სცენარისთვისაც (პეტრე ლუციკი და ალექსეი სამორიადოვი) მიიღო, ასევე დააჯილდოეს მამაკაცის მთავარი და მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელი მსახიობებიც ოლეგ დოლინი და რომან მადაიანოვი.

როგორც გითხარით, ფილმის ნახვის საშუალება უკვე ჰქონდათ თბილისის კინოფესტივალის დასურვის ცერემონიალის სტუმრებს. საბედნიეროდ, ფილმი არ აღმოჩნდა ისეთივე სატანჯველი, როგორც ჩვენი კიდევ ერთი თანამემამულის ბაკურ ბაკურაძის "შულტესი" იყო (ამ ფილმმა პრიზი საუკეთესო დებიუტისთვის დაიმსახურა), თუმცა

არც ბევრი აკლდა. უდავოა, რეჟისორი არ იშურებს ძალას და ღონეს, რომ ფილმი რაც შეიძლება სანახაობრივი გახადოს, რასაც არაჩვეულებრივად ახერხებს ყაზახეთის უსიცოცხლო ბუნების ხარჯზე, ხოლო ძალიან კარგად შერჩეული მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ხასიათის შექმნაში ეხმარებიან. საინტერესოა თავად განდევნილი ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტიც, მის გარშემო მიმდინარე პროცესები ანუ ყველაფერი ის, რაც მას ნაკლებად ეხება, მაგრამ ძალაუნებურად ამ ყველაფრის მონაწილეა, თუმცა საკმარისია კადრში მთავარი როლის შემსრულებელი ოლეგ დოლინი გამოჩნდეს (ხოლო ის თითქმის ყველა კადრში ჩანს), ზემოთ ნახსენები კომპონენტებით აგებული შენობა ხუხულასავით ინგრევა. დოლინი იმასაც კი ვერ ახერხებს, რომ მის გარშემო არსებელი ხრიოკი ბუნების შესაბამისი იყოს, მას დაემსგავსოს (რაც გარდაუვალია, რადგან ის აქ ცხოვრობს) და მხოლოდ ხელოვნური ემოციებით შეკონინტეზულ პერსონაჟს გვთავაზობს. ამას ემა-

ტება მისი ამ უდაბურ ადგილას ცხოვრების სრულიად აუხსნელი მიზეზი და მაყურებელი ისე მიდის ტიტრებამდე, რომ მაინც ვერ იგებს ვერც მისი განდევილობის მოტივს და ვერც იმას, რას ელის, როდესაც კვირაში ერთხელ საფოსტო ყუთის შესამოწმებლად მიდის.

რუსული პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში მიხეილ კალატოზიშვილი ამბობს: "ფილმი იმ ადამიანზეა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სტეპებში ცხოვრობს, მაინც არ წყვეტს არსებობას და საყვარელ საქმეს აკეთებს. მთავარი გმირი აქაურობას არ ეკუთვნის, მაგრამ მაინც ახერხებს რეალობას შეერწყას და მისი ნაწილი საკუთარ თავში შემოუშვას. მე ბევრჯერ ვყოფილვარ სტეპებში და თავად ვიცი, რა მაგიურ აურას ატარებს მსგავსი ადგილები, მის შიგნით სხვანაირი ცხოვრება მიმდინარეობს. უბრალოდ შეუძლებელია, მისი ნაწილი არ გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ძალიან მარტოდ იგრძნობ." როგორც მიხეილ კალატოზიშვილი ამავე ინტერვიუში აღნიშნავს, სურ-

და, გადაღებები რაც შეიძლება ნატურალისტური ყოფილიყო, ამიტომ მთელ გადაღებებზე ჯგუფს აიძულებდა, ღამეც კი სტეპებში გაეთიათ. "ამ ისტორიით აღფრთოვანებული ვიყავი. როგორც წესი, ფილმებისთვის სცენარებსაც მე ვწერ, მაგრამ როდესაც პეტრე ლუციკისა და ალექსეი სამორიადოვის ნამუშევარი ჩამივარდა ხელთ, მივხვდი, რომ ეს ჩემი ფილმი იყო, რომ მთავარ გმირში იყო რაღაც ჩემიველი, ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, ამ სცენარს ეკრანზე ყველაზე კარგად მე გადავიტანდი", - იხსენებს რეჟისორი.

მიხეილ კალატოზიშვილი 1959 წელს თბილისში დაიბადა. 1973 წლიდან მოსკოვში ცხოვრობს, სადაც კინემატოგრაფის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა. 80-იან წლებში "ქართულ ფილმში" მუშაობდა, რომლის ბაზაზეც რამდენიმე ფილმი აქვს გადაღებული ("მექანიკოსი", "რჩეული" და სხვა). შემდეგ მუშაობდა კინოსტუდია "ლენფილმში". ამჟამად კი მიხეილ კალატოზიშვილის სახელობის ფონის პრეზიდენტია.

ბესტსელერი ნიგნის საუკეთესო აკრანიზაცია

გარდაცვალება "მოკალი ჯაფარას" რეჟისორი რობერტ მალიგანი

კინემატოგრაფის არც თუ ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში გადაღებულ ასიათასობით ფილმს შორის მხოლოდ რამდენიმეა, რომლებიც კინოს კლასიკურ ნიმუშებადაა მიჩნეული და ხშირად ეტალონადაც გამოიყენება. სწორედ ასეთია შორისაა ჰარპერ ლის ცნობილი რომანის "მოკალი ჯაფარას" ეკრანიზაცია, რომლის რეჟისორი რობერტ მალიგანი 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. უხუცესი რეჟისორი გულის შეტევით გარდაიცვალა, თუმცა ასაკის მიუხედავად ახლობლებისთვის ეს მაინც მოულოდნელი იყო, რადგან მალიგანი არაფერს უჩიოდა.

მალიგანი 1925 წელს ნიუ იორკში დაიბადა. თავიდან კინოში მუშაობაზე არც კი ფიქრობდა, რადგან ძალი-

ან აინტერესებდა ტელევიზია. წლების განმავლობაში ტელეკომპანია CBS-ის თანამშრომელი იყო, სადაც ჯერ კურიერად მუშაობდა, შემდეგ კი პროდიუსერის ასისტენტობას მიიღწია, ბოლოს კი ტელევიზორების რეჟისორი გახდა. პირველი მხატვრული ფილმი 1960 წელს გადაიღო - კომედია "ვირთების რბოლა", რომლის თანამედროვე ვერსიასაც ყველა იცნობს. რობერტ მალიგანი საკმაოდ ნაყოფიერ რეჟისორად მიიჩნეოდა და წელიწადში 3-4 ფილმის გამოშვებასაც ახერხებდა. მათგან ნაწილი წარმატებას აღწევდა, ნაწილს კი მაყურებელი ნახვისთანავე ივიწყებდა, თუმცა რეჟისორის ფილმოგრაფიაში არის ფილმი, რომელიც როგორც უკვე გითხარით, დღემდე

მიიჩნევა კლასიკურ ნამუშევრად. "მოკალი ჯაფარა" 1963 წელს სამი "ოსკარის" ნომინანტი გახდა. ამერიკის კინოაკადემიის მთავარი ჯილდოები მიიღეს სცენარისტმა, დეკორაციების ავტორმა და მთავარი როლის შემსრულებელმა გრეგორი პეკმა. სწორედ ამ მსახიობის პერსონაჟი ატიკუს ფინჩია ნანარმოებისა და შესაბამისად ფილმის მთავარი გმირი. იგი ალაბამელი იურისტი, რომელიც მარტო ზრდის ორ შვილს და სწორედ მისი შვილების აზროვნებასა და ფანტაზიებზე გადის ნანარმოების მთავარი ხაზი. ატიკუს ფინჩი ამერიკის სამხრეთში გამეფებული რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ იბრძვის, რის დროსაც თავისი მოზარდი შვილებისთვის

ნამდვილ გმირად იქცევა. ალბათ სწორედ ამის გამოა მიჩნეული ატიკუს ფინჩი მე-20 საუკუნის ყველაზე დადებით კინოპერსონაჟად. ფილმში მოქმედება დიდი დეპრესიის დროს ხდება. შავკანიან ტომ რობერტსონს თეთრკანიანი ქალის გაუპატიურებაში სდებენ ბრალს. საქმე იმდენად რთულია, რომ მისი გამოძიება და სასამართლო პროცესი თითქმის ორი წლის განმავლობაში გრძელდება. ეს სწორედ ის დროა, როდესაც ატიკუს ფინჩის შვილების ცხოვრებაში დიდი ცვლილებები ხდება - ისინი ნელ-ნელა ტოვებენ ბავშვობას და დიდების ცხოვრებაში ინაცვლებენ, ხოლო პირველივე რასაც აქ შეეჯახებიან, უსამართლობა და ძალადობაა. ისინი ხვდებიან,

რომ ყველაზე საშინელი არსება არა მათ წარმოსახვაში მცხოვრები ურჩხულია, არამედ თავად ადამიანი, საზოგადოება, ხოლო მათი წესიერი და სამართლიანი მამა ერთგვარი ბალანსის ფუნქციას ითავსებს. ჰარპერ ლიმ "მოკალი ჯაფარა" 1959 წელს თითქმის ერთწლიანი მუშაობის შემდეგ დაასრულა, ხოლო მომდევნო წელს ნიგნი ბესტსელერად იქცა. ნანარმოებმა წლის საუკეთესო ნანარმოების ნომინაციაში პულიტცერის პრემიაც მიიღო. ნიგნი დღემდე ინარჩუნებს ამერიკული ბესტსელერის წოდებას, დღემდე მისი 30 მილიონამდე ეგზემპლარია გაყიდული, ხოლო 1999 წელს "მოკალი ჯაფარა" ასწლეულის საუკეთესო ნანარმოებად დაასახელეს.

ბასა ჭანიკაშვილის პატივსაცემი



ინტერვიუ მესამე

ბაუმარჯოს მებობრობას!

დღევანდელი ჩვენი სტუმარია ინჟინერი თემურ ასკიშვილი. ამჟამად იგი მძღოლად მუშაობს. ბატონი თემურაზი ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და როგორც თვითონ ამბობს, ყელაფერი კარგად იქნებაო.

თემურ ასკიშვილი - ძალიან მინდა, რომ ეს კონფლიქტი რუსეთს საქართველოს შორის, მალე მოგვარდეს და რაც შეიძლება სწრაფად, რომ ყველაფერი კარგად იყოს მინდა. რამდენიმე დღის წინ "კურიერში" უყურებ რომ გაეროს მისია რუსებმა გააგდეს და გული დამწყდა, იმიტომ, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარ...

- ბ.ჯ.** - ბოდიში, რა ბრძანებთ?
- თ.ა.** - ...მეზობელია და არ შეიძლება ესე მოქცევა.
- ბ.ჯ.** - ჩვენ ვიქცევით არასწორად, ბატონო თემურ?
- თ.ა.** - არა, მარა არც რუსეთი იქცევა სწორად.
- ბ.ჯ.** - თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს მხოლოდ ეუთოს დამკვირვებლები...
- თ.ა.** - რას ვამბობდი, ბატონო ბასა და ტერი პაკალა როა, ეუთოს დამკვირვებელი, "კურიერში" უყურებ და ისეთი გულდანყვეტილი იყო, რომ მეც დამწყდა გული. ამ ქალმა თქვა, რო სამხრეთ ოსეთი ისე შემყვარდაო, რა თქმა უნდა, საქართველოს შემადგენლობაში, რომ ეს რუქა, სამხრეთ ოსეთის რუქა, სახში უნდა წავიღო. დიდი რუქა ეკიდა კაბინეტში სამხრეთ ოსეთის.
- ბ.ჯ.** - დიდი მადლობა.
- თ.ა.** - არა, არ ნახვიდეთ, ეხლა რატო მოვყევი ეს ამბავი. ომის დროს, მე სულ პირველად რომ ჩამოვიდნენ ეგენი და ის ქალბატონი ტერი პაკალა მყავდა გორში წაყვანილი. ბომბებია, არის ერთი ამბავი და წავედი გორში. ეხლა მინევს მძღოლად მუშაობა, თორე ადრე მე დავაპროექტე, უფრო სწორად ჩემმა სამსახურმა პარლამენტის შენობა და დავინყეთ აშენება. ჰოოდა, ვიყავით გორში და ცვივა ეს ზომები და...
- ბ.ჯ.** - გასაგებია, უნდა დავასრულოდ. ბოლო შეკითხვა: როგორ გესახებათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივა?
- თ.ა.** - და ვინ თქვა რომ ახლა დაბრუნებასთან. აი, ამერიკის ხელშეწყობა რა გამოვა, არ უნდაოდ გერმანელებს ნატოში რო ვყოფილიყავით, ჰოოდა, იყვენენ ეხლა და ჩვენ ვიქნებით ამერიკელებთან.
- ბ.ჯ.** - და რუსეთის გალიზინებას არ გამოიწვევს?
- თ.ა.** - რა თქმა უნდა გამოიწვევს.
- ბ.ჯ.** - ყველაფერი გასაგებია.
- თ.ა.** - როგორ არის იცით ეგ ამბავი? ტერი პაკალამ მითხრა, ცხინვალში რო მივდიოდით, რომო, რუსეთს არაფერი უნდა დაუთმოთო, მაგრამო, არც უნდა ეჩხუბოთო. ეხლა, მოდი და არ დაუჯერო. როდის იყო, რამდენიმე დღის წინ არ დახურეს რუსებმა ეუთოს მისია?
- ბ.ჯ.** - გასაგებია. მე მეტი კითხვა არ მაქვს.
- თ.ა.** - არა.
- ბ.ჯ.** - ვერ გავიგე?
- თ.ა.** - ტერი პაკალამ მითხრა, რომ თუ რუსებთან დალაგებთ ურთიერთობას, ყველაფერი კარგად გექნებათო. და ამერიკელებთან საქმეს ნუ დაიჭერთო. არ გვიანდა ამერიკელებთან, რუსეთი ჩვენი მეგობარ...
- ბ.ჯ.** - რა ბრძანებთ?
- თ.ა.** - ...მეზობელია და არ შეიძლება მაგის გაბრაზება. რო გვგობავდნენ, მანქანას მოუშვირეს ტანკის ლულა და ჩემ მანქანას ეუთოს მანქანა და მაინც გაგავაჩერეს რუსებმა და ტერი პაკალამ უთხრა, ჩვენი, დამკვირვებლები ვართო და უფლება არა გაქვთო რომ გვაჩერებთო და...
- ბ.ჯ.** - ბატონო თემურ, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის, იქნებ რაიმე კურიოზი გაიხსენოთ?
- თ.ა.** - რა კურიოზი?
- ბ.ჯ.** - ასეთი ტრადიცია გვაქვს. ჩვენი რესპონდენტები რაიმე სახალისო ამბავს ყველანაირად ხოლმე.
- თ.ა.** - გეტყვით. აი, ავგისტოა და რო გითხარით, გაჩერეს ჩვენი მანქანა და ტერი პაკალამ უთხრა უფლება არა გაქვთო და მაინც ეს რუსები ჯიუტად არ გვიშვებდნენ და გადმოვიდი და რა გჭირთ ხალხო, რუსულად ვეუბნები, რამ გავამხეცათ მეთქი და რო მთხლიმეს ავტომატი მუცელში, ჩავიკეცი და მერე კეფაში ერთი კონდახი და შემდგა ეს ვირიშვილი ნიხლებით, მირტყა და მირტყა. (იცინის)
- ბ.ჯ.** - (იცინის) მადლობოთ...
- თ.ა.** - რამდენი მირტყეს არ იცი და მერე ტერი პაკალა დაჯდა საქსთან უკანა გზებზე. (იცინის) ვინეჭი უკან სუ სისხლებში...
- ბ.ჯ.** - (იცინის) მადლობოთ... არაჩვეულებრივი ისტორიაა...

ჭანსულ ჩარკვიანი - 100 ლექსი

"ინტელექტმა" ახალი კრებული გამოსცა

თამარ კიკნაშვილიძე

"ძლივს-ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის, ტყვია მიზანში მოსახვედრია, თავისუფლება, ისე არ მოდის, თავისუფლება, ლომთა ხვედრია".


ჯანსუღ ჩარკვიანი

გუშინ, გამომცემლობაში - "ინტელექტი" პრეზენტაცია შედგა წიგნისა, რომელიც 100 ლექსის სერიით გამოიცა. კრებულში ჯანსუღ ჩარკვიანის 100 ლექსია თავმოყრილი, შემდგენელია ცისანა გენძეხაძე, საგამომცემლო პროექტის ავტორი კი, - კახმეგ კუდავა.

გამომცემლობა "ინტელექტი" 1994 წელს დაარსდა. მისთვის პრიორიტეტულია სასკოლო სახელმძღვანელოების ქართულ, აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოცემა. ასევე, გვთავაზობს საბავშვო და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, პოეზიას და პროზის ნიმუშებს. 100 ლექსის სერიის პარალელურად, ის ნობელის პრემიის ლაურეატების სერიასაც უშვებს.

100 ლექსის სერიით უკვე გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, მირზა გელოვანის, მორის ფოცხიშვილის, პაოლო იაშვილის, იოსებ ნონევილის, შოთა ნიშნაიძის, ირაკლი აბაშიძის, ლია სტურუას, ბესიკ ხარანაულის, "ციფერყაყანელების" და სხვათა კრებულები. მათ შორის, ჯანსუღ ჩარკვიანის "100 ლექსი" რიგით ოცდამეცამეტეა.

"დგას რისხვად ოცდამეერთე, მკაცრი და მკაცრი ყოველთა" - შენი სიტყვებია, ჯანსუღ! ჯერ კიდევ როდის - 70-იან წლებში წარმოთქმული! ამ საუკუნის სახე შენ ადრევე განჭერიტე და შეაფასე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შეუძლებელიც კი იყო წარმოდგენა იმისა, რომ "თავისუფლების გრივანი" ლამის მინასთან გაასწორებდა ჩვენს მეობას, თითქმის მოაშთობდა ჩვენს სულერებას და სხვათა ფეხის ხმის აყოლას გვიჩვენებდა! როდესაც წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო იმისა, რომ... კვლავ მკრეხელურად გადავწვდებოდით "ჩვენთვის



ჯვარცმულს". ვისი "რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შესაკრებად" (ილია). დიახ, ჯერ კიდევ როდის წერდი: "არა თავყვენი ვსცე სხვას, არცა ვმასხურებდე სხვას!..", - ანა კალანდაძის სიტყვებით იწყება ახალდამოცემული წიგნი, სადაც ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიის თავყვენიშვნელობა ავტორის საუკუნეებს აღმოაჩენთ, მათ შორისაა: "მზისადმი", "ლამაზი სიკვდილი", "განმორება", "პოეტი", "ირინოლა", "საქართველო", "ერთხელ", "კესანე" და სხვები.

პრეზენტაციაზე ამ კრებულის შემდგენელმა ცისანა გენძეხაძემ აღნიშნა: "აქამდე თუ ჯავახიშვილისტი ვიყავი, რდგანაც მის შემოქმედებას წლების განმავლობაში ვსწავლობდი, ახლა ჩარკვიანისტი გავხდი... არ შემძლია არ ვახსენო ამ წიგნის თანაშემდგენელი, ლექსის ტრფიალი, ირმა ჩხეიძე... ჩვენ ჯანსუღის ზოგიერთი ლექსის შესახებ ბევრი ვიბრძოლეთ და თავდაპირველად, 200-ზე მეტი ლექსი შევარჩიეთ, საიდანაც, ბოლოს, ასი გამოვყავით. ამ წიგნს შინაგანი კომპოზიცია აქვს. მასში ირმასადმი, ირინოლასადმი, თამუნასადმი, ჯიმისადმი თუ მამუკასადმი მიძღვნილ ლექსებს, სადაც განზოგადოებულია, მაგალითად, სიკვდილ-სიციოცხლის თემა, სამშობლოსადმი მიძღვნილი ნიმუშები მოსდევს. აქ მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაა გადმოცემული, ხშირად ისმის ღმერთისადმი ვერდება... როდესაც ამ კრებულს გადაშლით, ნახავთ, რომ ის მზისადმი მიმართული ნიმუშებისტი ვიყავი, რდგანაც

მის შემოქმედებას წლების განმავლობაში ვსწავლობდი, ახლა ჩარკვიანისტი გავხდი... არ შემძლია არ ვახსენო ამ წიგნის თანაშემდგენელი, ლექსის ტრფიალი, ირმა ჩხეიძე... ჩვენ ჯანსუღის ზოგიერთი ლექსის შესახებ ბევრი ვიბრძოლეთ და თავდაპირველად, 200-ზე მეტი ლექსი შევარჩიეთ, საიდანაც, ბოლოს, ასი გამოვყავით. ამ წიგნს შინაგანი კომპოზიცია აქვს. მასში ირმასადმი, ირინოლასადმი, თამუნასადმი, ჯიმისადმი თუ მამუკასადმი მიძღვნილ ლექსებს, სადაც განზოგადოებულია, მაგალითად, სიკვდილ-სიციოცხლის თემა, სამშობლოსადმი მიძღვნილი ნიმუშები მოსდევს. აქ მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაა გადმოცემული, ხშირად ისმის ღმერთისადმი ვერდება... როდესაც ამ კრებულს გადაშლით, ნახავთ, რომ ის მზისადმი მიმართული ნიმუშებისტი ვიყავი, რდგანაც

კომუნიზმი ბატონის წინააღმდეგ

ჩინეთში "ბნელი რაინდი" აკრძალეს

თამარ ხუციშვილი

კრისტოფერ ნოლანის ფილმი, "ბნელი რაინდი" ჩინეთის კინოთეატრებში არ გამოვა. როგორც კინოკომპანია "უორნერ ბრაზერსის" პრეს-რელიზში განაცხადეს ფილმის აკრძალვის მიზეზი გახდა რამდენიმე პუნქტის დაუკმაყოფილებლობა, რომელსაც როგორც ნესი ჩინური მხარე უყენებს ფილმების გამქირავებლებს. ერთ-ერთი უმთავრეს მიზეზად კი "კულტურათა განსხვავება" დასახელდა. ზუსტად რას ნიშნავს ეს ამაზე კომენტარი ჩინურ მხარეს არ გაუკეთებია, "უორნერ ბრაზერსის" წარმომადგენლების აზრით კი ფილმის აკრძალვის მიზეზი გახდა ფილმის ერთ-ერთი ეპიზოდი, როდესაც ბეტმენი (კრისტინ ბელი) ჰონგ კონგში ჩინელ ბო-



როტმოქმედს აპატიმრებს. ეს არ არის ჩინეთში ამერიკული ფილმის აკრძალვის პირველი შემთხვევა. 2005 წელს ტაივანელი რეჟისორის ენგ ლის

ფილმი "კუზიანი მთა" აიკრძალა თავისი სიუჟეტის გამო. ფილმის მთავარი პერსონაჟები კოვბოი ჰომოსექსუალები არიან. ერთი წლის შემდეგ "გეიმას დლიურე-

დარბაზში შეკრებილთაგან, ჯანსუღ ჩარკვიანზე არაერთმა ისაუბრა. მისი სიტყვის, აზრისა და განცდის ძლიერებასა და განსაკუთრებულობაზე ბევრი ითქვა. აქ ისიც არინიშნა, რომ ჯანსუღის ათეულობით ლექსს ყველა დიდი პოეტი მოაწერდა ხელსო... მურმან ლებანიძეს კი, მასზე აი, რა დაუწერია: "შენ არ ბერდები, - ასაკში შედიხარ, ძმაო ჯანსუღ! ... ისევ ის მძვინვარე მეომარი ხარ - შენს ქვეყანაზე შეყვარებული, შენი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი... და ყოველივე ეს შენს პოეზიაშია გამოხატული. რაღაც სასწაულით, ჩემო ჯანსუღ, ქართველი კაცის ყველა მთავარ თვისებას შენში მოუყვრია თავი. ასე ვაცნობიერებ ჩემს შენდამი სიყვარულსა და პატივისცემას".

ამ სერიით გამოცემული მომდევნო წიგნის პრეზენტაცია გამომცემლობაში - "ინტელექტი" 29 დეკემბერს, 15:00 საათზე გაიმართება. ამჯერად მკითხველს გიორგი ლეონიძის პოეზიიდან შერჩეულ ას ნიმუშს შესთავაზებენ. კრებული თინათინ ლეონიძემ შეადგინა, წინასიტყვაობა კი, ზაზა აბზიანიძეს ეკუთვნის, რომელიც წერს: "ქართველი პოეტის განზოგადებული სურათის დახატვა რომ მოგინდეთ, ისეთი პოეტისა, რომლის ხასიათშიც, ცხოვრების ნირშიც, გარეგნულ იერშიც და, რაღა თქმა უნდა, შემოქმედებაშიც, მაქსიმალურად იყო გამოკვეთილი სწორედ ის, გამოჩნეულად ქართული თვისებები, რომელნიც განასხვავებენ ამ ხასიათს, ამ გარეგნობასა და ამ პოეზიას ყველა სხვისგან, პირველ ყოვლისა, უთუოდ გიორგი ლეონიძე გაავსენდებათ..."

...მარტო გიორგი ლეონიძეს თუ შეეძლო ასე ოსტატურად დაპირისპირებოდა ფოლკლორულ ტრადიციას, ასე ზუსტად მოედებნა თავის ლექსში ადგილი რუსთაველის სტრიქონებისათვის და, საბოლოო ჯამში, უფრო ინტუიციით, ვინემ ლოგიკით (რომელსაც, მოგესწენებთ, პოეზიაში დიდი გასაგალი არა აქვს), მიხვედრებინა მკითხველი, რომ ამ სიმბავეში, ამ გახელებაში, ამ თავგანწირვაში, საყვარელი ქალის ამ მონატრებაში, ამ ლოდინში და ვნებებაში იყო რაღაც ართქმული, მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვანი... რაღაც გასაგალი თვით გოგლას შინაგანი ბუნების ამოსაცნობად".

მოგონებები ვახუშტიზე

"წინაპართაგან ნავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ყრიაშული..."

თამარ კიკნაველიძე

ნოდარ დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრში პოეტი, ფოლკლორისტი, ფოლკლორის კომპლექსური კვლევის სამეცნიერო ცენტრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, მთარგმნელი და პედაგოგი, ვახუშტი კოტეტიშვილი გაიხსენეს.

ის იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალას ებრძოდნენ... დღეს კი, უემარისობის განცდა გვეუფლება, როდესაც ვისწვებთ ადამიანს, რომელიც ამ ქვეყნიდან უნამალოდ და მოკრძალებულად გავაცივდით.

ვახუშტი კოტეტიშვილის ხსოვნაში მიძღვნილი საღამოს ორგანიზების ინიციატორი გახლდათ თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, მისი დირექტორი გია მურღულია და ამ სკოლის ფილოლოგთა ჯგუფი. მოსწავლეები დარბაზში მყოფ საზოგადოებას ვახუშტი კოტეტიშვილის შემოქმედებასა და დამსახურებაზე ესაუბრნენ.


"ვახუშტი კოტეტიშვილი, ცნობილი მიზეზების გამო, ქართულმა საზოგადოებამ სათანადოდ ვერ გააცნო... ჩვენმა სკოლამ საკუთარ თავზე აიღო მისი ხსოვნაში მიძღვნილი საღამოს ორგანიზება, რადგან ვთვლი, რომ სკოლამ მოსწავლეებს მხოლოდ სხვადასხვა საგანი კი არ უნდა ასწავლოს, არამედ ისიც თუ რა არის ცხოვრება, ღირსება, საზრისი... ეს საღამო გაჯერებული იქნება სევდით, ცოტა სილაღითა და სიბრძნით, რადგანაც ასეთი იყო ვახუშტი კოტეტიშვილი", - აღნიშნა გია მურღულიამ.

საღამოს მონაწილე მოსწავლეებმა ვახუშტი კოტეტიშვილის ლექსები, თარგმანები და წერილები წაიკითხეს. ტრიომ ხალხური სიმღერის რამდენიმე ნიმუში შეასრულა. სცენაზე ანსამბლ "ქართული ხმების" უფროსი თაობა გამოვიდა. დარბაზში შეკრებილი კი განსაკუთრებით ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ეკრანიდან წაკითხულმა ლექსებმა, მისმა მოგონებებმა ააღვლია.

მოგონებებს რაც შეეხება, დარბაზში მრავლად აღმოჩნდნენ ისინი, რომლებიც ვახუშტი კოტეტიშვილს ახლოს იცნობდნენ და მართალია, მასზე წარსულ დროში ლაპარაკი გაუჭირდათ, მაგრამ მაინც ღიმილით გაიხსენეს.

"ჩვენ ქართული ტელევიზიის ფოლკლორის რედაქციაში ერთად ვმუშაობდით. მაშინ, ხალხური ლექსის საღამოები რაიონებშიც იმართებოდა და მასხოვს, ერთ-ერთი გასვლა გვექონდა კასპში, სადაც ვახუშტიმ, რომელიც მართლაც დალოცვილი თამადა გახლდათ, ასეთი სადღევრძელო შესვა: მთელი მეცნიერება ხომ დედა-მინის მიზიდულობის კანონზეა აგებული და ნიუტონიც ზუსტად იმ ხის ქვეშ აღმოჩნდა, რომელსაც ერთადერთი ვაშლი ება და თავში მაინცადამაინც მას დაეცაო... არადა, ამ ჩვენს გლეხებს დახეთქილი აქვთ თავები ვაშლებით და ხმას არ იღებენო... აი, ამ ჭიქით იმ გლეხს გაუმარჯოს, რომელსაც ვაშლი თავში დაეცემა და ნიუტონით არ "გაბაზრებსო"...", - გაიხსენა გია მურღულიამ.

მას განსაკუთრებით უყვარდა ერთი ქართული სიტყვა - გუ-



ლისყური, რომელსაც ხშირად პოეზისთან მიმართებაში იყენებდა და ამბობდა ხოლმე, რომ გულისყური, აი, ასეთი ყური სჭირდება პოეზიასო.

ამ საღამოზე, ვახუშტი კოტეტიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობასთან ერთად, მისი ინიციატივით ორგანიზებული ფოლკლორის საღამოებიც გაიხსენეს. ასეთი საღამო პირველად 1979 წელს ჩატარდა, რომელიც ხალხური ლექსის, სიმღერისა და ცეკვის პარალელურად, გამოყენებითი ხელოვნების ზეიმად იქცა.

ეთერ თათარაძე: - "ამ საღამოს ორგანიზებისათვის დიდი მადლობა გია მურღულიას, ამ სკოლის ფოლოლოგთა ჯგუფს და მოსწავლეებს. ვახუშტი კოტეტიშვილი ხომ თითოეული ჩვენთაგანისგან დიდ სიყვარულს იმსახურებს... მე ვაგვისხენებ თუ როგორ შევხვდი მას პირველად და როგორ დავემშვიდობე სულ ბოლოს... მის გვერდით 27 წელი გავატარე... პირველად კი, მასთან თენგიზ მირზაშვილმა მიმიყვანა (რა უცნაურია, რომ ეს ორი ადამიანი ერთ წელიწადს გარდაიცვალა და ერთმანეთის გვერდით დაიკრძალა...). მის სახლში იმ დროს მივედი, როდესაც ახალი ჩამქრალი იყო ხანძარი, რომელიც ელექტროსადენისგან გაჩნდა. დავინახე, რომ ის ძალიან მშვიდად იჯდა და კედელზე დაკიდებულ სურათს, ვახტანგ კოტეტიშვილის ნახატს უყურებდა, რომელზეც სულ ამბობდა, აი, ეს არის ის, ვისაც მთელი ცხოვრება ანგარიშს ვაბარებო... მართლაც, ძალიან უცნაური იყო, რომ ასეთი ხანძრის შემდეგ ეს სურათი კედელზე უვნებელი ეკიდა... ბოლოს, მე და ამირანმა, ფოლკლორის საღამოების აღდგენა და მისთვის ვახუშტი კოტეტიშვილის სახელის მინიჭება გადაწყვიტეთ. ამის შესახებ რომ შეიტყო, ვა-

ხუშტის თვალები აუცრემლიანდა, მართალია, არ შეიმჩნია, მაგრამ, ალბათ, ძალიან გაუხარდა... მე რე, შევპარე, იქნებ როგორმე წამოხვიდეთ-მეთქი რუსთაველის თეატრში, სადაც ეს საღამო ტარდებოდა. ამის გაგონებაზე კი ძალიან გამიბრაზდა, გინდათ, რომ იქ კუნძივით დამდოთ და ხალხს აყურებინოთ როგორ დავებრდო?... მისი სიტყვების შემდეგ ყველანი გავჩუმდით. მან ცოტა ხანს იბობოქრა და შემდეგ ჩემს ქალიშვილს უთხრა: აი, დედაშენი როგორი გველი გამოიზრდია... ჩემი იქ წაყვანა მოინდომა და იმდენს იზამს, რომ წამიყვანს კიდევცო და გაილიმა. მაშინ მივხვდი, რომ წამოვიდოდა..."

თამაზ ტყემალაძე: - "ვახუშტი კოტეტიშვილი შინაგანად ძალიან ძლიერი კაცი იყო და უცნაურია, რომ ავადმყოფობის მიუხედავად, ის ნირნამხდარი არავის უნახავს... ვახუშტი მე თემურ მაღლაფერიძემ გამაცნო. მასთან პირველი შეხვედრა ჩემთვის დაუფიქრებლად მოგონებად იქცა. მოგვიანებით, ტელევიზიაში, რომელიც დადიანის, ყველა გადაცემის რედაქტორი მე ვიყავი, ერთად მოვიარეთ საქართველოს არაერთი კუთხე და მასთან დაკავშირებით იმდენი რამ მახსოვს, რომ ყველაფერს ვერ მოვცხვრებდი და მეტყობა, მოდი, შენი ყურში ჩასანვეთებელი კონიაკი კიდევ მაქვსო... ერთ წვეთს დალევა თუ არა, დაინყებდა სონეტების კითხვას და ყოველ ჯერზე ახალი ლექსითა და სონეტით მხვდებოდა. მე მისი შემოქმედებითი ნაყოფიერება მაოგნებდა და ხშირად ვეუბნებო-

დი, ძია ვახუშტი თქვენ სწორად დაბერების საუკეთესო მაგალითი ხართ-მეთქი... ვახუშტი სწორად დაბერების მაგალითი იყო. მადლობა მინდა ვუთხრა მზეოს, რომლის ფოფინის დამსახურებაა ის სონეტები, რომელსაც ვახუშტი ქმნიდა. ამ ქვეყნიდან ანა კალანდაძისა და ვახუშტი კოტეტიშვილის ნასვლის შემდეგ მივხვდი, რომ "წინაპართაგან ნავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ყრიაშული"... და გალაკტიონის ეს საოცარი სტრიქონები სხვანაირად შევიგრძენი. მართლაც, ძალიან მძიმე იყო ქაშვეთან ეს "ყრიაშული"... ვახუშტი იმდენად ბუნებრივია, ნაღდი და სუფთა, რომ ვეტყობი ხოლმე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს ქმნი, პირდაპირ ჯანში გვერგება-მეთქი... მას ჰქონდა ერთი უცნაური თვისება, რომელიც ვერ ამოვხსენი - უცნაურად სიტყვას ისე იტყობდა ხოლმე, რომ ნათდებოდა ყველაფერი... ამის გარეშე ვახუშტი წარმოუდგენელია, მისთვის ესეც ენის ნაწილი იყო. მან ქართული ენის დიპლომატიის ზუსტად იცოდა. ერთნაირად ის არაფერს თარგმნიდა, იქნებოდა ეს ცვეტავეა, რილკე, ბროცკი თუ ხაიაში... ამის "მასტერი" იყო... ჩემთვის, ვახუშტის მიერ თარგმნილი ბროცკი, ბროცკის სჯობს..."

ამირან არაბული: - "იმდენად მშვიდი, მწყობრი და შინაარსიანი საღამოა, რომ არ მინდა ჩემი სიტყვებით მასში დისონანსი შევიტანო... ვახუშტიზე გასახსენებელი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოყოლებული მაქვს... ის ბიძაჩემის ძმადანაფიცი იყო და ხშირად გესტუმრობდა. მის ერთ წერილში, რომელიც რეზო ინანიშვილს ეძღვნებოდა, ვახუშტი წერდა: რეზო ინანიშვილზე რომ წეროს კაცმა, ან ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს, ან კიდევ, ოდნავ თავხედილო... მე პირველს პრეტენზია არ მაქვს, მეორესთვის კი თავი არ მემეტებაო... აი, ასე ვარ ახლა მეც და როდესაც ვავთავებდებო, ვახუშტიზე მოგონებებს აუცილებლად დავწერ"...

გრივერ ფარულავა: - "ჩემს ცნობიერებაში, ვახუშტი მოგონებათა სამყაროში ჯერ არ გადასახლებულა... ჩვენ ერთმანეთი 1959 წელს, პიონერთა სასახლეში გავიცანით. მე საჯავახოვან ჩამოსული ვიყავი, ის კი, ქალაქელი არისტოკრატის განსახიერება იყო და მისი მცირე ასაკის მიუხედავად, მას თბილისელებიც ასეთად აღიქვამდნენ..."

მზო გოგოჭური, ვახუშტი კოტეტიშვილის მეუღლე: - "მადლობის გრძნობით ვარ სავსე... არადა, ვახუშტის დაკრძალვამ ისე ჩაიარა, რომ უემარისობის განცდა დამიტოვა. ჩემთვის ის იყო განსხვავებული ნიჭი სიყვარულისა, სიკეთისა და ღრმა კეთილშობილებისა. ვეუბნებოდი ხოლმე, ბიბლიური კაცი ხარ, ამდენს სხვებს როგორ პატიობ-მეთქი... ამაზე მპასუხობდა, ხევსურთა, როგორ სულ შურისძიებაზე ფიქრობო... ნიჭიერებას რაც შეეხება, ეს მართლაც ამოუწურავი თემაა, ამაზე იდგა ჩვენი სიყვარული და ოჯახი. ამხელა ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ჩემთვის ვახუშტი არ დაბერებულა, ის არ იყო მოხუცი... ქაშუეთში რომ დავასვენეთ, იქ სულ 23 კაცი ვიყავით... მანამდე ვამბობდი, ვახუშტი რომ დარდაიცვალოს, ქვეყანა თავზე დამეცქევა-მეთქი და მართლაც, სწორედ იმ დღეს დაიქცა ქვეყანა..."



27 დეკემბერი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
"შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"ურიელ აკოსტა"
რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი
ალადგინა სოფიკო ჭიაურელმა
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
პრემიერა
"ქალი წარსულიდან"
რეჟისორი პაატა ციკოლია
დასაწყისი: 20.00

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი
დასაწყისი: 19.00

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
"მე ვხედავ მზეს"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

თავისუფალი თეატრი
"ძმები"
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

თეატრი ათონელზე
"ზაფხულის ღამის სიზმარი"
სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი "აისი"
დასაწყისი: 19.00

მუსიკისა და დრამის თეატრი
"სახალწლო ზღაპარი"
დასაწყისი: 19.00

კინო

"რუსთაველი"
"დღე, როდესაც დედამინა გადარჩა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.15
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
"ჯიშის ბონდი: შეწყალვის კვანტუმი"
დასაწყისი: 14.45; 19.45
"ბედის ირონია"
დასაწყისი: 12.30; 17.30
"მძევალი"
დასაწყისი: 21.30
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 19.15
"რაც ყველაზე ძლიან გიყვარს"
დასაწყისი: 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ქართული იდეა"
დასაწყისი: 12.00; 13.00
"უოლო"
დასაწყისი: 14.30; 16.30

"ამირანი"
"დღე, როცა დედამინა გაჩერდა"
დასაწყისი: 19.30; 22.00
"კეტო და კოტე"
დასაწყისი: 18.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00
"რაც ყველაზე ძლიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.30; 20.00; 22.15

გალერეა

"ქარვასლა"
ჰორსტ იანსენი - გრაფიკა
მაიკლ კენას ფოტოგრაფია - "ფრანგული პეიზაჟი"

"N გალერეა"
საშობაო გამოფენა: სანდრო ანთაძე, მაკა ბატიაშვილი, თიკა ჩხიკვიშვილი, გიორგი აბუაშვილი, ანტონ ბალანჩივაძე და ქეთევან დავლიანიძე

"შობი"
"იუბილარები" - თანამედროვე ქართული ფერწერა
"ვერსიაჟი"
საშობაო გამოფენა

"კოპალა"
ზალიკო ბერგერის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა მრავალწლიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

- ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს მრავალწლიანი ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
- შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ხუთ ლოტად:
ლოტი N1 - ფუნიკულორის ასასვლელის წინ მდებარე სკვერის რეკონსტრუქცია;
ლოტი N2 - ლ. ასათიანის ქუჩაზე არსებული სკვერის რეკონსტრუქცია;
ლოტი N3 - ი. გოგებაშვილის ქ. N43-ის უკან არსებული სკვერის რეკონსტრუქცია;
ლოტი N4 - ტვერელის ეკლესიის მოპირდაპირედ არსებული სკვერის რეკონსტრუქცია;
ლოტი N5 - სულხან-საბას სახელობის სკვერის რეკონსტრუქცია.
- შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 31 ივლისი.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 15 იანვრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.
- სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - სკვერების რეკონსტრუქციის სამუშაოების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაცენოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 16 იანვრის 10-დან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.
- ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
- ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
8.1 იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
 - ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- 8.2. ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- 8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
- ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების თაობაზე;
 - ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასაველად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განაცხადების მერვე პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.
11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ლირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ლირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მექანიზმი.
12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.
ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა მრავალწლიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

- ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს მრავალწლიანი ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობების ფუძე-საძირკვლების, მიწისზედა მზიდი კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრების, ასევე წყალსადენის, საკანალიზაციო და სანიაღვრე გარე ქსელების აღდგენის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
- შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ექვს ლოტად:
ლოტი N1 - წინამძღვრიშვილის ქ. N26/18;
ლოტი N2 - იაშვილის ქ. N18;
ლოტი N3 - გალაკტიონის ქ. N23/23;
ლოტი N4 - გალაკტიონის ქ. N21 III სართ.;
ლოტი N5 - გალაკტიონის ქ. N21 II სართ.;
ლოტი N6 - ლერმონტოვის ქ. N17/6.
- შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.
- N1-5 ლოტებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 29 მაისი, N6 ლოტის - 2009 წლის 30 ივნისი.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 15 იანვრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.
- სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - შენობების ფუძე-საძირკვლების, მიწისზედა მზიდი კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრების, ასევე წყალსადენის, საკანალიზაციო და სანიაღვრე გარე ქსელების აღდგენის სამუშაოების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაცენოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 20 იანვრის 10-დან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.
- ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
- ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
 - ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- 8.2. ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- 8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
- ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების თაობაზე;
 - ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასაველად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განაცხადების მერვე პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.
11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ლირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ლირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მექანიზმი.
12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.
ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თვალის დაავადებათა კვლევის და მკურნალობის მიმართულებით

გთავაზობთ:

- თვალის სრული გამოკვლევა
- თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა (კერატიტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქორიორეტინიტი)
- წყლულოვანი ბლევარიტები, დემოდეკოზი, დაქროციტიტი
- გლაუკომა - სანაყის სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეთვალყურეობა

- შაქრიანი დიაბეტით დაზარებული თვალის მკურნალობა - მეთვალყურეობა
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გაზარმაცება, მიოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეთვალყურეობა და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

პაციენტების მიღებას აწარმოებს
ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე
უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282

სპორტი

კონტინენტური ჰოკეის ლიგის საუკეთესო მოთამაშე ქართველი ყოფილა

ამბობენ, ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელიაო, მაგრამ იმას, ალბათ, მაინც ვერავინ წარმოიდგენდა თუ რუსეთის საუკეთესო ჰოკეისტი ქართველი გახდებოდა.

იაროსლავის "ლოკომოტივის" ქართველი გოლიკერი გიორგი გელაშვილი კონტინენტური ჰოკეის ლიგის (KHL) საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. პოპულარულმა კანადურმა საინფორმაციო სააგენტო TSN-მა გელაშვილი ისეთ ვარსკვლავებს ამჯობინა, როგორებიც ჩეხები იაგრი და მარეკი, ასევე, რუსი იაშინი არიან.

კანადელები საკუთარ რეიტინგს ყოველკვირულად აქვეყნებენ და მას რუსეთშიც საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევენ, ვინაიდან ჰოკეის სამშობლოს წარმომადგენლები რეიტინგს დიდი სერუპულით ადგენენ.

კანადელებმა გელაშვილის შერჩევას მისი ჩინებული სტატისტიკური მაჩვენებლებით იხელმძღვანელეს. გიორგის ანგარიშზე 17 მოგებული მატჩია. მის მიერ მოგერიებულ დარტყმათა პროცენტული მაჩვენებელი 93.3%-ია, საიმედოობის კოეფიციენტი კი - 1.77%.

TSN-ის რეიტინგში გელაშვილი 93.80 ქულა მიიღო, მეორე-მესამე ადგილები კი "აკ ბარისის" ნევრმა ალექსეი მოროზოვმა (90.66) და "სალავათიულაევის" ჰოკეისტმა ალექსანდრ ერიომენკომ (90.10) გაი-



კანადელებმა გელაშვილი საუკეთესოდ აღიარეს

ნანილეს.

კანადელები ანალოგიურ რეიტინგს ჰოკეის ეროვნული ლიგისთვისაც (NHL) ადგენენ, სადაც მონინავე სამეული ასე გამოიყურება: ევგენი მალკინი ("პიტსბურგ პინგვინზი", 101.69), ალექსანდრ ოვეჩინი ("ვაშინგტონ კეპიტალსი", 99.00), ზაკ პარიზე ("ნიუ ჯერსი დევილზი", 93.74).

ერთი სიტყვით, კანადაში რუსები არიან საუკეთესოები, რუსეთში კი ქართველი, თუმცა, ალბათ გიორგი გელაშვილზე ბოლომდე ქართველი მაინც არ ითქმის. ჩვენს მკითხველს ჰოკეისტის მოკლე ბიოგრაფიასაც გავაცნობთ.

გიორგი 1983 წლის 30 აგვისტოს რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში დაიბადა, სადაც მამა-

მისი სამხედრო სამსახურის შემდეგ დაემკვიდრა. გელაშვილი ჩელიაბინსკის "ტრაქტორის" სკოლის აღზრდილია, თუმცა ამ გუნდის შემადგენლობაში ადგილი ვერ მოიპოვა და ამის გამო კარიერის დასაწყისში ყაზახურ გუნდ "ყაზახისში" გადავიდა. იქ წარმოშობით ქართველი მეკარე იმდენად კარგად თამაშობდა, რომ მას ყაზახეთის მოქალაქეობა და ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდში თამაშის შესთავაზეს, თუმცა გიორგიმ მოქალაქეობის მიღებაზე უარი თქვა და რუსეთის მოქალაქედ დარჩა.

2006 წელს, მას შემდეგ რაც "ტრაქტორი" რუსეთის სუპერლიგაში აღწედა, გიორგის მშობლიურ გუნდში დაბრუნება შესთავაზეს. ყაზახებმა კიპერი არ გაუშვეს და საბოლოოდ საქმის გასარკვევად სასამართლო პროცესიც კი გაიმართა, რომელიც "ტრაქტორმა" მოიგო. 2006 წელსვე გიორგი რუსეთის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაშიც მოხვდა. 2007-08 წლების სეზონი გელაშვილმა "ტრაქტორში" თამაში ძირითადი მეკარის სტატუსით დაიწყო. ეგაა, მოგვიანებით ძირითადში ადგილი დაკარგა და "მეჩელში" გადავიდა. 2008 წლის ზაფხულიდან კი ქართველი კიპერი იაროსლავის "ლოკომოტივის" ღირსებას იცავს და კონტინენტური ჰოკეის ლიგის საუკეთესო მოთამაშედ გახდა.

გიორგი თევდორაშვილი მინსკში დამარცხდა

საქართველოს პროფესიული კრივის წარმომადგენელმა, 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გორელმა სპორტსმენმა გიორგი თევდორაშვილმა მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლა ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ჩაატარა და დამარცხდა.

ამის შესახებ საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კიკნაველიძემ განაცხადა.

"მინსკში თევდორაშვილის მეტოქე ადგილობრივი მოკრივე მაჰმედ არიკბაჯიევი იყო. თევდორაშვილ-არიკბაჯიევის 6-რაუნდიანი ბრძოლა ქულებით ბელარუსის სახელით მოასპარეზე სპორტსმენის გამარჯვებით დასრულდა", - აღნიშნა კიკნაველიძემ.

ფიფა-ს ასისტენტის სტატუსი ორ ქართველ მსაჯს

2009 წლის 1 იანვრიდან ქართული სამსაჯო კორპუსის ორი წარმომადგენელი - ლევან თოდრია და ზაზა ფიფა - ფიფა-ს ასისტენტის ფორმას მოირგებენ.

დღესდღეობით ფიფა-ს არბიტრის ნოდებას ოთხი ქართველი მსაჯი - ლევან კვარაცხელია, ლევან ფანიშვილი, ლაშა სილაგავა და გიორგი ვადაჭკორია - ატარებს, ხოლო ფიფა-ს ასისტენტი კი უკვე რვა ქართველია: ბესიკ ჭიჭინაძე, გურამ ჩიგოგიძე, მამუკა ელიკაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, ზაზა მენთეშაშვილი, ლევან მიქელაძე, ზაზა ფიფა და ლევან თოდრია.

შეგახსენებთ, რომ ქართული სამსაჯო კორპუსის ორი წარმომადგენელი ფიფა-ს ფუტსალის არბიტრის ნოდებით სარგებლობს: შოთა ქუხილავა და არსენ ნიკაშვილი.

ფიფას 2009 და 2010 წლის საკლუბო "მუნდიალს" საამიროები უმასპინძლებს

მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის - ფიფას პრეზიდენტმა ზემ ბლატერმა, 2009 და 2010 წლების საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს გადასცა. საამიროები 2009 და 2010 წლის საკლუბო "მუნდიალს" ტრადიციისამებრ, დეკემბერში უმასპინძლებს, ხოლო მომდევნო 2011 და 2012 წლებში ტურნირი კვლავ "ამომავალი მზის ქვეყანაში" - იაპონიაში დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ფიფას საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ფიფა-უფას ერთობლივი - საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების გაგრძელებაა და როგორც ტრადიციული ტურნირი 2005 წლიდან იმართება, პირველად დატოვებს სამურაების ქვეყანას და ორი წლით, დროებით არაბეთის ნახევარკუნძულზე გადაინაცვლებს.

სპორტში ბავშვთა ჩართვის მდგომარეობას პარლამენტში საგანგაშოდ აფასებენ

ბავშვთა ფიზიკური გაჯანსაღებისა და სპორტში მათი ჩართვის მდგომარეობას პარლამენტში საგანგაშოდ აფასებენ. აღნიშნულ საკითხზე დღეს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე იმსჯელეს. საგანგაშო მდგომარეობის მიზეზად ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძემ, სპორტული სკოლების, ბავშვთა სპორტსაზოგადოების და საშუალო სკოლებში ფიზალზრდის გაკვეთილების ტოტალური გაუქმება დაასახელა. კომიტეტების დღევანდელ სხდომაზე რეკომენდაციებიც შემუშავეს იმ სამინისტროებისთვის, რომელთა კომპეტენციაშიც აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება შედის. კერძოდ, განათლების სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა, გამოაცხადოს სკოლებში სპორტული ბავშვების და ინვენტარის აღწერა მათი შემდგომი სრულყოფის მიზნით. "სამინისტრომ სკოლებს უნდა მოსთხოვოს კვირაში ფიზალზრდის გაკვეთილების ჩატარება არა უმცირეს ოთხი საათისა, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული", - განაცხადა ვაჟა შუბლაძემ. ჯანდაცვის სამინისტროს კი დაევა ალადგინოს მოსწავლეთა ჯანმრთელობის საყოველთაო შემოწმების სისტემა.

რაც შეეხება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, მან მონანილობა უნდა მიიღოს ერის გაჯანსაღების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში და აქტიურად იმუშაოს ბავშვთა სპორტის განვითარებისა და მწვრთნელთა კადრებით უზრუნველსაყოფად.

კარატე-დომ კავკასიის ჩემპიონატი გამოაცხადდა

არმიის სპორტ კომპლექსში თუ გამოცოცხლება იყო ეს პატარა კარატისტების დამსახურება, რომლებიც კარატე-დომში კავკასიის მეთექვსმეტე ჩემპიონატში პირველობისთვის ეცილებოდნენ ერთმანეთს.

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატი ინდივიდუალურ კომპეტეში ასპარეზობას ითვალისწინებდა.

შეკრებებს მეტ ეშხს მატებდა ისიც, რომ ორგანიზატორებმა ჩემპიონატზე მთავარი მსაჯის რანგში მიიწვიეს მსოფლიო შოტოკან კარატედოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი, მერვე დანის მფლობელი იაპონელი ჰიტოში კასუია.

კავკასიის ჩემპიონატზე მიღწეული შედეგებით თავი გამოიჩინეს საქართველოს კარატე-დოს კლუბ "შოტოკანის" მოზარდებმა, რომლებმაც



ჭაბუკა მახარაძე საკუთარი შეგირდებით კმაყოფილია

მთლიანობაში რვა მედალი დაი-საკუთრეს.

საკუთარი სამწყსოთი კმაყოფილია "შოტოკანის" მთავა-

რი ინსტრუქტორი ჭაბუკა მახარაძე: "მეტის მიღწევაც იყო შესაძლებელი, მაგრამ ემოციურმა დატვირთვამ, გნებავთ სას-

ტარტო მღელვარებამ რამდენიმე სპორტსმენზე გარკვეულწილად იმოქმედა. შევეცდებით, მომავალში ბევრად თავისუფლად ვიასპარეზოთ".

ჩემპიონატი რომელიც ასაკობრივი ჯგუფებისა და წონითი კატეგორიების მიხედვით ჩატარდა. "შოტოკანის" წარმომადგენლებმა ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

ასე მაგალითად, ექვსწლიანებში გაიმარჯვეს ანა ლომიძემ და ბაჩო გოჯიაშვილმა. ცხრანწლიანებში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალები დარჩათ არჩილ ლომიძესა და შოთა ლაკიას. ათწლიანებში მეორე-მესამე ადგილები დაიკავა გიორგი გოჩაძემ. საქმე ისაა, რომ გოჩაძემ 35 და 45 კილოგრამ წონით კატეგორიებში მოსინჯა საკუთარი ძალები.

თორმეტწლიანებში მესამე ადგილი აკაკი გივიაშვილისა იყო, ხოლო ცამეტწლიანებში ვერცხლი გიორგი ნადაშვილს დარჩა.

კორდალიძე საუკეთესოა

მოლდოვის საფეხბურთო ნაციონალურ დივიზიონში მოასპარევე კიშინიოვის "დაჩიას" ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გულშემოტიკურებმა 2008-2009 წლის სეზონის პირველი ნახევრის გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად ქართველი ლეგიონერი ლევან კორდალიძე მიიჩნიეს.

გამოკითხვაში მონაწილეობა "დაჩიას" 194 ქომაგმა მიიღო და 67 ხმა სწორედ კორდალიძეს მისცა. მეორე ადგილზე ალექსანდრუ ონიკა გავიდა 41 ხმით, ხოლო მესამეზე სერგიუ ჟაპალაუ 18 ხმით.

გამოკითხვაში მეთხუთე პოზიცია 17 ხმით კიდევ ერთმა ქართველმა ჯაბა დვალამ დაიკავა, რომელიც სეზონის დასაწყისში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი იყო, მაგრამ მძიმე ტრავმის გამო, ჩემპიონატის მსვლელობისას კიშინიოველებს ვეღარ დაეხმარა.

ელერდაისის ბენ ჰაიმი სურს

ინგლისის პრემიერლიგაში მოასპარევე "ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისი, რომელიც გუნდს სათავეში ცოტა ხნის წინათ ჩაუდგა, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "მანჩესტერ სიტიდან" ტალ ბენ ჰაიმის მოწვევას აპირებს. ელერდაისმა საკუთარი გადაწყვეტილების თაობაზე კლუბის ხელმძღვანელებს უკვე აცნობა და მოსალოდნელია, რომ ბლექბერნელები "სიტის", ებრაელი ცენტრალური მცველის სანაცვლოდ, სამ მილიონ გირვანქა სტერლინგს შესთავაზებენ. ბენ ჰაიმი მანჩესტერულ კლუბში მიმდინარე სეზონის წინ გადავიდა და გუნდის რიგებში ჩატარებულ 9 მატჩში გოლი არ გაუტანია.

კავენაგი კლუბის შეცვლას აპირებს

ფრანგული "ბორდოს" არგენტინელ თავდამსხმელ ფერნანდო კავენაგის საფეხბურთო აგენტმა როდრიგო ვილარინომ განაცხადა, რომ მისი კლიენტი მზადაა, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კლუბის გამოცვლის ვარიანტები განიხილოს.

"ფერნანდო გულდაწყვეტილია, რადგანაც გუნდის ძირითად შემადგენლობაში, ადგილი გარანტირებული არ აქვს. მას არ ესმის გუნდის მთავარი მწვრთნელის ლორან ბლანის ლოკაცია, როდესაც ის კავენაგის ეფექტურობაზე საუბრობს. ისეთი გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, რომელიც ყველა მხარეს დააკმაყოფილებს. ინტერესს ლონდონის "ტოტენჰემი" იჩენს, თუმცა, ოფიციალური წინადადება ჯერ არ მიგვიღია" - ამბობს როდრიგო ვილარინო.

ვენგერს ხაზი ალონსოს ყიდვა მოუნდა

"არსენალი" მომავალი წლის იანვარში, როდესაც სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, "ლივერპულიდან" ნახევარმცველ ხაზი ალონსოს შექენას შეეცდება. "მეთოფეებს" ესპანელი შუახაზელის საკუთარ რიგებში ხილვა გასულ ზაფხულს სურდა, მაგრამ მხარეები ფეხბურთელის სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. მაშინ, "არსენალი" ფეხბურთელის სანაცვლოდ ლივერპულელებს 20,5 მილიონ დოლარს სთავაზობდა, მაგრამ მერსისაიდლებს არანაკლებ 25 მილიონის მიღება სურდათ. მიმდინარე სეზონში, ალონსომ ინგლისის პრემიერლიგაში 18 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

კლიმოვიჩი "დორტმუნდს" დატოვებს

დორტმუნდის "ბორუსიას" თავდამსხმელმა დიეგო კლიმოვიჩმა კლუბის ხელმძღვანელებს ტრანსფერზე დაყენება სთხოვა. გერმანული მასმედიის ცნობით, 35 წლის კლიმოვიჩმა "ბორუსიას" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო და კლუბის გამოცვლა ამიტომ გადაწყვიტა. სავარაუდოდ, ფორვარდის შეძენით "ბორუსი", "კარლსრუე" და მიონხენგლადბახის "ბორუსია" არიან დაინტერესებულნი. "როგორც კი, კლიმოვიჩის თაობაზე რომელიმე კლუბი მოგემარტავს, ფეხბურთელს მაშინვე გავუშვებთ" - ნათქვამია დორტმუნდელთა ოფიციალურ განცხადებაში. კლიმოვიჩი "ბორუსიაში" 2007 წელს გადავიდა და ბუნდესლიგაში ჩატარებულ 28 მატჩში 6 გოლი გაიტანა. კარიერის საუკეთესო წლები არგენტინელმა ფორვარდმა ბუნდესლიგურ "ვოლფსბურგში" გაატარა, რომლის შემადგენლობაში 2001-2007 წლებში 160 შეხვედრა გამართა და მეტოქის კარი 62-ჯერ აიღო.

ფრედს პრიორიტეტულად "კრუზირუ" მიაჩნია

საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონის "ლიონის" თავდამსხმელი ფრედი, რომელიც საშობაო არდადეგებს სამშობლოში ატარებს, პარალელურად ახალ კლუბს ეძებს და სავარაუდოდ, მომავალ კვირაში, გუნდის შეკრებაზე გამოცხადებას არ აპირებს. "სათამაშო ტონუსს ვინარჩუნებ, ვისვენებ და ვცდილობ საკუთარ ოჯახს დიდი დრო დავუთმო. თუმცა, ამჟამად ჩემი მთავარი ამოცანაა, დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკება გავმართო. ბრაზილიის ეროვნულ გუნდში დაბრუნება მსურს, ხოლო პრიორიტეტულად "კრუზირუ" მიაჩნია" კონტრაქტის გაფორმებას მივიჩნევ" - განაცხადა ფრედმა. 25 წლის ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში უმთავრდება, მაგრამ "ლიონის" დატოვებას იგი უკვე ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გეგმავს.

"ბარსელონას" შესაძლოა ქება ანჟინოს

კატალონიური "ბარსელონა" სეზონის პირველ ნახევარში აჩვენებდა ფეხბურთს, რომელმაც არაერთი სასიამოვნო წუთი მოგვანიჭა. "ბარსა" ახლა ისეთ ფორმაშია, რომ ამ გუნდს ყველაფრის მოგებას უწინასწარმეტყველებენ. ბევრი იმასაც ამბობს ესპანეთის ჩემპიონატში ტიტულისთვის ბრძოლა უკვე დასრულებულია და "ბარსელონამ", ფაქტობრივად გაინაღდა ჩემპიონის ტიტული.



ბეგირისტიანის აზრით გვარდიოლა ფეხბურთელობის პერიოდშიც მწვრთნელი იყო.

კლუბის წარმატებებზე "ბარსას" საკაბელო ტელეარხს, გუნდის ტექნიკური დირექტორი ჩიკი ბეგირისტიანი ესაუბრა. სწორედ ამ ინტერვიუს მცირე ნაწილს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

- რა უფრო მავნებელია გუნდისთვის საშობაო არდადეგები, თუ მედიის გადამეტებული ქება?

- დასვენებაში ცუდს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ და დარწმუნებული ვარ, თუ საშობაოდ ფეხბურთელები ოდნავ მოეშვებიან ეს მათ არ ავნებთ. ბევრმა ქებამ კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს გუნდზე. არ უნდა დაგვეწყინყდეს რა ხდებოდა უკანასკნელი წლების განმავლობაში.

- თქვენი აზრით რა მდგომარეობაშია ახლა "ბარსა"?

- ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამის შეფასება შესაძლებელია. გასული წლების იმედგაცრუებების შემდეგ, კლუბი ძველ დიდებას იბრუნებს. გარკვეული გადაწყვეტილების მიღება გავი-

ჭირდა, რადგან ისინი ისეთ ფეხბურთელებს ეხებოდა, რომლებმაც კატალონიური კლუბის ისტორიაში საკუთარი გვარის ჩანერა მოახერხეს. იგივე შემძლია ვთქვა მწვრთნელთან დაკავშირებითაც, რომელმაც არაერთი ტიტული მოიგო, მაგრამ ჩვენ გვჭირდებოდა რაიმე ახალი, რომელიც ჯერჯერობით ამართლებს კიდევ.

- თავის დროზე გვარდიოლას გვერდზე თამაშობდით, მაშინ თუ წარმოიდგენდით, რომ ოდესმე იგი მწვრთნელი გახდებოდა?

- გვარდიოლამ მწვრთნელობა

ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს დაიწყო. მას მიჰყავდა გუნდის თამაში, ეძებდა სუსტ ნერტილებს და შემდეგ მათი აღმოფხვრის საშუალებებს. მას შეუძლია მცირე დეტალების შემჩნევა. როდესაც მან მწვრთნელობა დააპირა და კლუბში სტაჟირებაზე მოვიდა, მაშინვე შეეტყო, რომ სერიოზულად იყო განწყობილი და დიდი მწვრთნელი გახდებოდა.

- რას ნიშნავს თქვენთვის ტერმინები "წარმატებული შენაძენი" და "წარუმატებელი შენაძენი"?

- წარმატებული შენაძენი ნიშ-

ნავს გუნდის ისე დაკომპლექტებას, რომ მან მინიმუმ ერთი ტიტულის მოგება მანაც მოახერხოს. წარუმატებელი შენაძენი კი ნიშნავს იმავე პოზიციაზე სხვა ფეხბურთელის შექენის საჭიროებას.

- მესი მსოფლიოში საუკეთესოა?

- დიახ, იგი საუკეთესოა.

- რას გვეტყვი ანრის შესახებ?

- გაიხსენეთ რა ხდებოდა, როდესაც იგი კლუბში მოვიდა. ანრი "ბარსაში" კლუბისთვის არცთუ სახარბიელო დროს გამოჩნდა, როდესაც გასახდელში არ არსებობდა ლიდერი. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ ამგვარ პრობლემას წააწყდებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ ანრის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ახლა კი, როდესაც გასახდელში მდგომარეობა გამოსწორდა, მოვიდა ახალი მწვრთნელი, კლუბში შეიქმნა გარკვეული სტანდარტები. ანრიც უკვე შესანიშნავ ფეხბურთს აჩვენებს.

- რას ისურვებდით ახალ წელს?

- ბოლო დროს გადატანილი ამბებთან გამომდინარე, მინდა ყველას ჯანმრთელობა ვუსურვო. რადგან ჯანმრთელებს, შეგვიძლია ფეხბურთის გულშემოტიკურად მეთი სიამოვნება მივანიჭოთ.

მოურიჩიო ბაქჯაიშის იტალიაში ჩასვლას მიესალმება

მართალია, ჟოზე მოურიჩიოს ჟურნალისტებთან საუბარი დიდად არ უყვარს და ეს საქმიანობა უქმად დაკარგულ დროდ მიაჩნია. მიუხედავად ამისა პორტუგალიელმა მაინც იპოვა დრო და "ინტერის" ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტთან მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა. მოურიჩიო მიემართება ბექჰემის ტრანსფერს და მიაჩნია, რომ ეს იტალიურ საფეხბურთო ლიგას მეტ პრესტიჟს შესძენს. ამავდროულად პორტუგალიელს არც თავისი საყვარელი ფეხბურთელი იბრაჰიმოვიჩი ავიწყდება და კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ სწორედ ზლატან არის მსოფლიოში საუკეთესო.



მოურიჩიო და მისი საყვარელი ფეხბურთელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი

"ბედნიერი ვარ. მსურს, რომ ლიგა, რომელშიც მე ვმუშაობ მსოფლიოში საუკეთესო იყოს. იცით, ეს ჩემი ამბიციურობის გამო არ ხდება. უბრალოდ ნორმალურია, თუ ადამიანს საუკეთესო საფეხბურთო ჩემპიონატში მუშაობის სურვილი აქვს. მინდა, რომ იტალიის ჩემპიონატი არა მარტო იტალიელებისთვის იყოს მნიშვნელოვანი, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. ინგლისში მუშაობისას ბედნიერი ვიყავი იმის გამო, რომ პრემიერლიგა მთელ მსოფლიოში იყო პოპულარული. ახლა კი ის მახარებს, რომ იტალიის ჩემპიონატი ამ სეზონში გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე გასულ სეზონში. დევიდ ბექჰემის გადასვლა "მილანში" ძალიან მნიშვნელოვან და კარგ მოვლენად მიაჩნია. იმედია მთლად კარგად ვერ ითამაშებს, ვინაიდან ჩვენი მეტოქის რიგებში ჩაირიცხა. თუმცა დევიდის ტრანსფერს მხოლოდ საფეხბურთო მნიშვნელობა როდი აქვს. ის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ფეხბურთელი. მისი პოპულარობა უსაზღვროა და იგი უკვე გასცდა წმინდა სპორტულ ჩარ-

ჩოებს. ამიტომაც ბედნიერი ვარ, რომ დევიდი იტალიურ ლიგაში ითამაშებს. ბექჰემი, რონალდინიო, იბრაჰიმოვიჩი სწორედ ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ესაჭიროება იტალიურ ლიგას, რათა იგი კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი გახდეს. სწორედ კომერციალიზაცია არის ის ნაბიჯი, რომელიც იტალიურმა ფეხბურთმა უახლოეს მომავალში უნდა გადადგას", - ამბობს მოურიჩიო.

მოვიჩის შესახებ: "დიახ მე მართლაც ვფიქრობ, რომ ზლატანი მსოფლიოში საუკეთესოა. არასდროს მინახავს 196 სანტიმეტრი სიმაღლის ფეხბურთელი, რომელსაც ასეთი სისწრაფე აქვს და ბურთსაც ფანტასტიკურად ფლობს. ფეხბურთში მან ყველაფერი იცის და მასთან მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს".

"არა მგონია იანვრის სატრანსფერო პერიოდში რაიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოხდეს. არ ვარ ის ადამიანი, ვისაც ცვლილებები უყვარს. მე სტაბილურობის მომხრე ვარ და ამ ეტაპზე გუნდში ცვლილებები ნამდვილად არ გვჭირდება. ცხადია სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ შესაძლოა რაღაც ტრანსფერები განვახორციელოთ, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვან შენაძენს ნამდვილად არ გავაკეთებთ", - აცხადებს მოურიჩიო.

"ოლ სტარის" მოლოდინები

მიუხედავად იმისა, რომ საკალათბურთო "ყველა ვარსკვლავის" თამაშს წმინდა სპორტული დატვირთვა საერთოდ არ აქვს, NBA-ს აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციების ვარსკვლავების დაპირისპირებას და მთლიანად "ოლ სტარის" კვირულს კალათბურთის გულშემატკივარი მუდმივად მოუთმენლად ელის.

ამ სეზონში "ყველა ვარსკვლავის" მატჩს ფინიქსი უმასპინძლებს. ამ ქალაქს ანალოგიური პატივი 1975 და 1995 წლებშიც ჰქონდა.

მოგესხნებათ, რომ საუკეთესო ხუთეულში გამოკითხვის შედეგად ვლინდება და ორივე კონფერენციის ძირითად ხუთეულს გულშემატკივრები ადგენენ. NBA-ს ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს გამოკითხვა და გარკვეული შუალედური შედეგები უკვე არსებობს კიდევ. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთის ძირითად ხუთეულში "ატლანტას" ვარსკვლავებს მოხვედრა უჭირთ, თუმცა არსებობს დიდი ალბათობა, რომ ჯორჯიული გუნდის ორი კალათბურთელი მაინც მოხვდება "ოლ სტარის" შემადგენლობაში.

ამ ეტაპზე "ყველა ვარსკვლავთა" მატჩის გამოკითხვაში, ერთ-პიროვნული ლიდერი "ორლანდო მეჯიქის" ცენტრი დუაიტ ჰოვარდი გახლავთ, რომელსაც 1 421 882 ხმა აქვს მიღებული. ჰოვარდს



დუაიტ ჰოვარდმა ლებრონი და კობი უკან ჩამოიტოვა.

კვალში "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი კობი ბრაიანტი (1 280 912) და "კლივლენდ კავალიერსის" ფორვარდი ლებრონი ჯეიმსი (1 259 764) უდგანან.

"ოლ სტარის" მონაწილეთა ვინაობა დღეისთვის რომ სახელდებოდეს, აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციათა სასტარტო ხუთეულები ასეთი იქნებოდა.

აღმოსავლეთი: დუეინ უეიდი ("მაიმი ჰითი"), ალენ აივერსონი ("დეტროიტ პისტონსი"), დუაიტ ჰოვარდი ("ორლანდო მეჯიქი"), ლებრონი ჯეიმსი ("კლივლენდ კავალიერსი") და კევინ გარნეტი ("ბოსტონ სელტიკსი").

დასავლეთი: კობი ბრაიანტი ("ლოს ანჯელეს ლეიკერსი"), ტრენის მაკგრეიდი ("ჰიუსტონ როკეტსი"), იაო მინი ("ჰიუსტონ როკეტსი"), ტიმ დანკანი ("სან ანტონიო სპურსი"), ამარე სტაუდმაიერი ("ფინიქს სანსი").

გამოკითხვის მიღერი ჰოვარდი, რომელიც გასული "ოლ სტარის" ჩატენების კონკურსის გამარჯვებულია, ტიტულს მომავალ კონკურსშიც დაიცავს.

ორლანდოელის მეტოქეები "მემფის გრიზლის" ფორვარდი რუდი გეი და "ნიუ ორკ ნიქსის" მცველი ნეიტ რობინსონი იქნებიან. მე-4 მონაწილე კი რუდი ფერნანდესი ("პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი"), ჯო ალექსანდერსა ("მილუოკი ბაქსი") და რასელ უესტბრუკს ("ოკლაჰომა სიტი სანდერსი") შორის გაირკვევა.

ანა ივანოვიჩი მსხუნვარე მზის ქვეშ

ჩოგბურთელი რომლის მიმართაც გულგრილი არავინაა, საკუთარი საიტის მეშვეობით ავსტრალიურ არდადაგებებსა და სავარჯიშო პროცესზე გვიამობს. საუბარია, სერბ ანა ივანოვიჩზე, რომლისთვისაც 2008 წელი საკმაოდ წარმატებული იყო. ყოველ შემთხვევაში, სეზონი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში გასვლით დაიწყო და გაზაფხულზე "როლან გაროს" ტრიუმფატორად მოგვევლინა. მორიგო მსოფლიოს პირველი ჩოგანის მანტიაც, იგივეს განმეორებაზე ახლაც ფიქრობს, მანამდე კი მწვანე კონტინენტის მცხუნვარე მზის ქვეშ ახალი სეზონისთვის ემზადება.



ანა ივანოვიჩი ავსტრალიური არდადაგებით ტკბება

"მეჩვენება, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ძალზე ბევრი გავაკეთე. დავესწარი ორ საფეხბურთო მატჩს. პირველად სერბეთისა და ბულგარეთის შეხვედრას, რომელიც საყო მილოშევიჩის გამოსათხოვარი მატჩი გახლდათ. წილად მხვდა ბედნიერება შეხვედრის დასრულების შემდეგ მოედანზე ჩავსულიყავი და მას შეხვედროდი.

მოგვიანებით ავსტრალიაში გამგზავრებამდე "რეალის" მონაწილეობით ჩემპიონთა ლიგის მატჩსაც დავესწარი. სტადიონის ატმოსფერომ გამაოცა. კარგი დრო გავატარე. და საერთოდ, არდადაგების განმავლობაში ისეთი რალაცეების გაცემა შემიძლია, რომელსაც სეზონის მსვლელობისას ვერ შევძლებ.

არდადეგებისას ბელგრადში ყოფნისას ჯორჯ ბალაშევიჩის კონცერტსაც დავესწარი. ასეთი ჩვევა აქვს, სიმღერებს შორის შესვენებებისას საკუთარი ბავშვობის ისტორიებით ართობს მსმენელს. ისე კი ბელგრადში სტუმრობის უმთავრესი

სასიამოვნო რამაა. საშუალება მაქვს მზიან სანაპიროზე გასეირნებისა, ოკეანის ხედით ტკობისა... სასიამოვნოა ქვინსლენდის პარკში რბენაც. ვფიქრობ, გაცილებით მეტად დავტკბებოდი ავსტრალიით, რომ არა მომქანცველი ვარჯიშები. სხვაობა ისაა, რომ მსგავს სილამაზეში, პეიზაჟებში ფიზიკური დატვირთვა გაცილებით იოლი ასატანია. სინამდვილეში გარემომცველი სამყარო ფიტნეს ვარ-

ჯიშებსა და პლაჟზე რბენას შეუთავსე. მზადების ინტენსივობის გათვალისწინებით, საღამოობით სრულიად ვეშვები, ვახშმობ ჩემს გუნდთან ერთად. აი, უქმეებზე კი წიგნის კითხვით ვარ დაკავებული".

აი, ასეთია, თანამედროვეების ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელის ავსტრალიური ჩანახატები, რომელიც მალე ავსტრალიის ღია ჩემპიონატით გაგრძელდება.

ჰოლანდიელებმა ჰამდაუი გამოარჩიეს

"ალკმარის" ფორვარდი მუნერ ელ ჰამდაუი ჰოლანდიის 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ალკმარელთა თავდამსხმელმა ერედვიზიონის მიმდინარე გათამაშების 15 ტურში 14 გოლის გატანა შეძლო და ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილს ინარჩუნებს.

"უდინეზეს" ახალი სპონსორი ეყოლება

იტალიის სერია A-ში მოასპარეზე "უდინეზემ" სასპონსორო კონტრაქტი გააფორმა რუმინეთის საავტომობილო კომპანია Dacia-სთან, რომელიც კონცერნ Renault-ის შემადგენლობაში შედის. ამიერიდან, საავტომობილო კომპანიის სახელწოდება იტალიური კლუბის მისურზე იქნება გამოსახული. პირველად ახალი სპონსორის მისურები უდინელებმა სერია A-ს გასულ ტურში მოიხრეს, როდესაც "მილანთან" 1:5 დამარცხდნენ.

"რეიმსს" სათავეში ფერნანდესი ჩაუდგა

საფრანგეთის საფეხბურთო მე-2 ლიგაში მოასპარეზე "რეიმსის" მთავარ მწვრთნელად ლუის ფერნანდესი დანიშნეს. "რეიმსს", რომელიც საფრანგეთის ექვსეზის ჩემპიონია, ხოლო ჩემპიონთა თასის ფინალში ორჯერ 1956 და 1959 წლებში უთამაშია, ამჟამად სატურნირო ცხრილში მე-20 ადგილი უკავია, ფერნანდესი კი გუნდში ვითარების გამოსასწორებლად მიიწვიეს. 49 წლის სპეციალისტი, რომელმაც საფრანგეთის ნაკრებთან ერთად 1984 წლის ევროპის ჩემპიონატი მოიგო, სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში საფრანგეთის "კანს", მსუ-ს, ესპანეთის "ატლეტიკს", "ესპანოლს", "ბეტისს", ყატარის "ალ რაიანს" და ისრაელის "ბეითარს" ავარჯიშებდა.

მანიშეს და ლეო ფრანკოს ახალ კონტრაქტებს სთავაზობენ

მადრიდის "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა საკუთარი გუნდის პორტუგალიელ ნახევარმცველ მანიშესა და არგენტინელ მეკარე ლეო ფრანკოსთან, კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკების დაწყებას აპირებს.

31 წლის მანიშემ საფეხბურთო კარიერა პორტუგალიის "ბენფიკაში" დაიწყო, საიდანაც 1996-1999 წლებში "ალვერკაში" იყო განათხოვრებული. 2002-2005 წლებში ნახევარმცველმა "პორტუს" მაისური მოიხრეო, შემდეგი ერთი წელი კი მოსკოვის "დინამოში" გაატარა. მანიშე რუსეთში დიდი ხნით არ გაჩერებულა და განათხოვრების წესით ინგლისის "ჩელსიში" გატარებული 6 თვის შემდეგ, 2006 წლიდან მადრიდის "ატლეტიკოს" ფეხბურთელი გახდა, საიდანაც, გასულ სეზონში 6 თვე იტალიურ "ინტერში" გაანათხოვრეს. "ატლეტიკოს" შემადგენლობაში, ესპანეთის პრიმერადივიზიონში მანიშემ მთლიანობაში 71 თამაში ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა. ის პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებში 2003 წლიდან თამაშობს და 49 შეხვედრაში 7 გოლის გატანა მოახერხა.

არგენტინელი ლეო ფრანკოც 31 წლისაა და მისი საფეხბურთო კარიერა არგენტინის "ინდეპენდიენტეში" დაიწყო, თუმცა საკუთარ სამშობლოში საქმეები არ აენწყო და 1998 წელს ესპანურ "მალიორკას" მიაშურა, საიდანაც 2004 წელს "ატლეტიკოში" გადავიდა. "ატლეტიკოს" მაისურით ლეო ფრანკომ პრიმერადივიზიონში 161 შეხვედრა ჩაატარა, 2003 წლიდან კი, ხუთ მატჩში საკუთარი ქვეყნის ეროვნული მაისურიც მოიხრეო.

დაკურს "ინტერიდან" წასვლა უნდა

საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ოლივიე დაკურმა, უახლოეს სატრანსფერო პერიოდში, შესაძლოა, თავისი ამჟამინდელი კლუბი მილანი "ინტერი" დატოვოს და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს.

34 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში იტალიური კლუბის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, პრიტანულ ტელეკომპანია Setanta Sports განუცხადა, რომ ამ მომენტისთვის ინგლისური და იტალიური კლუბების წინადადებას განიხილავს.

"იტალიური და ინგლისური კლუბებიდან რამდენიმე საინტერესო წინადადება მაქვს. ისინი კარგად უნდა შევისწავლო და ყველაფერი სათანადოდ ავსონო. მოცემულ მომენტში, მე "ინტერის" ფეხბურთელი ვარ, მაგრამ თამაში მინდა. გუნდში ჯოზე მოურიჩიოს მოსვლამდე, ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვთამაშობდი. ახლა კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელმა მიიღო. მას კი ნებისმიერ საკითხზე საკუთარი შეხედულება აქვს. ისლა დამრჩენია მისი გადაწყვეტილება ისე მივიღო, როგორც არის" - ამბობს დაკური.

ფრანგი ფეხბურთელი "ინტერში" 2006 წელს "რომადან" გადავიდა და მილანური კლუბის მაისურით სერია A-ში 34 შეხვედრა ჩაატარა, თუმცა, გოლი არ გაუტანია. 2001-2004 წლებში, მან ეროვნული ნაკრების მაისური 21 მატჩში მოიხრეო და ერთი გოლი გაიტანა.



როტერ ფედერერი საკმაო ხნის განმავლობაში მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგს განაგებდა. მაგრამ რაფაელ ნადალის გამოცენის შემდეგ, პირველობა დაკარგა და დღეს მეორე ჩოგნად იწოდება. ერთნი იმასაც ამბობენ, შვეიცარიელი მსგავს წარმატებებს ვეღარ მიაღწევსო. როგორც არ უნდა იყოს, ეს მომავლის საქმეა. გაისად გამოჩნდება როტერი ნაადრევად ჩამოწერეს თუ ზუსტ პროგნოზთან გვაქვს საქმე. დიდი სლემის არაერთი ტიტულის მფლობელი კი აცხადებს, თავდაუზოგავი შრომა და წარმატების მისაღწევად ბოლომდე დახარჯვის გამო მიყვარს საკუთარი საქმეო. შვეიცარიელმა არდადეგები მოილია და ახლა სეზონისთვის დასკვნით მზადების ეტაპს გადის. მერე სეზონიც გახურდება, რომელსაც ასე ელის ჩოგბურთის გულშემატიკვარი და პირველ ყოვლისა როტერ ფედერერი.

AFP / 2008

პროფლიბა ფეხბურთელს სასჯალები რამოურიბა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომისიამ გამოაქვეყნა XX ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის იმ მოთამაშეთა და სპეციალისტთა სია, რომლებიც დისკვალიფიკაციის გამო მორიგ კალენდარულ შეხვედრებს გამოტოვებენ.

პროფლიგის ოფიციალური ინტერნეტ-გვერდის ცნობით, შაბათ-კვირას გასამართ უმაღლესი ლიგის XVII ტურის მატჩებს, კლუბების მიხედვით გამოტოვებენ:

"მესხეთი" (ახალციხე) - გიორგი მემარნიშვილი, დიმიტრი ლეკიშვილი;

"ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - გიგა ბეჭვაია;

"მგლები" (ზუგდიდი) - მწვრთნელი ლიპარტია ვერ დაჯდება სათადარიგო სკამზე;

"ლოკომოტივი" (თბილისი) - გიორგი ბარბაქაძე;

"სპარტაკი" (ცხინვალი) - ირაკლი კობახიძე;

"გაგრა" - გიორგი გაბედავა, თამაზი ჩარგვიშვილი.

მომავალ უქმეებზე გასამართი XVII ტურის მატჩების კალენდარი ასე გამოიყურება:

27 დეკემბერი, შაბათი

"სპარტაკი" (ცხინვალი) - "გაგრა" "ოლიმპი" (რუსთავი) - "მგლები" (ზუგდიდი) - მატჩს პირდაპირ ეთერში "საზოგადოებრივი მაუწყებელი" გადასცემს.

"დინამო" (თბილისი) - "მესხეთი" (ახალციხე)

28 დეკემბერი, კვირა

"ზესტაფონი" - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - მატჩს პირდაპირ ეთერში "საზოგადოებრივი მაუწყებელი" გადასცემს.

"ლოკომოტივი" (თბილისი) - "ბორჯომი"

"ინტერპრესნიუსი"

თვალის მიკროქირურგიის ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს კლინიკა "ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ვილიაღით
და ერთი მოქრავი საოპერაციო
ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული

მულტიფოკალური

ბროლი Acrysof-ReSTOR

კატარაქტის ქირურგიაში

საუკეთესო მხედველობა

სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე

ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ზაზა ფარულიას "ატლანტამ" "ოკლაჰომა" არ დაინდო

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ცენტრის, ზაზა ფარულიას "ატლანტა ჰოუქსი" განაგრძობს წარმატებულ სერიას და მოგებას მოგებაზე ითვლის. ამჯერად ჯორჯიელებმა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის - NBA-ს მორიგი ტურის შეხვედრა ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი "ოკლაჰომასთან" შინ გამართეს და 99:88 დაამარცხეს.

მიუხედავად იმისა, რომ გაცი-

ლებით სუსტ გუნდს ხვდებოდნენ, ატლანტელებისთვის გამარჯვება იოლად არ მოსულა. ოკლაჰომელები საკმაოდ შემართულნი იყვნენ და ბოლო გადაწყვეტი მეოთხედის წინ მხოლოდ ქულით აგებდნენ, თუმცა უკანასკნელ პერიოდში თავისი სიტყვა თქვა "ქორების" ლიდერმა ჯო ჯონსონმა, რომელმაც საბოლოოდ სამმაგი დუბლი (20 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი) მიითვალა და თავისიანებს გაამარჯვებინა.

ზაზა ფარულია სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და მოედანზე გატარებულ 18 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა და 2 გადაცემა მიითვალა.

ამჟამად, "ატლანტას" 18 მოგებითა და 10 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილი უკავია, ხოლო საკუთარ სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორეა "ორლანდო მეჯიქს" შემდეგ.

"ინტერპრესნიუსი"



ფრონტალური-ღამბვირთვანი: 456 HT

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-ღამბვირთვანი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 სხ.ძ.



მისოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, დავების განმხილველი ცენტრი DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით DDRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ნაბკი რესპუბლიკა-ს
საარბიტრაჟო პრეტენზია შპს გეო-ფილტრის, ზვიად ფოლოდაშვილის, ვაჟა ბასილაშვილის, თამარ კრავიშვილის, ქეთევან კოპაძის, სპირიდონ ნატრაძის, ლევან სინჯარაძის, გვაბრიელ ჯანაშვილის, ირმა გელაშვილის, კობა ფიცხელაურის, თეიმურაზ გელაშვილის, პაატა დოლბაძის, გიორგი ამირგულაშვილის, გურამ ქურდაძის მიმართ.

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტი, აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე, აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2008 წლის 23 დეკემბრის N02-1908 ბრძანების მე-6 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ კანდიდატებს გაუფორმდებათ შრომითი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, ხოლო სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ კანდიდატს -ორი წლის ვადით, 2009 წლის 2 თებერვლიდან“.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2008 წლის 26 დეკემბრის ვაზეთ 24 საათში“ გამოქვეყნებულ N8 (ლაგოდების რ-ში, სოფ კაბალის ტერიტორიაზე, მდ. კაბალის ქვიშა, ხრეშის საბადო) ობიექტზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 2009 წლის 5 იანვარს 12 საათზე აუქციონი გაიმართება. მის: ჭანტურიას ქ. N12; ტელ: 98 20 13, 98 23 62. აღნიშნულ ობიექტზე უქციონში მონაწილეობისათვის განცხადებების მიღების ბოლო ვადაა ა/ნ 31 დეკემბერი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა მრავალწლიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

- 1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს მრავალწლიანი ტენდერს მთაწმინდის, ორპირისა და ბოტანიკურის ქუჩების მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია სამ ლოტად:
ლოტი N1 - მთაწმინდის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები;
ლოტი N2 - ორპირის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები;
ლოტი N3 - ბოტანიკური ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები.
შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.
3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 31 ივლისი.
4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 15 იანვრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.
5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - მთაწმინდის, ორპირისა და ბოტანიკურის ქუჩების მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაცენოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 16 იანვრის 10-დან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.
7. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
8.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
8.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების თაობაზე;
ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასაგებლად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა შემოთავაზებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.
11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ლირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ლირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.
12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.
ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია



ბანცხალება სს “ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ აუქციონის ჩატარების შესახებ

1. ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯია“ მისამართი ქ. თბილისი უზნაძის ქ. N37 აცხადებს აუქციონს შ.პ.ს. ქართული საფონდო კომპანია“-ში საკუთარი 100%-ი ნილის გაყიდვის თაობაზე და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ინვესტორებს ვეძებთ და ინვესტირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

- გასაყიდი ობიექტი შ.პ.ს. ქართული საფონდო კომპანია“
- საწყისი გასაყიდი ფასი 67000 (სამოცდაშვიდი ათასი) ლარი.
- ბე“ 100 (ასი) ლარი.

2. შ.პ.ს. ქართული საფონდო კომპანია“ წარმოადგენს ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ შვილობილ კომპანიას და მის 100%-იან ნილს ფლობს ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯია“ KO კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მისთვის მინიჭებული ლიცენზიის საფუძველზე (ლიცენზია N20019 გაცემული საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ 2000 წლის 11 იანვარს) კომერციული საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მათ შორის საფონდო ბირჟებზე ოპერაციების ჩატარება, კომპანიის აქტივები შეადგენს 61000 ლარს, საიდანაც 45000 ლარი წარმოადგენს ბანკში განთავსებულ ვადიან დეპოზიტს, ხოლო ვალდებულებები 700 ლარს.

3. აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

4. დაინტერესებულ პირებს მიეცემა შესაძლებლობა აუქციონის გამოცხადებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში შეისწავლონ გასაყიდი ობიექტი, მიიღონ მის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია განცხადებაში მითითებული საკონტაქტო პირისაგან, მოახდინონ მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ამის შემდეგ მიიღონ მონაწილეობა აუქციონში.

5. მსურველებმა აუქციონში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ:

- შევსებული განაცხადი აუქციონში მონაწილეობაზე.
- ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
- პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბოლო მდგომარეობით, (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით)

შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უზნაძის N37, ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯია“, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ვგუფი. (უცხო ქვეყნის რეზიდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აღნიშნული დოკუმენტები).

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა ბე“ ს თანხა 100 ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ბანკის კოდი 220101501 ანგარიშის ნომერი **N 7784501**, ამავე ანგარიშზე უნდა მოხდეს გამარჯვებულის მიერ დასახელებული, გასაყიდი ობიექტის გამოსასყიდი თანხის ჩარიცხვა.

7. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარდგენისა და მათი ბანკის წარმომადგენლის მიერ რეგისტრაციის დღიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ არაუგვიანეს 2009 წლის 15 იანვრის 12 საათამდე.

8. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყისი გასაყიდ ფასზე ზევით, რომელიმე მონაწილის მიერ სხვა მონაწილესთან (მონაწილეებთან) შედარებით შემოთავაზებული უფრო მაღალი საბოლოო ფასი.

9. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 15 იანვარს დღის 12 საათზე ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სათაო ოფისში, მისამართზე ქ. თბილისი უზნაძის ქ. N37.

10. აუქციონის დროს შედგენილი გამარჯვებულის გამოვლენის დამადასტურებელი ოქმი წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა ართმევს გამარჯვებულ მონაწილეს გამარჯვებულის სტატუსს, გამარჯვებული მყიდველის მიერ გადახდილი ბე“ შედის გასაყიდ ობიექტზე შემოთავაზებულ თანხაში, ამასთან მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული, გასაყიდი ობიექტის საბოლოო გამოსასყიდი თანხა წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება. ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის ან გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მყიდველს არ დაუბრუნდება გადახდილი ბე“.

11. გასაყიდი ობიექტისა და აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან, ლადო მესტიასვილი ტელ: 899 115995, 895 110420, 822 505720 ელ: ფოსტა LL.Mestiasvili@vtb.com.ge

აუქციონში მონაწილეთა მიერ შევსებული განაცხადი წარმოადგენილი უნდა იქნას შემდეგი ფორმით:

(ივსება აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ)
 ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას“
 გაცნობებთ, რომ _____- გავეცანი ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ
 (მონაწილე პირის სრული დასახელება)
 გამოქვეყნებულ ინფორმაციას აუქციონის ფორმით შ.პ.ს. ქართული საფონდო კომპანია“-ში“ საკუთარი 100%-ი ნილის გაყიდვის თაობაზე, რომლის საწყისი გასაყიდი ფასია 67000 (სამოცდაშვიდი ათასი) ლარი და სურვილი გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნულ აუქციონში, რისთვისაც წარმოგიდგენთ:
 - ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
 - პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლს.
 - ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, ბოლო მდგომარეობით, (იურიდიული პირის შემთხვევაში)
 - ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით)
 ამასთან გაცნობებთ, რომ აუქციონში ვერ გამარჯვების შემთხვევაში, გთხოვთ ჩემს მიერ გადახდილი ბე“ ს თანხა 100 ლარი დამიბრუნოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:
 მიმღები _____
 საინდენტიფიკაციო კოდი _____
 მიმღების ბანკი _____
 ბანკის კოდი _____
 ანგარიშის ნომერი _____
 (გთხოვთ მიუთითოთ სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაცია)
 განმცხადებელი: _____
 (განმცხადებლის ხელმოწერა)
 თარიღი _____
 ტელ: _____

ბარდაბნის მუნიციპალიტეტი

აცხადებს აუქციონს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 3 ივლისის №47 განკარგულება)

| N# | მიწის ნაკვეთის საკადასტრო N# | ნაკვეთის მისამართი (ადგილმდებარეობა) | გაცემის წესი | გაკარგვის ფორმა | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | ნორმატიული ფასი (ლარი) | საწყისი ფასი (ლარი) | შენიშვნა |
|----|------------------------------|--|--------------|-----------------|-------------------------------|------------------------|---------------------|----------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | 811301163 | გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამკარის ტერიტორიაზე ქ. რუსთავეის ვაკონსტრუქციული ქარხნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 910 (ცხრაას ათი) მეტრში და ახ. სამკარის ტერიტორიაზე არსებული ვლეკტრო ხაღვრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1100 (ერთი ათას ასი) მეტრში | აუქციონი | საკუთრება | 600 | 3.4944 | 2100 | |
| 2 | 811508324 | ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №16 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | 84 | 5.9904 | 505 | |

შენიშვნა: აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირობა გაერთიანებულ, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის 25%-ზე ნაკლებია.

კონკურსში მონაწილეობისათვის შეტანილი უნდა იქნეს აბე“, მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 10%-ს ოდენობით გადახდილი აბე“ ჩაითვლება საბოლოო გამოსასყიდ თანხაში.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეტანილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და აბე“-ს შენატონი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (ქ.გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №127, I სართული) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 14 საათამდე, აუქციონი განიარსება 15 საათზე, იმ შემთხვევაში, როდესაც ოცდამეათე კალენდარული დღე დაემთხვევა დასვენების დღეს. მაშინ აუქციონი ჩატარდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
 - ბ) აბე“-ს შენატონის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს: ხაზინის ერთიან ანგარიშზე №200122900, სახაზინო შიფრი №300113390. (მიუთითოს გადასახადის დანიშნულება);
 - გ) მონაწილის ბიულეტენის ფასის 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს: ხაზინის ერთიან ანგარიშზე: 3200122900, სახაზინო შიფრი №300113282;
 - დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
 - ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
 - ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამუშაო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასზე აბიჯი“-ს დამატებით მიღებული თანხის (ბიჯი განისაზღვრება საკუთრებაში გადაცემისას მიწის ნაკვეთის საწყისი ფასზე 5 %-ის დამატებით) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
- დამატებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №127 პირველი სართული, აკონსილიკოსა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური“

საქმე № 2/2992-08 გ ა ნ ე რ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ე ლ ი თ

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ
05 დეკემბერი, 2008 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ლელა კალიჩენკო

მოსარჩელე - ვერა ოკუნევა

მოპასუხე - მიხეილ ზამთარაძე

დავის საგანი - განქორწინება, ალიმენტის დაკისრება

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ვერა ოკუნევამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მიხეილ ზამთარაძის მიმართ განქორწინებისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2004 წლის 21 თებერვლიდან. ქორწინებაში ყოფნის პერიოდში შეეძინათ ბავშვი ნიკოლოზ ზამთარაძე (დაბ. 2004 წლის 13 ივნისს). მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლიდან მხარეებს ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ ქორწინება და მოპასუხეს შექმნილი აქვს სხვა ოჯახი, სადაც ჰყავს კიდევ ერთი შვილი. მოპასუხე არ არის განქორწინების თანახმა, თუმცა თანაცხოვრების სურვილი მხარეებს არ აქვთ. ამასთან, მოსარჩელის მითითებით მხარეებს ჰყავთ საერთო შვილი, რომელზეც ზრუნვა ორივე მშობელს თანაბრად ეკისრება, მაგრამ ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის მომენტიდან დღემდე მოპასუხე თავს არიდებს მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

მოსარჩელის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროდან წარმოდგენილი ცნობის მიხედვით აღნიშნული სარჩელისა და თანდართული მასალების ასლი სამჯერ გაიგზავნა მიხეილ ზამთარაძის რეგისტრაციის ადგილას - მისამართზე - ქ. თბილისი, დიდი დილომი, მე-3 მ/რ, 11-ე კორპ., ბინა 80. ფოსტის მუშაკის ცნობის თანახმად, აღნიშნულ მისამართზე მიხეილ ზამთარაძემ ბინა გაყიდა და სხვაგან გადავიდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადვოკატის უცნობია, ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საჯარო შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს დაინტერესებული მხარის ხარჯით.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ შეტყობინება უნდა განხორციელდეს გაზეთ 24 საათი -ს მეშვეობით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელემ გამოთქვა თანხმობა, თავის თავზე აიღოს ამასთან დაკავშირებული ხარჯი, საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების ხარჯების გადახდა უნდა დაევალოს მოსარჩელე ვერა ოკუნევას.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოპასუხე მიხეილ ზამთარაძეს ეცნობოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელმა სამოქალაქო საქმე №2/2992-08, ვერა ოკუნევას სარჩელის გამო მიხეილ ზამთარაძის მიმართ განქორწინებისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2004 წლის 21 თებერვლიდან. ქორწინებაში ყოფნის პერიოდში შეეძინათ ბავშვი ნიკოლოზ ზამთარაძე (დაბ. 2004 წლის 13 ივნისს). მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლიდან მხარეებს ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ ქორწინება და მოპასუხეს შექმნილი აქვს სხვა ოჯახი, სადაც ჰყავს კიდევ ერთი შვილი. მიხეილ ზამთარაძე ვალდებულია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 2321-ე მუხლების შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში (იხ. ვებგვერდი: www.hcoj.ge ან www.supremecourt.ge). წერილობით შედგენილ პასუხში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები: სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი; მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მონმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი, ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები; ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში; ხოლო თუ არ ცნობს, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მითითებულ გარემოებებს; რა საპროცესო საშუალებებით აპირებს სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ აქვს აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა.შ. ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად; რომელი მონმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე და სხვა სახის შუამდგომლობები; პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა; მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. სასამართლომ მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესების შესაბამისად (სსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი); მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მოსამართლე: /ლელა კალიჩენკო/

შპს „თბილისის პარკები“ აცხადებს აუქციონს პირობებით სანარმოს სანაღებო კავიტალში რიცხული მიწის ნაკვეთის ღრობით სსსყიდლიან სარგებლობაში გაცემის შესახებ

ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N76-ში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე მდებარე 227,5 კვ.მ. მიწის ნაკვეთი

აუქციონის პირობები:

- იჯარის ვადა - 20 წელი; სანყისი წლიური საიჯარო ქირა - 6000 ლარი; „ბე“-ს ოდენობა - 1000 ლარი; „ბიჯი“ - 100 ლარი; მონაწილის ბილეთის ღირებულება - 50 ლარი.
- პროფილი - დამხმარე, სამეურნეო ფართის მოწყობა.
- მიმდებარე ტერიტორიის წყალგაყვანილობისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია;
- იჯარით აღებული ქონებისა და მიმდებარე ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური და სახანძრო ნორმების დაცვის უზრუნველყოფა.
- აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას სანოტარო ხარჯები უზრუნველყოს აუქციონში გამარჯვებულმა;
- საიჯარო პერიოდის განმავლობაში ეროვნული ვალუტის ინფლაციის შემთხვევაში „მეიჯარე“ უფლებამოსილია გაზარდოს საიჯარო ქირა შესაბამისი ოდენობით;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს აუქციონში მონაწილის თანხმობა გამოცხადებული აუქციონის პირობებისა და შემო-

თავაზებული პროგრამის (წინადადების) შესრულებაზე;

- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობის ასლი (მონაწილე, სხვა დოკუმენტაცია)თან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება სააუქციონო კომისიის მდივანთან);
- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია;
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

უძრავ ქონებაზე სანყისი წლიურ საიჯარო ქირაზე „ბიჯის“ დანამატის შედეგად მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდის შეთავაზება და სააუქციონო პირობების დაკმაყოფილება.

განაცხადის მიღება:

აღნიშნული ობიექტის აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 26 იანვარს, 15:00 საათზე, ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირი N 182 (მუშტაიდის ბაღის ტერიტორია, ადმინისტრაციული შენობა).

განაცხადები აუქციონში მონაწილეობის შესახებ მიიღება 2009 წლის 26 იანვრის 12:00 საათამდე.

მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N182 (მუშტაიდის პარკი, ადმინისტრაციული შენობა). 10-00-დან 17-00-მდე.

ტელ: 34-17-82. საკონტაქტო პირი ნანა დემეტრაშვილი.

თანხა ჩაირიცხება:

შპს „თბილისის პარკები“. საიდ/კოდი 202365573.
სს „საქართველოს ბანკი“, ცენტრ. ფილიალი. ბანკის კოდი: 220101502, ანგ. N178150700.

პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ ულტრასონოგრაფიის (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს ექოსკოპიურ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება ექოსკოპიური გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით. მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან) ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ ულტრასონოგრაფიის (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს ექოსკოპიურ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება ექოსკოპიური გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით. მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან) ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

“Georgian Railway” LLC is announcing expression of interests for parties interested in acquisition of 100% or less share of “Railway Telecom” LLC (The leading telecommunications company in Backbone operations, 100% owned by “Georgian Railway” LLC).

- Interested parties should send their terms (indicating the price, currency, payment terms and any other terms) before January 31st 2009 in a sealed envelope in Asset Management Agency of “Georgian Railway” LLC (15, Tamar Mepe Ave., Tbilisi, 0112, Georgia).

Information about the company is available in the data room at Georgian Railway (15, Tamar Mepe Ave., Tbilisi, 0112, Georgia). Parties willing to get additional information or conduct due diligence are welcome to use the information with the authorization of “Georgian Railway” LLC. The information is also available on the Investor Relations page of the “Railway Telecom” LLC web-site – www.grt.ge/ir.

This announcement of expression of interest is not an obligation of “Georgian Railway” LLC to sell or in any other way transfer “Railway Telecom” LLC or its share to any interested party. It also does not give the right to use the announcement against “Georgian Railway” LLC in any way. “Georgian Railway” LLC has the right to terminate or change the procedure, exclude any interested party from the procedure or refuse any of the expressed interests without any liabilities of “Georgian Railway” LLC.

“Georgian Railway” LLC

Contact persons:

| | | | |
|-----------|---------------------------------|---|-----------------------|
| Name: | Megi Mumladze | Dimitri Kemoklidze | George Gotoshia |
| Position: | Head of Asset Management Agency | Head of Budgeting, Analysis & Reporting | CEO |
| Company: | “Georgian Railway” LLC | “Georgian Railway” LLC | “Railway Telecom” LLC |
| Tel: | +995 32 563348 | +995 32 563159 | +995 32 565684 |
| E-mail: | Megimumladze@railway.ge | dkemoklidze@railway.ge | info@grt.ge |

შპს “საქართველოს რკინიგზა” აცხადებს ინტერესთა გამოხატვას შპს “რკინიგზის ტელეკომი”-ს (ქვეყნის მაგისტრალური არხის ლიდერი ოპერატორის) 100% ან ნაკლები წილის რეალიზების მიზნით.

- დაინტერესებულმა პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული პირობები (ფასის, ვალუტისა, გადახდის პირობების და სხვა შემოთავაზებების მითითებით) 2009 წლის 31 იანვრამდე დალუქულ კონვერტებში საქართველოს რკინიგზის ქონების მართვის სააგენტოში (თამარ მეფის 15, 0112, თბილისი, საქართველო).

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ ინვესტორთა საინფორმაციო ოთახში (თამარ მეფის 15, 0112, თბილისი, საქართველო). მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია რკინიგზის თანხმობით. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია რკინიგზის ტელეკომის ინვესტორებთან ურთიერთობების ვებ-გვერდზე – www.grt.ge/ir.

